ყოფილი მძევლები გატაცებაში მევლუდ ჭიჭიაშვილის მონაწილეობას უარყოფენ A7

ტყისთვის მიყენებული ზარალი აუნაზღაურებელია A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004 წელი. №226 (775)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ქუთაისის პრობლემებზე მსჯელობა საპროტესტო ლოზუნგების ფონზე



ქუთაისში გუშინდელი დღე პოლიტიკური მოვლენებით არნახულად დატვირთული გახლდათ...

A3

## ეკონომიკა



### საფინანსო ამნისტია - როგორ დავაბრუნოთ კაპიტალი საქართველოში

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე: "ფინანსური ამნისტიების პრაქტიკით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სხვადასხვა სიხშირითა და ეფექტურობით ცდილობს, მოიზიდოს კაპიტალი."

A4

## უცხოეთი

### რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგი ეცემა



რუსეთის პრეზიდენტის მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

A5

## სამართალი

### ომბუდსმენი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს უკანონობაში ადანაშაულებს

A7

## ამინდი

| | 23/9 | 24/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 30 |
| ქუთაისი | 32 | 32 |
| ბათუმი | 30 | 32 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| ფოთი | 31 | 32 |
| თელავი | 26 | 29 |
| ზუგდიდი | 33 | 32 |
| გორი | 25 | 27 |
| ახმეტა | 26 | 28 |
| ჭიათურა | 29 | 30 |
| გაგრა | 29 | 25 |
| სამტრედია | 32 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8750 |
| ევრო | 2.3053 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3668 |
| რუბლი | 0.0642 |

# სააკაშვილის დებიუტი გაერო-ში

ნინო გომართელი

ნიუ-იორკში გამართულ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე, რომელშიც ასამდე სახელმწიფოს პირველი პირი იღებდა მონაწილეობას, სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

გაერო-ს ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთთან მეგობრული თანამშრომლობისა და კარგი მეზობლური ურთიერთობების განვითარებითაა დაინტერესებული. მან წარმოადგინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა.

**"საქართველოსა და რუსეთისთვის ურთიერთობათა ახალ ეტაპზე გადასვლის დრო მოვიდა, რომლის მიზანიც არის საერთო მტრის - ტერორიზმის დამარცხება. მე მთლიანად ვეთანხმები პრეზიდენტ პუტინს იმაში, რომ ნამდვილ ტერორისტებთან მოლაპარაკება, მკვლელებთან გარიგება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიმუშაოთ ზომიერ ელემენტებთან, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობას ძალადობის გარეშე. ჩვენ სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ ჩვენი სამყაროს ბასაევებს იმის მიუხედავად, საზღვრის რომელ მხარეს ატერორებენ ისინი მშვიდობიან მოსახლეობას, რადგან სეპარატიზმისა და ძალადობის ყველა ფორმა - იქნება ეს ცხინვალში, გროზნოში, სოხუმში - დესტაბილიზაციის მომხდენი ფაქტორებია რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც. თუ ჩვენ ერთად და უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ, დარწმუნებული ვარ, მეტ პროგრესს მივაღწევთ საერთო საფრთხის შემცირებაში",** - აღნიშნა მან.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთს ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა და ამ მხრივ რამდენიმე ინიციატივაც შესთავაზა, რომლებიც, მისი აზრით, სწრაფად მოიტანენ კონკრეტულ შედეგებს.

სააკაშვილის აზრით, პირველ რიგში, უნდა დაიხუროს რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში, თუმცა, ამავე დროს იგი ირწმუნება, რომ საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე არც ერთი სხვა ქვეყნის ბაზის შექმნა.

**"რუსეთთან ახალი ურთიერთობების მექანიკა ითვალისწინებს ჩვენი რესურსებისა და ძალისხმევათა გაერთიანებას საერთო ანტიტერორისტული ცენტრის შესაქმნელად, რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარზე ერთობლივი პატრულირების გასაფართოებლად",** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*"საქართველოსა და რუსეთისთვის ურთიერთობათა ახალ ეტაპზე გადასვლის დრო მოვიდა, რომლის მიზანიც არის საერთო მტრის - ტერორიზმის დამარცხება".*

# ჭარისკაცი დეპუტატები ჭარზე მსჯელობენ

ვერიკო თევზაძე

*გუშინ ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში განთავსებულ ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მსუბუქი ბატალიონის შტაბში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი შეიკრიბა. დეპუტატებმა მეორე მოსმენით მიიღეს კანონი "სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ" და კანონი "უშიშროების საბჭოს შესახებ".*

### კარავში

უკვე ერთი კვირაა, რაც პარლამენტარები, საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად, ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მსუბუქ ბატალიონში გადიან ერთთვიან სამხედრო წვრთნებს, კოდური სახელწოდებით "ენოტი - 2004". გუშინ გარეზერვისტებულმა დეპუტატებმა კვლავ საკანონმდებლო საქმიანობა გაიხსენეს და სპეციალურად გაშლილ კარავში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომა გამართეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ყველაზე დისციპლინირებული რეზერვისტია და საკომიტეტო საქმიანობასაც არ წყვეტს.*

# ტერიტორიული მოწყობის პრინციპი კვლავაც არ არის განსაზღვრული

**პარლამენტის ორ კომიტეტს შორის კი ურთიერთობები დაიძაბა**

თამარ მჭედლიშვილი

*როგორც გუშინ გაირკვა, პრეზიდენტის ინიციატივით შექმნილი სამთავრობო კომისია, რომელსაც ქვეყნის ეფექტური მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ახალი მოდელის პროექტი უნდა შეემუშავებინა, კვლავაც ფიქრისა და განსჯის სტადიაშია. ეს კი ნიშნავს, რომ ამ კომისიას ჯერაც არ აქვს შემუშავებული იმის ზოგადი მონახაზი მაინც, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს "ეფექტური მართვის", ანუ "ეფექტური დეცენტრალიზაციის" განხორციელება. მართალია, არაოფიციალური საუბრების დროს არაერთგზის გაისმა მოსაზრება, რომ ქვეყნის მოწყობის ყველაზე ოპტიმალური მოდელი ასიმეტრიული რეგიონალიზმია, მაგრამ დღემდე საქართველოს ხელისუფლებას ამის თაობაზე საჯაროდ არაფერი*

გაგრძელება A3 გვერდზე

# განათლების "ქვაკუთხედი"

ლელა მჭედლიძე

*მთავრობის სხდომის გუშინდელი დღის წესრიგიდან, რომლის მიხედვითაც მინისტრებს, სულ ცოტა, 20 საკითხი უნდა განეხილათ, მასმედიის წარმომადგენლებისთვის ღია მხოლოდ ერთი საკითხი იყო. სწორედ აქედან გაირკვა, რომ პრემიერ-მინისტრი ფინანსთა და განათლების მინისტრების მუშაობით კმაყოფილია: ზურაბ ნოღაიდელის იმიტომ, რომ "პრეზიდენტის მიერ დანიშნული ერთჯერადი დახმარება ოპერატიულად გაიცა და პედაგოგებისადმი არსებული მრავალწლიანი დავალიანება დაიფარა"; კახა ლომაიათი კი იმიტომ, რომ, პედაგოგების დავალიანების დასაფარად გაწეული მუშაობის გარდა, მთავრობის სხდომაზე განათლების სისტემის რეფორმის ისეთი პროექტი წარმოადგინა, რომელიც, ჟვანიას შეფასებით, "განათლების*

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ეკოლოგია

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მუმლაძეს "მარჯვნიდანაც" შეუტიეს




*მუმლაძის საწინააღმდეგო აქცია ქუთაისში.*

"ახალი მემარჯვენეების" ადგილობრივი ორგანიზაცია იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულს დათო მუმლაძესა და მის თანაგუნდელს, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს გია გიორგაძეს დაუპირისპირდა. "მემარჯვენეები" მუმლაძის გადადგომასა და მერის არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ და რწმუნებულის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობასთან შეერთებას აპირებენ.

**"ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს ძალიან გაუგრძელდა მოვალეობის შესრულების ვადა. მისი მეთაურობით ამ ქალაქში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. ამასთანავე, ქუთაისი დანიშნულ მერს არ იმსახურებს. ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, რომ თავად აირჩიოს მერი... ქალაქისა და მხარის ხელისუფლებამ იქნებ დაასრულოს არარეალური საუბარი, რომ თითქოს მათ ბევრი რამის გამოსწორება შესძლეს,"** -აცხადებს მემარჯვენეების ადგილობრივი ლიდერი გოგა ასათიანი.

"ამ თემაზე საუბრობს ხალხი, ვინც კონსულტაციებს კრიმინალ დათო ბენიძისაგან იღებს. ეს ის კორუმპირებული ადამიანები არიან, რომელთა ჯიბეებიდან ამოღებული ფულით ქუთაისში მნიშვნელოვან საკითხებს ვაგვარებთ. მათ ხალხის სახელით საუბრის უფლება არა აქვთ,"-განაცხადა აღნიშნული საკითხის კომენტირებისას რწმუნებულმა დათო მუმლაძემ

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

## თბილისში "გაზპრომის" დელეგაცია იმყოფება

გუშინ თბილისში რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციას ოფიციალური შეხვედრა საქართველოს ეკონომიკის მინისტრ კახა ბენდუქიძესთან აქვს დაგეგმილი.

"გაზპრომის" ჯგუფის საქართველოში ორდღიანი ვიზიტის მიზანი ქვეყნის გაზის ინფრასტრუქტურის, მაგისტრალური გაზსადენებისა და მათი მდგომარეობის შესწავლაა. გუშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ "გაზპრომის" ჯგუფი "თბილგაზის" პრივატიზებით არის დაინტერესებული. ეკონომიკური განვითარების მინისტმა კახა ბენდუქიძემ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და განაცხადა, რომ "გაზპრომის" დელეგაციის ვიზიტის მიზანი მხოლოდ საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურის გაცნობაა და ამ მიზნით კომპანია ქართულ მხარესთან ერთად შექმნის საგანგებო სამუშაო ჯგუფს.

*24 საათი*

## რუსეთი და აფხაზეთი ერთიან საბანკო სისტემას ქმნიან

რუსეთი და აფხაზეთი ერთიან საბანკო სისტემას ქმნიან. გუშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პაატა დავითაიამ ჟურნალისტებს სპეციალურად წარუდგინა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის "გარანტ ბანკსა" და რუსეთის "ზოლოტაია კორონას" უკვე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე. დავითაის ინფორმაციით, ხელშეკრულება მკაცრად გასაიდუმლოებულია და, მისი გამჟღავნების შემთხვევაში, "დამნაშავე" 10 ათასი დოლარით დაჯარიმდება.

დავითაიას შეფასებით, აღნიშნულ ხელშეკრულებაში რუსეთის მონაწილეობა სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან აშკარად ირღვევა დსთ-ის სამიტზე 1996 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა დსთ-ის ყველა წევრ ქვეყანას ეკრძალება.

**"ამ შეთანხმების მიხედვით, რუსეთი ფულს ათეთრებს, აფხაზეთი კი რუსეთის კაპიტალით სარგებლობს. წარმოიდგინეთ, რუსეთი არარსებული სახელმწიფოს ფირმის აქციებს ყიდულობს,"** - განაცხადა დავითაიამ. მისი განმარტებით, **"ხელშეკრულებისთვის კანონიერი სახის მისაცემად შექმნილია სპეციალური ფორმა. კერძოდ, რუსეთის მხრიდან იქმნება დახურული სააქციო საზოგადოება, აფხაზეთში კი - ღია სააქციო საზოგადოება. ეს საზოგადოებები ერთმანეთს შორის აქციების ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ და ამ გზით რუსული კაპიტალი აფხაზეთის ტერიტორიაზე ღიად შედის,"** - აღნიშნა დავითაიამ და დასძინა, რომ აღნიშნული ფაქტი უპასუხოდ არ დარჩება. **"აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლება რუსეთს ომს ვერ გამოუცხადებს, მაგრამ პროცედურული საკითხების მოგვარების შემდეგ ის რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელს შეიტანს,"** - აღნიშნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ.

*24 საათი*

## "ტრამექსი" ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გვიჩივის

ამერიკული კომპანია "ტრამექსი" საქართველოს მთავრობას ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის. როგორც სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ განაცხადა, შევარდნაძის პრეზიდენტობისას გაფორმებული ხელშეკრულებით, აღნიშნულ კომპანიას სრული უფლება მიენიჭა, გააკონტროლოს ნავთობთან და ბუნებრივ აირთან დაკავშირებული საქმიანობები. ქართული მხრიდან ხელშეკრულებას მაშინდელმა პრემიერმა თენგიზ სიგუამ მოაწერა ხელი.

ბაკურაძის თქმით, კომპანია "ტრამექს"-ის ნებართვის გარეშე ქართულ მხარეს არ აქვს უფლება, დამოუკიდებლად აწარმოოს რაიმე საქმიანობა, რაც ქართული მხარისთვის წამგებიანია. საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების საკითხს აყენებს, რასაც კომპანია "ტრამექსი" აპროტესტებს.

იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, თუ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შევა, ქართულ მხარეს მის წინააღმდეგ გაცილებით ძლიერი არგუმენტები ექნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 22 სექტემბერს მთავრობის სხდომაზეც იმსჯელეს. შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც კომპანია "ტრამექს"-ის პრეტენზიებსა და ხელშეკრულების გაუქმების საკითხებს შეისწავლის. კომისიის შემადგენლობაში იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სხვა ოფიციალური პირები შედიან.

*მედია-ნიუსი*

# ხელისუფლების "შუქ-ჩრდილებზე" ფოთში ჟურნალისტები მსჯელობენ

როცა აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი აცხადებს, რომ თანამდებობაზე დანიშვნისას პრესა დამოუკიდებელი, ხოლო ტელევიზია მართვადი დახვდა და, ამავე დროს, შესაბამის სამსახურს არსებული საქალაქო ტელევიზიის ლიკვიდაციას ავალებს და თან საკუთარ ტელესტუდიას ხსნის; პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებს და პარალელურად საკუთარ გაზეთს აფინანსებს; როცა ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო სამსახური თავის ფუნქციად არ მიიჩნევს, ქალაქის მედიას შეატყობინოს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; როცა ჟურნალისტს მთავრობის სხდომებსა და სხვა მსგავს, წესით, საჯარო შეხვედრებზე დასწრება შეზღუდული აქვს - დღესავით ნათელია, ვინ ლამობს თავისუფალ პრესასთან ბრძოლას.

მიზეზი ორია, ყოველ შემთხვევაში, მიზეზთაგან ორი იოლად გასაშიფრია: ხელისუფლებას ან არაფერი აქვს პრესასთან სათქმელი, ან მედიას იწუნებს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მას დითირამბებს არ უმღერის.



*ფოთელი ჟურნალისტები ქალაქის მერის წინააღმდეგ.*

მაგრამ, როცა ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო ცენტრი ვრცელი ტირაჟით ავრცელებს ე.წ. პრესრელიზს ვახტანგ ალანიას ქ. ფოთის მერის პოსტზე შვიდთვიანი (და არა ცხრა, როგორც ეს სინამდვილეშია) საქმიანობის შესახებ, თავისი ფორმატითა და შინაარსით წინასაარჩევნოდ საკეკლუცო ბუკლეტის მსგავსს, და სადაც მოყვანილი ფაქტები სინამდვილისგან სამარათონო დისტანციაზეა, ფოთელი ჟურნალისტები თავს გაჩუმების უფლებას არ აძლევენ.

20 სექტემბერს გაზეთ "ფოთის მოამბის" რედაქციაში გამართულ ბრიფინგზე შექმნილ ვითარებაზე, არა ქალაქის საკრებულოდან მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები (როგორც ეს ბოლო დროს ხშირად ხდება), არამედ ჟურნალისტები მსჯელობდნენ. ბრიფინგის ორგანიზატორმა, გაზეთ "ფოთის მოამბის" რედაქტორმა დალი ებრალიძემ, საგაზეთო პუბლიკაციით უკვე გასცა პასუხი **"დოკუმენტში თავმოყრილ თავხედობასა და სისულელეს".**

შვიდი თვე (თუმცა, რატომ შვიდი - ცხრა) არც ისე ცოტა დროა იმისთვის, რომ ქალაქს საკუთარი ხელი დაატყო, პრობლემები რომც ვერ მოაგვარო, მოსაგვარებელი გზები მოიძიო.

"როგორი დაგვხვდა ქალაქი ფოთი?" - რიტორიკულად სვამს შეკითხვეს პრესრელიზის შემდგენელი და თავადვე პასუხობს:

"ქუჩები - დანგრეული, არხები - გაუწმენდავი, სახურავები - გადაუხურავი, შუქი - სადღესასწაულოდ, წყალი - უგრაფიკოდ, ხელფასები - გაუცემელი, პენსიები - დაგვიანებული, მთავრობა - შევარდნაძის"...

მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო მეურნეობის სამსახურისა და ფოთიქალაქმელიორაციის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვამ ბოლო შვიდი თვის მანძილზე 845,007 ათასი ლარი "შეიწირა", ქუჩები მაინც დანგრეულია, სახურავები ისევ შესაკეთებელი, სანიაღვრე არხები მხოლოდ მზიან ამინდშია გამტარუნარიანი, წვიმისას მაინც იტბორება ქუჩები და საკარმიდამო ნაკვეთები. შუქი და წყალი? - დღეგამოშვებით კი არა, ხანგამოშვებით. პენსიები და ხელფასები კი ნამდვილად არ არის ალანიას ნოვაცია. ბოლო წლებში მათი დაუგვიანებლად გაცემა ფოთში ტრადიციად იქცა. რაც შეეხება შევარდნაძის მთავრობას, ის ქალაქში დღესაც მმართველობს. ნოემბრის გარდა კიდევ ორ რევოლუციაგამოვლილ კადრებს უპყრიათ ხელთ ხელისუფლების სადავეები.

"ჩვენ მოვედით ადგილობრივ ხელისუფლებაში!" - დეკლარაციულად აცხადებენ პრესრელიზის ავტორები. არ მოსულხართ, ბატონებო, რადგან თქვენ არა ხართ ფოთელების არჩეული ხელისუფლება!

როდემდე შეიძლება ფოთს "დე-ფაქტო" მთავრობა ჰყავდეს?!

მობეზრდათ ფოთელებს ტყუილების ზღვაში დრეიფი.

ერთად საქმის კეთების ნაცვლად ერთმანეთთან დაპირისპირებაში ენაცვლება დღეები ერთმანეთს.

ადგილობრივი არჩევნები, ფაქტია, ხვალ ვერ ჩატარდება; არადა, როცა ქალაქის საზოგადოების დიდ ნაწილს, საკრებულოს, პოლიტიკურ პარტიებს, პრესას არითმია აქვს, ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება.

დაბოლოს, P.S.-ის მაგიერ:

ამჯერად ჟურნალისტებს ნამდვილად არ გვიცდია ქალაქის მერის "შეწუხება" კომენტარისთვის. მისი პასუხი ისედაც ვიცით: სიტყვა-სიტყვით გაგვიმეორებს პრესრელიზში ჩამონათვალს. ინფორმაციის სისწორეში დაეჭვებისას კი სასამართლოს გზას მიგვასწავლის. და კიდევ: შემხვედრი არგუმენტების მოსმენა არც ჩაგვითვლია მიზანშეწონილად, რადგან ბრიფინგი ლაიტმოტივით: "გაათავისუფლეთ ფოთი შევარდნაძე-აბაშიძის ნარჩენებისგან", თავად ისახავდა მიზნად ადგილობრივი ხელისუფლების შვიდთვიანი (და ისევ, არა - ცხრა) საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის კომენტარს.

*ქეთინო ჯაკობია, ფოთიდან*

# განათლების "ქვაკუთხედი"

პირველი გვერდიდან

*სისტემის ქვაკუთხედად იქცევა."*

მოწონება დაიმსახურა "2005-06 სასწავლო წლისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აბიტურიენტთა შესარჩევად ჩასატარებელი ერთიანი ეროვნული გამოცდების" პროექტმა.

მომავალი წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების ახალი სისტემა დაინერგება. განათლების მინისტრის თქმით, ყველა აბიტურიენტი ვალდებული იქნება, სამი ძირითადი საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ინტელექტუალური ტესტი ჩააბაროს ; კონკრეტულ ფაკულტეტზე კი, მისი სფეციფიკიდან გამომდინარე - დამატებითი საგანი. როგორც მინისტრი, ისე პრემიერ-მინისტრი, დარწმუნებულნი არიან, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას კორუფციის საფრთხე აღარ იარსებებს. ლომაია დარწმუნებულია, რომ აღნიშნული მეთოდი გაამართლებს და აბიტურიენტებს აღარ ექნებათ პრეტენზიები საგამოცდო კომისიებთან ისე, როგორც ეს გასულ წლებში ხდებოდა. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ "ბავშვს ელემენტარული ცოდნა არ დაეკარგება" და გამოცდები ნაკლებად სტრესული იქნება. მომავალი წლიდან 30 000-მდე აბიტურიენტი ზუსტად ერთი და იმავე დროს გაივლის საგამოცდო ტესტირებას და ისინი მიღებული ქულების მიხედვით გადანაწილდებიან სასურველ უმაღლეს სასწავლებლებში.

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, მოსაკრებლები და გადასახადი ადგილმდებარეობის მიხედვით დაუწესდეს სამორინეებს. ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განმარტებით, სამორინეებისთვის მოსაკრებლები განსხვავებული იქნება; კერძოდ, თბილისში სამორინეების ხელმძღვანელებს გაცილებით მაღალი თანხის გადახდა მოუწევთ, ხოლო რეგიონებში გადასახადი შედარებით ნაკლები ან სულაც ნულოვანი იქნება. გარდა ამისა, გადაწყდა ლატარიების გარკვეულ ნაწილზე სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლიის დაწესებაც. ამოღებულ თანხებს კი ხელისუფლება განათლებისა და კულტურის სფეროზე გადაანაწილებს.

მთავრობამ კორუფციის კიდევ ერთი " წყარო დააშრო " - ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები გააუქმა და მათი ფუნქციების სახელმწიფო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის გადაცემა გადაწყვიტა. იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის განაცხადებით, **"ტექბიუროები კორუფციის წყაროს წარმოადგენდა და ამ ბიუროკრატიული უწყებების არსებობის გამო, საქართველოს მოქალაქეებს სხვადასხვა რიგით საკითხებზე ცნობის მისაღებად რამდენიმე უწყებაში უწევდათ სიარული. ამ გადაწყვეტილების მიღების შედეგად ნებისმიერ მოქალაქეს სასურველი ცნობის მიღება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ერთ უწყებაში - სახელმწიფო რეესტრის ეროვნ-**

# ქართველ მოსწავლეთა გამარჯვება

2004 წლის 11-18 სექტემბერს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართა მოსწავლეთა მე-16 მსოფლიო ოლიმპიადა ინფორმატიკაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 81-მა ქვეყანამ.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: თბილისის დემირელის სახ. კოლეჯის მოსწავლე ზვიად მეტრეველი; ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მოსწავლეები - ირაკლი ხომერიკი, გიორგი ლეკვეიშვილი და დავით თვალჭრელიძე; მწვრთნელები: პროფ. გია გვარამია, გიორგი მანდარია, ზაზა ჯღარკავა.

ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად. თითოეულ ტურზე მონაწილეებმა უნდა ამოხსნან ამოცანები, რომლებიც ძირითადად საყოფაცხოვრებო პრობლემების ოპტიმალურ გადაწყვეტას მოითხოვს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მონაცემებისათვის, რაც, როგორც ალგორითმიზაციის მეთოდების ცოდნას და დაპროგრამების ტექნიკის სრულყოფილად ფლობას, ასევე ღრმა ანალიტიკურ, ლოგიკურ და ორიგინალურ აზროვნებას საჭიროებს. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების პროცესი მთლიანად კომპიუტერიზებულია.

საქართველოს მოსწავლეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს: ზვიად მეტრეველმა ვერცხლის, ხოლო ირაკლი ხომერიკმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. გარდა ამისა, ზვიად მეტრეველს, როგორც ოლიმპიადის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულს, IFIP-ის (ინფორმაციის დამმუშავებელთა საერთაშორისო ფედერაცია) სპეციალური მედალი გადაეცა.



*ქართველ მოსწავლეთა ნაკრები და მისი ხელმძღვანელობა.*

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს საბერძნეთში საქართველოს ელჩი ბატონი ზვიად ჭუმბურიძე ესწრებოდა. ის დიდ ყურადღებას იჩენდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების მიმართ გუნდის ათენში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ნაკრების ხელმძღვანელები დიდ მადლობას უხდიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოში ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს და ქალაქ ქუთაისის მერიას ოლიმპიადაზე ნაკრების გამგზავრებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ხუთშაბათს ერთდღიანი ვიზიტით კიევში გაემგზავრება, სადაც სუუამ-ის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) საპარლამენტო ასამბლეის შექმნაში მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ნინო ბურჯანაძის შეხვედრები უკრაინის უმაღლესი რადის ხელმძღვანელთან ვლადიმერ ლიტვინთან და ოქტომბრის ბოლოს უკრაინაში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატთან ოპოზიციიდან ვიქტორ იუშენკოსთან. ბურჯანაძე სუუამის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის ცერემონიალზე გამოსვლისას საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** გონიოში ადგილობრივი "ნაციონალების" ორგანიზებით მოეწყო საპროტესტო აქცია, რომელზეც რუსი სამხედროების გაყვანა მოითხოვეს. "ნაციონალები" მჭიდროდ დასახლებულ ადგილზე სამხედრო პოლიგონის არსებობას აპროტესტებენ. ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი "ნაციონალების" მოთხოვნას არ იზიარებს და აცხადებს, რომ ახალ ხელისუფლებას აღნიშნული ტერიტორიის გაყიდვა სურს, რის შემდეგაც მათ საძოვრებისთვის ადგილი აღარ დარჩებათ. თავის მხრივ, "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამგვარ მოსაზრებას "აჭარის ძველი ხელისუფლების მიერ მოსკოვიდან მართული პროვოკატორები გამოთქვამენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ცენტრალურ ოფისში პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს ალვარო პინტოს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთიანდებიან. "დიდი ეროვნული გაერთიანება" - ასე ეწოდება ახალ გაერთიანებას, რომელიც 21 ორგანიზაციას აკავშირებს. მათ შორის არიან: "ჰელსინკის კავშირი", "სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება", "ეროვნულ-ლიბერალური კავშირი", "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია", "კონსერვატიულ-დემოკრატიული პარტია", "სახალხო ფრონტი" და ა.შ. გაერთიანებას ექსპრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე არ ეთანხმება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, რომელიც ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ მეთოდს - განიარაღებას შეეხება. ნათაძეს მიაჩნია, რომ განიარაღების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა. "განიარაღების პროცესის დაწყებისთანავე კონფლიქტის ზონაში ჩვენი პოზიციები შესუსტდება, რაც მიუტევებელი შეცდომა იქნება", - აცხადებს სახალხო ფრონტის ლიდერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 3 ოქტომბრის ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა. როგორც კომისიის თავმჯდომარე სერგეი სმირი აცხადებს, არჩევნებისთვის აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 2 მილიონ 200 ათასი რუბლია (დაახლოებით 132 ათასი ლარი) გამოყოფილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი რუსეთს ადანაშაულებს საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და საერთაშორისო ნორმების დარღვევაში. ამგვარი განცხადება პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ სალომე სამადაშვილმა საკომიტეტო მოსმენაზე გააკეთა, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კომიტეტის სხდომაზე 20, 21 და 22 სექტემბერს მოსკოვის აეროპორტებში საქართველოს მოქალაქეების რუსეთის ტერიტორიაზე არშეშვების საკითხი განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შესაძლოა, საქართველომ ევროსაბჭოში ხმის უფლება დაკარგოს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ უკლებამ დღეს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა ლანა ღოღობერიძემ საქართველოს საგარეო უწყებას წერილობით აცნობა, რომ, მიუხედავად ქართული მხარის მზადყოფნისა, ევროსაბჭოს საწევრო გადასახადის სახით დაგროვებული დავალიანება - 102 ათასი ევრო გადაიხადოს, ევროსაბჭო საქართველოსგან 300 ათასი ევროს გადახდას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჯარისკაცი დეპუტატები ჯარზე მსჯელობენ

პირველი გვერდიდან

კომიტეტმა მეორე მოსმენით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯარში სამსახური ყველასთვის ერთწლიანი იქნება. ასევე მეორე მოსმენით იქნა მიღებული კანონი "უშიშროების საბჭოს შესახებ". უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, პრეზიდენტთან და უშიშროების საბჭოს მდივანთან ერთად, პრემიერ-მინისტრიც იქნება. **"ალოგიკურად მიმაჩნია, რომ აქამდე უშიშროების საბჭოს სხდომებს პრემიერ-მინისტრი არ ესწრებოდა,"** - განუცხადა პრესას კომიტეტის სხდომაზე სტუმრად მიწვეულმა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ კახა სიხარულიძემ.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება სამხედრო კათედრებისთვის ყველანაირი შეღავათების გაუქმების თაობაზე. უახლოეს პერიოდში კომიტეტში შევა შესაბამისი კანონპროექტი და მას პირველი მოსმენით კენჭს უყრიან.



*საპარლამენტო კომიტეტის წევრები კანონის მეორე მოსმენით განხილვისთვის ემზადებიან.*

### თარგამაძემ და კირკიტაძემ როლები გაცვალეს

რეზერვისტთა ბატალიონის ხელმძღვანელი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით კირკიტაძეა, ხოლო კირკიტაძის მოადგილე - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე.

როგორც "24 საათს" რეზერვისტმა დეპუტატმა ალეკო შალამბერიძემ განუცხადა, **"რეზერვისტებში განწყობა მეტად ამაღლებულია. რეზერვისტთა მრავალრიცხოვნობის გამო, გარკვეულ ნაწილს უკან დაბრუნებას უპირებდნენ, მაგრამ მათთვის ეს შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და დარჩენა ითხოვეს. ამგვარი დამოკიდებულება ჩემში აღფრთოვანებას იწვევს. არადა, ცოტა ხნის წინ, ჯარის როლი საზოგადოებაში დაკნინებული იყო".**

ჯარში სამსახურისას რაიმე ახალი კურიოზი ხომ არ გადაგხდათ? - "24 საათის" ამ შეკითხვაზე კობა ბექაურმა უპასუხა: **"კურიოზული ნამდვილად არაფერი მომსვლია. ვამაყობ იმით, რომ ქართულ არმიაში ვარ. როგორც პარლამენტში არიან ქართველი დეპუტატები წარმატებული, ისეთივე წარმატებით მსახურობენ ისინი ჯარშიც."**

შალამბერიძის ინფორმაციით, პირველ კვირას პარლამენტარებმა, სხვა რეზერვისტებთან ერთად, სამწყობრო მომზადება დაასრულეს. მომდევნო კვირას საცეცხლე მომზადებას გაივლიან; ბოლოს კი ტაქტიკაში მოემზადებიან.

**"რომელია ყველაზე წარმატებული, ძლიერი და დისციპლინირებული რეზერვისტი პარლამენტარი?"** - ამ კითხვით მივმართეთ რეზერვისტთა ბატალიონის ხელმძღვანელს დავით კირკიტაძეს. **"გივი თარგამაძე,"** - ასეთი იყო მისი პასუხი.

**"რომელია ყველაზე სუსტი და ზარმაცი დეპუტატი რეზერვისტთა ჯარში?"** - კირკიტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ ასეთი პიროვნება გახლავთ კობა ბექაური.

# ქუთაისის პრობლემებზე მსჯელობა საპროტესტო ლოზუნგების ფონზე

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისში გუშინდელი დღე პოლიტიკური მოვლენებით არნახულად დატვირთული გახლდათ - ქალაქს პარლამენტის თავმჯდომარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრები, რეგიონის მაჟორიტარები და გურია-სამეგრელოს გუბერნატორები სტუმრობდნენ. ამავე დროს, გაიმართა ახალი სამარშრუტო ავტობუსებისა და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ახალი შენობის პრეზენტაცია. მხარის ეკონომიკური პრობლემების განხილვას მიეძღვნა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გამსვლელი სხდომა. ამ პომპეზური მოვლენების პარალელურად, ქალაქის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის წინ, რწმუნებულის გადადგომისა და თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, მიტინგი მიმდინარეობდა, რაც საღამოს უვადო შიმშილობაში გადაიზარდა.

პარლამენტის თავმჯდომარე და ქუთაისის მაჟორიტარი ქალაქში დილით ჩამოვიდა. მისი ვიზიტი ხალხთან შეხვედრებით დაიწყო, სხვადასხვა პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა ნინო ბურჯანაძეს მაჟორიტარის ბიუროსთან ელოდა. **"ჩემთვის დღეს ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. ქუთაისელებს შევპირდი, რომ როგორც მაჟორიტარი, მინიმუმ სამ კვირაში ერთხელ, აუცილებლად ჩამოვალ, რათა მოსახლეობის პრობლემები მოვისმინო. ქუთაისში ძალიან ბევრი პრობლემაა, ბევრი გაჭირვებულია, ყველას დახმარება კი შეუძლებელია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სახეზეა პირველი გაკეთებული საქმეებიც, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. პირველ გაკეთებულ საქმეებში მაჟორიტარი, ქუთაისში უფასო სასწრაფო დახმარების გახსნას (რომლისთვისაც ქუთაისის ბიუჯეტის დახმარებით ორი რეანიმობილი შეიძინეს) და ახალი სამარშრუტო ავტობუსების ჩამოყვანას გულისხმობდა. ამ უკანასკნელის პრეზენტაციას ქალაქის ცენტრში ნინო ბურჯანაძე პირადად დაესწრო. იმერეთის რწმუნებულის განმარტებით, კიდევ რამდენიმე ავტობუსის ჩამოყვანაა დაგეგმილი. ქალაქში მომუშავე ავტობუსებს ექსპლუატაციის ვადა ჯერ კიდევ 17 წლის წინ ჰქონდათ ამოწურული. ასე რომ, ახალმა ავტობუსებმა მოსახლეობას "სულზე მოუსწრო".



*"საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის" პრეზენტაცია ქუთაისში.*

ავტობუსების შემდეგ, "საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის" დასავლეთ საქართველოს ახალი ოფისის პრეზენტაციაც შედგა. აღნიშნულ ღონისძიებას USAID-ის კავკასიის მისიის ხელმძღვანელი დაესწრო. ამჟამად გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მართვას "ფი-ეი კონსალტინგი" ახორციელებს. ქუთაისის მოსახლეობის 40 პროცენტის გამრიცხველიანება უკვე დასრულებულია. ამოღებულმა თანხამ კი 50 პროცენტს მიაღწია, რაც აქამდე არასდროს ყოფილა. **"მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ოფისის გახსნა საქართველოს ენერგოსექტორში მიმდინარე დადებითი ცვლილებების სიმბოლური განსახიერებაა და ნათლად ასახავს აშშ-ს მთავრობის ხელშეწყობას,"** - განაცხადა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დირექტორმა დინ უაითმა. თავის მხრივ ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ ქუთაისს ზამთრის განმავლობაში შუქს 18-20 საათის განმავლოაში მიაწოდებენ.

**"ამ შენობაში ყოფნისას მაქვს განცდა, რომ საქართველოში კი არა, სადმე ევროპულ ქალაქში ვარ, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს... მეუნებიან, რომ ქუთაისისთვის ზამთარში 18-20 საათიანი გარფიკი დაწესდება. ჯობია, მოსახლეობას ვუთხარით, რომ მათ ექნებათ არა 20 არამედ 18 საათი და დავიცვათ ეს გრაფიკი,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

მოგვიანებით კი "გაერთიანებული ენერგოკომპანიის" შენობაში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა დაიწყო. აღნიშნული სხდომა პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით მოეწყო და მხარის თითოეული რაიონის პრობლემების განხილვას მიეძღვნა.

მერიის წინ კი მუმლაძის ოპოზიცია იყო მობილიზებული და უკვე ტრადიციადქცეულ მოთხოვნებს ბოლო ხმით გაჰყვიროდნენ, თუმცა "გაერთიანებული ენერგოკომპანიის" შენობამდე მათი ხმა ვერ აღწევდა. მომიტინგეთა მოთხოვნები კვლავ უცვლელია, გადადგეს რწმუნებული დათო მუმლაძე და დაინიშნოს თვითმმართველობის არჩევნები. მიტინგის მონაწილეები თბილისსა და ქუთაისში პარალელური აქციებით ხელისუფლებაზე ზეწოლასა და თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას იმედოვნებენ.

**"რაც შეეხება არჩევნებს, იგი ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩატარდეს. ამ თემაზე მქონდა საუბარი პრეზიდენტთან. პირადად მე არჩევნების სწრაფად ჩატარებას ვემხრობი. ქუთაისმა უნდა გადაწყვიტოს, ვის აირჩევს მერად. პრეზიდენტიც ფიქრობს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს. რაც შეეხება გუბერნატორის გადაყენებას, ამისათვის მარტო პოლიტიკური მოთხოვნა საკმარისი არ არის. თუ აქვთ არგუმენტები, წარმოადგინონ; გარწმუნებთ, რომ მათ ძალიან დეტალურად შევისწავლით,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. დღის ბოლოს კი მიტინგის ორმა მონაწილემ შიმშილობა დაიწყო. აქციის ორგანიზატორის ბესო ნიჟარაძის განცხადებით, შიმშილობა მანამ გაგრძელდება, ვიდრე მოთხოვნები სრულად არ დაკმაყოფილდება.

# ტერიტორიული მოწყობის პრინციპი კვლავაც არ არის განსაზღვრული

პირველი გვერდიდან

*განუცხადებია.*

გუშინ გამართულ რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის სხდომაზე ამ სამთავრობო კომისიის წევრმა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა მოკლედ მიმოიხილა, თუ რას საქმიანობს ზემოთ აღნიშნული კომისია. მანვე დასძინა, რომ, როგორც კი კომისიის წევრები უმთავრეს პრინციპებს ჩამოაყალიბებენ, მაშინვე შემუშევდება მისი განხორციელების კომპლექსური და სტრატეგიული გეგმა და იგი დაუყოვნებლივ გამოვა საზოგადოების სამსჯავროზე.

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად როდის შეიმუშავებს პრეზიდენტის მიერ შექმნილი სამთავრობო კომისია ამ გეგმას. როგორც ამბობენ - ოქტომბრის დასაწყისში, მაგრამ აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე სახელმწიფო კანცელარიაში ირწმუნებოდნენ - ქვეყნის მოწყობის პრინციპების განსაზღვრა სექტემბრის შუა რიცხვებისთვის დასრულდებაო. შექმნიდან დღემდე კი სამთავრობო კომისიის წევრებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა გამართეს.

შესაძლოა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების განსაზღვრა არც ისე სასწრაფო ყოფილიყო, რომ არა საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება - საქმე ის არის, რომ ეს საკითხი უშუალოდ და მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ისეთ მნიშვნელოვან პრობლემასთან, როგორიც თვიმმართველობაა.

რაც უფრო მეტად გაჭიმავს ხელისუფლება ამ საკითხის გადაწყვეტას, მით უფრო პრობლემატური იქნება ადგილებზე რეალური თვიმმართველობის განხორციელება, რადგან დღეს არსებული თვიმმართველობის მოდელი ძირფესვიანად შესაცვლელია. თანაც, რაც ყველაზე მთავარია: ნებისმიერ შემთხვევაში გადაიხედება თვიმმართველობითი ერთეულების ტერიტორიული დაყოფის პრინციპი, ანუ თავიდან განისაზღვრება, თუ რამდენდონიანი იქნება თვითმმართველობა და რა ტერიტორიულ ერთეულებს მოიცავს ეს დონეები.

რაც უფრო მოახლოვდება ადგილობრივი არჩევნები, მით უფრო აქტუალური გახდება ეს საკითხი. შესაბამისად, სწორედ ხელისუფლების ინტერესში უნდა შედიოდეს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელის არჩევნებამდე გაცილებით ადრე განსაზღვრა, რათა ამ თემაზე მსჯელობა უშუალოდ კენჭისყრის დღემდე ორი-სამი თვით ადრე არ დაიწყოს.

მეორე, და არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთრების გამიჯვნის საკითხიც. როგორც გუშინდელ რეგიონული პოლიტიკის, თვიმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის სხდომაზე ვანო ხუხუნაიშვილმა განაცხადა, წინა პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო ეს მნიშვნელოვანი კანონი, "თუმცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ კანონის მეორე მოსმენით მიღება დაბლოკა". ასე რომ, სულ მალე პარლამენტში კვლავ დაიწყება მსჯელობა ამ თემაზე. სავარაუდოდ, მასთან ერთად, ამ პრობლემატიკით დაინტერესებული დეპუტატები ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილების გამიჯვნის პრობლემებზეც იმსჯელებენ.

აქვე დავძენთ, რომ რეგიონული პოლიტიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების ხელმძღვანელობებს შორის ურთიერთობები აშკარად გაფუჭდა. როგორც ჩანს, დაპირისპირება უკვე დიდი ხანია, რაც წარმოიქმნა, თუმცა ეს კონფლიქტი მაინც ფარული იყო.

ქუთაისში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და პარლამენტის თავმჯდომარის გამგზავრებამ და ადგილობრივი პრობლემების განხილვამ ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა და "რეგიონალებმა" უკვე ღიად გამოთქვეს უმაყოფილება ასეთი "არაკორდინირებული ქმედებების" გამო. მით უფრო, რომ ადგილობრივ პრობლემატიკაზე მსჯელობა, როგორც კომიტეტის წერვები აცხადებენ, მათი კომპეტენცია უფროა, ვიდრე საფინანსო-საბიუჯეტო კო-

# სააკაშვილის დებიუტი გაერო-ში



*საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალურ მდივანს კონფლიქტების მოგვარების კონცეფცია გააცნო.*

პირველი გვერდიდან

ასეთი ძალისხმევა, მისი თქმით, მოითხოვს დიდი მოცულობის ინფორმაციის, სადაზვერვო მონაცემების გაცვლას, უფრო მეტ ნდობას და საქართველო ამისათვის მზად არის.

სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ შეიქმნას ერთობლივი ორგანოები ორმხრივი საკითხებისა და საფრთხეების რეგულარულად განხილვის მიზნით. კერძოდ, ასეთ განსახილველ საკითხთა შორის მან დაასახელა საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებების დაცვა.

ამასთანავე, მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ განახორციელებს იმ დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს, რაც იქამდე მიიყვანს საზოგადოებას, რომ ხალხი მოისურვებს, იცხოვროს და იმუშაოს საქართველოში. დღეს საქართველო არ არის ის ქვეყანა, რაც ერთი წლის წინ იყო.

პრეზიდენტმა ისაუბრა დემოკრატიულ გარდაქმნებზე, ახალ საგადასახადო სისტემასა და კორუფციასთან ბრძოლაზე. მან მიუთითა, რომ თავდაცვისა და სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავეთა რაოდენობა 50 პროცენტით შეამცირა და ათჯერ გაუზარდა ხელფასი სახელმწიფო ორგანოებში მომუშავეებს. აღნიშნა, რომ ახლა ეს ხალხი საკუთარ სამშობლოს პატიოსნად და, რაც მთავარია, სიამაყით ემსახურება.

ყველა ამ გარდაქმნამ მოიტანა ის, რომ უკვე დღეს ათასობით ადამიანი, რომელმაც სამშობლო 90-იან წლებში მიატოვა, საქართველოს უბრუნდება.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაარწმუნა მსოფლიო ლიდერები, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს ტერორიზმთან ბრძოლისათვის. მანვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ ერაყში ქართულ სამხედრო კონტინგენტს კვლავაც გაგზავნის.

რაც შეეხება ქვეყნის შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სამეტაპიან გეგმას, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა, მან თქვა, რომ **"საქართველო მზად არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვის და სერიოზული კომპრომისებისთვის."**

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში კონფლიქტის ზონები იარაღისგან თავისუფალ ტერიტორიებად უნდა გამოცხადდეს და კრიმინალური ჯგუფების თარეში აღიკვეთოს, რათა მოსახლეობას თავისუფლად ცხოვრების საშუალება მიეცეს.

სააკაშვილის თქმით, აუცილებელია ცხინვალში ეუთო-ს მისიის გაფართოება როკის გვირაბამდე, აფხაზეთში კი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მონიტორინგის დაწესება.

პრეზიდენტის აზრით, დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთის ნდობა უნდა დაუბრუნდეთ, ამაში კი თავისი როლი უნდა შეასრულონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა, მასწავლებლებმა და ექიმებმა. მისივე თქმით, უნდა შეიქმნას საერთო ეკონომიკური სივრცე, რაც დაახლოებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

დაბოლოს, ცხინვალსა და აფხაზეთს ფართო ავტონომიური უფლებები უნდა მიენიჭოს.

■ ■ ■

**"რუსეთი მზად არის საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობებისთვის, რისი დასტურიც არის ამ ქვეყნისადმი ეკონომიკური დახმარება, ვალების გადავადება, ელექტროენერგიის მიწოდება და სხვა შეღავათები,"** - განაცხადა ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასმაბლეის 59-ე სესიაზე მყოფმა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

მისივე თქმით, რუსეთს სურს, საპასუხო შედეგები დაინახოს, რაც ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლაში უნდა გამოიხატოს.

ლავროვმა, ასევე, კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შესახებ და აღნიშნა, რომ განიხილეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ვითრება.

**"შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა რუსეთის მხარის მზადყოფნა, კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოაგვაროს. სამხრეთ ოსეთში ბოლო თვეებში რაც მოხდა, ამაზე შესაბამისი დასკვნები უნდა გაკეთდეს,"** - აცხადებს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი.

■ ■ ■

**"ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს, დემოკრატიული რეფორმების ჩატარებისა და სრულფასოვანი სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენის საკითხში,"** - განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რიუიტელმა, ნიუ-იორკში საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე.

რიუტელმა მხარი დაუჭირა აგვისტოში სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელშიც საქართველოს ლიდერმა საერთაშორისო გაერთიანებას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში დახმარების თხოვნით მიმართა. როგორც ესტონეთის პრეზიდენტმა განაცხადა, მას ამ კონფლიქტის ეუთო-ს ეგიდით კონსტრუქციულად და მშვიდობიანად მოგვარების იმედი აქვს.

თავის მხრივ, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ესტონეთი ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების სფეროში საქართველოსთვის მაგალითია. ამიტომაც ის იმედოვნებს, რომ ესტონეთი საქართველოს ნატო-სთან და ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცებაში დაეხმარება.

ნიუ-იორკში მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ 11-13 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილი ვიზიტით ეწვევა ესტონეთს.

# მიხეილ მაჭავარიანს ახალი ხელმძღვანელის წარდგენის საშუალება არ მისცეს

პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს ზუგდიდში " ნაციონალური მოძრაობის "` რაიონული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელის, ვახტანგ ცხადაიას წარდგენის საშუალება არ მისცეს.

მოძრაობის ადგილობრივი აქტივისტები პარტიის ოფისში შეიჭრნენ და მოითხოვეს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მათი აზრის გათვალისწინებით დანიშნულიყო. მათივე განცხადებით, ცხადაია არასდროს ყოფილა "ნაციონალური მოძრაობის" წევრი და "ვარდების რევოლუციის" დროს მათ გვერდით არ მდგარა.

მიხეილ მაჭავარიანის აზრით, ამგვარი სადავო საკითხები ოფისში შეჭრის გზით ვერ გადაწყდება. ამავე მიზეზით წინა დღით მოწყობილ საპროტესტო მსვლელობას კი ვიცე-სპიკერმა "უნიჭო სპექტაკლი" უწოდა.

აღსანიშნავია, რომ "ნაციონალების" ზუგდიდის რაიონულ ორგანიზაციაში განხეთქილება კარგა ხანია არსებობს. ძირითადად, ერთმანეთს პარლამენტის წევრების - გრიგოლ ქობალიას, ნაზი არონიასა და ლაშა დარასელიას მომხრეები უპირისპირდებიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ოფისში შეჭრის ინიციატორები ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის გრიგოლ ქობალიას მომხრეები იყვნენ. **მედია-ნიუსი**

თვალსაზრისი

# საფინანსო ამნისტია - როგორ დავაბრუნოთ კაპიტალი საქართველოში

***ფინანსური ამნისტიის შესახებ საუბრები საქართველოში თითქოს ჩაწყნარდა; თუმცა, ახალი საგადასახადო კოდექსის შემოსვლასთან ერთად, როგორც სახელისუფლებო წრეებში, ისე საზოგადოებაში ისევ გაიხსენეს სახელისუფლებო შეპირება, რომელიც საფინანსო ამნისტიის განხორციელებას და ამ გზით ქვეყანაში ბიზნესზე დამატებითი ზეწოლის მოხსნას გულისხმობდა. წინამდებარე წერილი საფინანსო ამნისტიების საერთაშორისო გამოცდილებას გვაცნობს და იმასაც განმარტავს, რომ საქართველოში ეს ცნება ბევრს, მათ შორის - ხელისუფლებაშიც, არასწორად ესმის.***

ირაკლი კოვზანაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დიმიტრი ჯაფარიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

*ფინანსური ამნისტიების პრაქტიკა ფართოდ აპრობირებულია მსოფლიოში და მრავალი ქვეყანა სხვადასხვა სიხშირითა და ეფექტურობით გამოიყენებს მას. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ამ მეთოდით ცდილობენ, მოიზიდონ კაპიტალი. ტრადიციულად, დიდია დაინტერესება იმ კაპიტალის მიმართ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იქნა მიღებული და მოგვიანებით პოლიტიკური არასტაბილურობის, არასრულყოფილი კანონმდებლობის თუ სხვა მიზეზების გამო ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. მრავალი ქვეყანა წარმატებულად ახერხებს ე.წ. "გაქცეული" კაპიტალის გადაბირებას და საკუთარი ეკონომიკური სისტემის სასიკეთოდ ამუშავებას. თუმცა ის ქვეყნებიც, საიდანაც მოხდა კაპიტალის გადინება, ხშირად წარმატებით ახორციელებენ გადინებული კაპიტალის რეპატრიაციას ანუ დაბრუნებას მშობლიურ გარემოში.*



*პროფესორი ირაკლი კოვზანაძე: "ფინანსური ამნისტიების პრაქტიკით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სხვადასხვა სიხშირითა და ეფექტურობით ცდილობს, მოიზიდოს კაპიტალი."*

ფინანსური ამნისტიის ცნება ძირითადად ითვალისწინებს საზღვარგარეთ გადინებული ფულის სამშობლოში დაბრუნებას და მის მიმართვას ეკონომიკის საკეთილდღეოდ. იგი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების, პრიორიტეტულ სექტორებში ინვესტირების და დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის მნიშვნელოვანი გზაა. ქვეყანამ თავისი მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების შესაბამისად უნდა განსაზღვროს ამნისტიის პირობები, მისი ლიბერალურობის ხარისხი, მოზიდული თანხების ინვესტირების ალტერნატივები, მათი დაბეგვრის საკითხი და ა.შ.

ფინანსური ამნისტიის მაგალითები მსოფლიოში მრავლადაა. ამ სფეროში წარმატებული გამოცდილება გააჩნიათ: ბელგიას (2003), ირლანდიას (1988), სამხრეთ აფრიკას (2003), იტალიას (2001), პოლონეთს (2003), ყაზახეთს (2001), შვეიცარიას (1968), ინდოეთს (1997), არგენტინას (1995), კოლუმბიას (1987), პორტუგალიას (1988), გერმანიას (2003) და სხვა. ჩვენთვის, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ყაზახეთის წარმატებული გამოცდილება. ფინანსური ამნისტიის გზით ყაზახეთმა 45 დღეში (15 მაისი - 13 ივლისი, 2001) 480 მილიონი აშშ დოლარის დაბრუნება შეძლო ქვეყანაში მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანი კაპიტალის ამნისტირების ყაზახეთისეული გამოცდილება უპრეცედენტო და პოლიტიკურად რისკიანი ნაბიჯი იყო. უპრეცედენტო - რამდენადაც ყაზახეთს არ მოუხდენია სხვა ქვეყნის მოდელის რეპლიკაცია; ქვეყანას გლობალური მნიშვნელობის პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა საკუთარი რეალობიდან გამომდინარე, უნიკალურ მდგომარეობაში მოუწია; ხოლო რისკიანი - რადგანაც ამნისტიის იდეა განწირული იყო მსოფლიო საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებისთვის და მიმდინარეობდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მსოფლიო კამპანიის ფონზე.

ამნისტიას არ დაექვემდებარა ის თანხები რომლებიც მიღებულია შემდეგი სამართალდარღვევების შედეგად: პიროვნების, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, კონსტიტუციური მოწყობის საფუძვლების ან ქვეყნის უსაფრთხოების…ხელყოფის…გზით.

საკუთარი თანხების რეპატრიაციას ცდილობენ არა მარტო გარდამავალი ეკონომიკის, არამედ განვითარებული ქვეყნებიც. ფინანსური ამნისტია წარმატებით განახორციელა ბელგიამ. ბელგიის მიდგომა კაპიტალის რეპატრიაციის მიმართ უნიკალურია. მათ ძირითადი აქცენტი გაამახვილეს მსხვილი კაპიტალის მოზიდვაზე და, შესაბამისად, ამისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები ჩამოაყალიბეს ვიდრე წვრილი კაპიტალის ინვესტიციებისათვის. ამდენად, ქვეყანაში უფრო მაღალი პროცენტული გადასახადით იბეგრებიან ნაკლები კაპიტალის მფლობელები, ხოლო დიდი რაოდენობით კაპიტალის მფლობელთ დაბალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა უწევთ. ამ გზით ქვეყანამ 850 მილიონი ევროს მობილიზაცია შეძლო. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ქვეყნიდან სულ გადინებული იყო 1 მილიარდი ევრო. ასე რომ, დაბრუნებამ 85 პროცენტი შეადგინა.

1998 წელს ირლანდიაში გამოცხადებული ამნისტიის შედეგად ქვეყანაში 750 მილიონ აშშ დოლარი შევიდა, რაც 15-ჯერ აღემატებოდა სავარაუდო პროგნოზს (50 მილიონი აშშ დოლარი). იტალიაში ჩატარებული ამნისტიის საფუძველზე დაბრუნებული იქნა 56 მილიარდი ევრო, მათ შორის - მხოლოდ შვეიცარიიდან გადმოირიცხა 55 მილიარდი. თავად შვეიცარიაში ჩატარებული ამნისტიის საფუძველზე დაბრუნებული იქნა 6.5 მილიარდი დოლარი.

ფინანსური ამნისტიის კანონი მზად აქვს რუსეთსაც. ექსპერტული შეფასებებით, რუსეთის საზღვრებს გარეთ მყოფი რუსული კაპიტალი 150 - 500 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობს, ამნისტიის შედეგად რუსეთი, სულ ცოტა, 25 მილიარდი დოლარის დაბრუნებას ვარაუდობს.

საფინანსო ბაზრების გლობალიზაციამ გამოიწვია ის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში არასახარბიელო საზოგადოებრივი მოვლენების განვითარება განაპირობებს ქვეყნიდან ლოკალური საფინანსო კაპიტალის მყისიერ გადინებას. გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოდან უკანასკნელი 15 წლის მანძილზე კაპიტალის გადინებას მრავალი მიზეზი გააჩნდა, მათ შორის: არასტაბილური პოლიტიკური გარემო, დეგრადირებადი ეკონომიკური სისტემა, ბიზნესისადმი ანტაგონისტურად განწყობილი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, არარაციონალური საგადასახადო სტრატეგია, სისტემური კორუფცია, კრიმინალური აქტივობის მაღალი დონე და ა.შ.

ამნისტიის კონცეფცია მაქსიმალურად ნათელია - დღეისათვის მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდეს მარტივი და ეფექტური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ გადინებული კაპიტალის, არამედ ასევე უცხოეთში გენერირებული კაპიტალის რეპატრიაციას საქართველოში. ფინანსური ამინისტია მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკაში დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას და სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი აქციის ჩატარებას იმ ფულადი სახსრების ლეგალიზებისათვის, რომლებიც მოპოვებული იქნა ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ ლეგალური და ჩრდილოვანი სამეწარმეო საქმიანობიდან და რომელმაც მოგების მიღების შემდგომ კვლავ ჩრდილოვანი სტატუსი შეიძინა. აღნიშნული ღონისძიება უმძლავრეს იმპულსად მოგვევლინება ქართული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბების საქმეში. ზემოხსენებული პროექტის საფუძველზე მოსალოდნელია შემდეგი სახის ეკონომიკური ეფექტები:

- ლეგალურ სტატუსს შეიძენს ქვეყნის შიგნით მოქმედი ჩრდილოვანი ბანკნოტური ფულადი მასა;
- ქართული ეკონომიკა შეივსება ქვეყნიდან ძნელბედობის ჟამს გადინებული ფულადი მასით;
- ქვეყნის ეკონომიკა შეივსება თვისობრივად ახალი კაპიტალით, რომელიც გენერირებულია საზღვარგარეთ და ხასიათდება მოწინავე საინვესტიციო და ტექნოლოგიური გამოცდილებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია დსთ-ს ქვეყნებში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გენერირებული ე.წ. "ქართული კაპიტალი").

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კაპიტალის ძალადობრივი გზით რეპატრიაციის მცდელობა ძალზედ დაბალი ეფექტის მატარებელი ღონისძიებაა. ამგვარი პროექტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ ბიზნესის კეთების რამდენად მიმზიდველ პირობებს ამკვიდრებს ქვეყანა, რომელიც ემზადება ფინანსური ამნისტიის გამოსაცხადებლად.

რა იგულისხმება "მიმზიდველ პირობებში"? ეს არის, უპირველეს ყოვლისა, იმ იურიდიული და ფიზიკური პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალის რეპატრიაციას, გარდა ამისა: კაპიტალის რეპატრიაციის პროცედურების სრული ანონიმურობის უზრუნველყოფა, საგადასახადო სისტემის გამარტივება და საგადასახადო განაკვეთების შემცირება, სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზაცია, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მინიმალიზაცია.

## რატომ უნდა განხორციელდეს საფინანსო ამნისტია?

საქართველოში საფინანსო ამნისტიის განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- ახალი ხელისუფლების დინამიური პოლიტიკური სტრატეგია მოითხოვს ადეკვატურ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას;
- ქვეყანაში გამოცხადებულია საფინანსო ამნისტიის პირველი ეტაპის - საგადასახადო ამნისტიის მზადების შესახებ, რაც მოითხოვს შემდგომ აუცილებელ ნაბიჯებს სრული საფინანსო ამნისტიის კუთხით;
- ქართული ეკონომიკა საფინანსო რესურსების უმწვავეს უკმარისობას განიცდის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობები მეტად უმნიშვნელოა, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის ალტერნატიული რესურსების მოძიებას;
- საფინანსო ამნისტიის გამოცხადება ნათელი გზავნილი იქნება მსოფლიოსათვის, რომ ქვეყანა იღებს თვისობრივად ახალ, ლიბერალური ეკონომიკური სტრატეგიის კურსს, რაც უცილობლად გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას;
- საფინანსო ამნისტიის წარმატებული პროექტი, საგადასახადო სისტემის აუცილებელ ლიბერალიზაციასთან ერთად, განმაპირობებელი ფაქტორი იქნება საქართველოში კონკურენტუნარიანი და პროდუქტიული ეკონომიკის დასამკვიდრებლად;
- ამნისტიის ლიბერალური პროექტის შექმნით თანდათანობით აღმოიფხვრება მოსახლეობაში სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში არსებული ფინანსური ნდობის დეფიციტი, რაც მემკვიდრეობით გადმოვიდა წინა ხელისუფლებიდან;
- საფინანსო ამნისტიის განხორციელებით წარმოქმნილ პირდაპირ ფინანსურ ეფექტზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ირიბ ეფექტს, რასაც მოიტანს საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან ნდობის ამაღლება და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება.

საქართველოში კაპიტალის რეპატრიაციის ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა გამოიწვევს დასავლეთის ქვეყნების საფინანსო სტრუქტურების მხრიდან ნდობის ხარისხის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე.

## საფინანსო ამნისტიის შესაძლო შედეგები

სავარაუდოდ, საფინანსო ამნისტიის პოზიტიური ზემოქმედების შედეგი აისახება შემდეგ ფინანსურ სეგმენტებზე:

- ნდობას აღიდგენს და შესაძლოა, რეპატრირებული იქნეს უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საექსპორტო საქმიანობის შედეგად ქვეყანაში არდაბრუნებული ფულადი მასა, რომელიც განთავსებულია როგორც პოსტ-კომუნისტური, ასევე დასავლეთის ქვეყნების საფინანსო-სამეწარმეო ინფრასტრუქტურებში.

ადგილობრივი გენეზისის კაპიტალი, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ და დისკრიმინაციულ გარემოს გაექცა და საქართველოში თავისუფალი და თანაბარუფლებიანი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებამდე რეპატრიაციას ვერ ბედავს.

- დსთ-ს ქვეყნებში ქართველ მოქალაქეთა წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გენერირებული კაპიტალისა და ბიზნესის საქართველოში გადმოტანა, რისი მასტიმულირებელი ფაქტორებიც შეიძლება იყოს:
- სამშობლოში ანუ საქართველოში განვითარებული პოზიტიური პოლიტიკური მოვლენები და მისგან გამომდინარე ლიბერალური, ეფექტური ეკონომიკური გარემოს შექმნა;
- დსთ-ს ქვეყნებში ცხოვრებისა და საქმიანობის თანმხლები, ეთნიკური კუთვნილების მიზეზით წარმოქმნილი დისკომფორტი. (ე.წ. "დსთ-ს ქართული კაპიტალი" შესაძლებელია მეტად პერსპექტიულ წყაროდ მოგვევლინოს, რადგანაც, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით, სწორედ დსთ-ს სივრცეში ფიქსირდება ქართველ მოქალაქეთა წარმატებული ბიზნესაქტიობა დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით).

## გადინებული კაპიტალის ოდენობა

"საფინანსო ამნისტიის" იდეის კონცეპტუალური გააზრებისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს იმ სავარაუდო მოცულობების შეფასება, რაც გადინებულია ქვეყნიდან. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გადინებული კაპიტალის გაზომვა მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოუდგენელია, რადგანაც განვლილი 15 წლის მანძილზე ამ მიმართებით მონაცემების ორგანიზებული აღრიცხვა არ წარმოებულა. შესაბამისად, უმცირესი და ირიბი შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით ამ პერიოდში საქართველოდან გადინებული და ასევე ჩრდილში მყოფი კაპიტალის მოცულობა აღწევს დაახლოებით ერთი მილიარდ ორასი მილიონი ამერიკული დოლარის ეკვივალენტს. (შეფასება ასევე ეყრდნობა დღემდე არსებულ ოფიციალურ მონაცემებს).

კაპიტალის რეპატრიაციის პროექტის საფუძველზე შესაძლებელია ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში ისეთი საფინანსო ამნისტიის მოდელის ჩამოყალიბება და რეალიზება, რომლის ძირითად პრინციპებს და მიზნებს წარმოადგენს:

1. საგადასახადო ამნისტიის განხორციელება;
2. სრული საფინანსო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც გულისხმობს როგორც ქვეყნიდან გადინებული ფინანსების, ასევე უცხოეთში გენერირებული კაპიტალის საქართველოში მობრუნებას;
3. საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

## საფინანსო ამნისტიის განხორციელების გზები

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შესამუშავებელი იქნება სპეციალური კანონი სრული საფინანსო ამნისტიის შესახებ. კანონი არ გავრცელდება იმ ფულადი სახსრების ლეგალიზებაზე, რომელიც მოპოვებულ იქნა კორუფციული კანონდარღვევების, პიროვნების, კაცობრიობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, კონსტიტუციური წყობილების პრინციპებისა და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საფუძვლების, საკუთრების, სახელმწიფოებრივი სამსახურის ინტერესების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გზით.

საფინანსო ამნისტიის კანონის ტექნიკური განხორციელება შემდეგი სქემით წარიმართება: ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ მობილიზებული საფინანსო რესურსები ჩაირიცხება სპეციალურ ანგარიშებზე. ლეგალიზების ვადის განმავლობაში მათი გამოუყენებლობის პირობით, ნაღდი ფულის ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში შეტანის და უცხოურ ბანკებში არსებული პირადი ანგარიშებიდან გადარიცხვის გზით. უცხოური ვალუტის ჩამონათვალი დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სრული საფინანსო ამინისტიის პერიოდი, სავარაუდოდ, შესაძლებელია, შეადგენდეს მინიმუმ სამ-ოთხ თვეს. პერიოდის დაწყების ვადა დადგინდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით. თანხების შეტანა (ჩარიცხვა) უნდა მოხდეს სპეციალურ ანგარიშებზე, რომლებიც გაიხსნება საქართველოს ეროვნულ ბანკში. თანხის შეტანის (ჩარიცხვის) შემდეგ პიროვნებას გადაეცემა დოკუმენტი (სერტიფიკატი), რომელშიც აღნიშნული იქნება თანხის სიდიდე და შეტანის თარიღი. ფულადი სახით შემოსული აქტივები ერთჯერადად დაიბეგრება, რომლის მოცულობაც წინასწარ დადგინდება (მაგალითად - მთლიანი თანხის 10 პროცენტი) და განთავსდება ეროვნული ბანკის მინიმალურვადიან (სავარაუდოდ, შვიდდღიან) უპროცენტო დეპოზიტზე. ამ ვადას სალეგალიზაციო ვადა ეწოდება. მოქალაქე უფლებამოსილია, განაგოს თავისი ფულადი სახსრები, რომელიც ჩაირიცხა სპეციალურ ანგარიშზე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, ლეგალიზების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. სპეციალური ანგარიშების არსებობისა და მათზე არსებული თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გახმაურებას. სპეციალური ანგარიშის არსებობა არ წარმოადგენს რაიმე პროცესუალური ქმედებების განხორციელების, მათ შორის - სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ან ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდების საფუძველს. თანხების ჩარიცხვა შესაძლებელია აგრეთვე კომერციულ ბანკებში, თუმცა ავტომატურად დადგება დეპოზიტების დაზღვევის საკითხი. საქართველოში დღეისათვის არ არსებობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რაც განაპირობებს ეროვნული ბანკის ანგარიშების გამოყენების პრიორიტეტულობას ამ მიმართებით.

ფინანსური ამნისტიის ზემოხსენებული იდეა მხოლოდ კონცეპტუალური ხასიათისაა და, ბუნებრივია, დეტალიზებას მოითხოვს იმ მიმართებით, რომ მაქსიმალურად მიესადაგებოდეს ქართული საზოგადოების სპეციფიკას. ერთი რამ კი ცხადია: სწორედ ამნისტიის პროექტი შეიძლება გამოდგეს ის მძლავრი არგუმენტი, რომელიც ინვესტორებს საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად მოსალოდნელი რისკის არსებობის დისკომფორტს მოუხსნის.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს კონკურსს სატრანსფორმატორო ჯიხურების რემონტზე:**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 28 სექტემბერი.

**სს "თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**24 სექტემბერს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
ჩოლოყაშვილის II კვარტლის, ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ), ჩოლოყაშვილის(ნაწილობრივ), ლერწმის, მანავის, მალხაზის, გრომოვის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

**ბრძანება N171**
2004წ. სექტემბერი
**ქ. თბილისი**
**2004-2005 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის წამახალისებელი თანხის (10 ლარი) გადაცემის შესახებ**

“2004-2005 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა წასახალისებლად საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ასიგნებათა გამოყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 17 სექტემბრის N839 განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაევალოთ საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს გასცენ II-XI კლასების თითოეულ მოსწავლეზე 10 ლარის ოდენობის თანხა რაიონული გამგეობების საფინანსო განყოფილებების მიერ მათთვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებიდან.
2. აღნიშნული თანხის დარიგება მოხდეს სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში, თანდართული უწყისის თანახმად.

*მინისტრი ალექსანდრე ლომაია*

“2004-2005 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის წამახალისებელი თანხის (10 ლარი) გადაცემის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 22 სექტემბრის N171 ბრძანების

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

**ბრძანებით განსაზღვრული თანხა გამოყოფილია საქართველოს პრეზიდენტის მიზნობრივი ფონდიდან, გრანტის სახით, რომელიც წარმოადგენს საჩუქარს თითოეული მოსწავლისათვის;
აღნიშნული თანხა უნდა გადაეცეთ თითოეული მოსწავლის თანდასწრებით მათ მშობლებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, რომლებიც განკარგავენ მას საკუთარი შეხედულებისამებრ; დაუშვებელია თანხის სხვაგვარი, მათ შორის სკოლის მიზნებისათვის გამოყენება.**



# რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგი ეცემა

*რუსეთის პრეზიდენტის მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ტრაგედიას, უეჭველია, კორექტივები უნდა შეეტანა რუსეთის უდავოდ მცდარ კავკასიურ პოლიტიკაში. შედეგად ხელისუფლების პოლიტიკის კორექტირება კი მოხდა, მაგრამ პირიქით - პუტინმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით სახელისუფლებო ვერტიკალი გააძლიერა. დასავლეთში პუტინის მხრიდან სრული ავტოკრატიის დამკვიდრების მცდელობაზე ალაპარაკდნენ. უკმაყოფილო ტონი რუსეთის მოსახლეობასაც დაეტყო და ამას უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებს.*



*პუტინის იმიჯი "კურსკის" დონეზე დაეცა.*

ბესლანის ტრაგიკულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მაინც იქონია ვლადიმირ პუტინის პოლიტიკურ იმიჯზე. მას შემდეგ, რაც ბარენცის ზღვაში რუსული წყალქვეშა ნავი ჩაიძირა, მისმა რეიტინგმა კიდევ ერთი ვარდნა განიცადა და 4 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ მაჩვენებლზე შეჩერდა.

ნიშანდობლივია, რომ ამის შესახებ სტატია პირველად ბრიტანულ გაზეთ "Financial Times"-ში დაიბეჭდა და მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა რუსული საინფორმაციო საშუალებებით. "Financial Times"-ს მოჰყავს მორიგი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომელიც რუსულმა "ლევადა-ცენტრმა" ჩაატარა. სტატიაში ნათქვამია, რომ სექტემბერის შუა რიცხვებში პუტინს მხარს უჭერდა მოსახლეობის 66 პროცენტი, რაც ორი პროცენტით ნაკლებია აგვისტოს მაჩვენებელზე. შესაბამისად გაიზარდა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც მკვეთრად უარყოფითად აფასებენ პუტინის მოღვაწეობას, დღეს იგი 31 პროცენტს შეადგენს.

ორპროცენტიანი ვარდნა თითქოს საგანგაშო მაჩვენებელი არ უნდა იყოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ წლის დასაწყისის მონაცემებს, ყველაფერი ნათელი გახდება. მარტში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პუტინის რეიტინგი ისეთი მაღალი იყო, რომ დღევანდელ მაჩვენებელს ვერავინ წარმოიდგენდა. სულ რაღაც ნახევარ წელიწადში იგი 81 პროცენტიდან 66-მდე დაეშვა.

აღსანიშნავია, რომ ეს ვარდნა არ ყოფილა სპონტანური. საოცარია, მაგრამ აპრილიდან, არჩევნების დასრულების შემდეგ იგი ყოველთვიურ კლებას განიცდიდა. მაშინ სოციოლოგები აღნიშნავდნენ, რომ რეალურ კლებას ადგილი არ აქვს, მაგრამ საპირისპიროს ამტკიცებდნენ ექსპერტები - არსებული სიტუაცია მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ არჩევნების წინ პუტინის ელექტორატი მობილიზებული იყო, ხოლო შემდეგ ინტერესი შენელდა. დღეს კი უკვე ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სექტემბრის რეიტინგის დაცემა უდავოდ ბესლანის მოვლენითაა გამოწვეული.

"ლევადა-ცენტრის" ხელმძღვანელი იური ლევადა აღნიშნავს: "ფრიად საგულისხმოა, რომ გადატანილი დღეების შემდეგ პუტინის რეტინგმა კი არ მოიმატა, როგორც ეს მოხდა დუბროვკის ტერაქტის შემდეგ, არამედ დაეცა." თუმცა, იქვე ლევადა აღიარებს, რომ ერთთვიანი ვარდნა არ იქნება გადამწყვეტი.

როგორც თავად სოციოლოგი ხსნის, მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბესლანის მოვლენების დროს პუტინმა თავი არანაირად - არც დადებითად და არც უარყოფითად არ გამოავლინა. პრაქტიკულად არაფერი მოუმოქმედებია ვითარების განსამუხტავად. "პუტინი უბრალოდ არ ჩანდა (ბესლანის) მოვლენების დასრულებამდე. გარდა იმისა, რომ იგი იქ არ ჩავიდა, მას არც რაიმე განცხადება გაუკეთებია. არაფერი არ გაუკეთებია, სანამ ყველაფერი ასე საშინლად არ დასრულდა. ამის შემდეგ კი ცოტა უცნაური განცხადებები დაიწყო. მარტივად რომ ვთქვათ, დაიწყო სიტუაციის გამოყენება სულ სხვა მიზნების მისაღწევად".

იური ლევადას თქმით, პუტინის ერთადერთი სიძლიერეა უალტერნატივობა, ანუ ის, რომ მეტი არავინაა, ვისზე დაყრდნობაც შესაძლებელი იქნებოიდა - ასეთი პოზიცია ჰქონდათ გამოკითხულებს. და დიდწილად ეს სიმართლეს შეეფერება - რუსეთში დღეს რეალობა ისეთია, რომ არც პუტინის წინააღმდეგ და არც მის გვერდით სერიოზული ლიდერი არ არსებობს.

სექტემბრის მთავარი შედეგი კი ის იყო, რომ ამ თვეში რუსეთის პრეზიდენტი მმართველობის პერიოდის ყველაზე ცუდ მაჩვენებელს მიუახლოვდა. პუტინის მხარდაჭერის მინიმალური დონე 2000 წლის აგვისტოში დაფიქსირდა - 60 პროცენტი. მაშინ მოსახლოების დროებითი იმედგაცრუების მიზეზი წყალქვეშა ხომალდ "კურსკის" ტრაგედიას უკავშირდებოდა. როდესაც ატომურ წყალქვეშა ნავზე 118 ადამიანი იღუპებოდა (ცნობილია, რომ ხომალდის ჩაძირვის შემდეგაც ეკიპაჟი რამდენიმე საათი გადარჩენისთვის იბრძოდა და ბოლოს უჰაერობისგან დაიღუპა), პუტინმა შვებულების შეწყვეტაც კი არ ინება. და როდესაც ჟურნალისტებმა იკითხეს თუ რა დაემართა "კურსკს", მან ცინიკურად, ერთი სიტყვით უპასუხა - "ჩაიძირა".

უნდა აღინიშნოს, რომ პუტინის რეიტინგის ვარდნაზე სერიოზულად იმოქმედა რუსული მედიის მიერ ბესლანის მოვლენების გაშუქების სტილმა და ასევე, ტრაგედიის შემდგომ პრეზიდენტის მიერ მიღებულმა (ზოგიერთი ექსპერტის აზრით, არაადეკვატურმა) გადაწყვეტილებებმა. გამოკითხულთა 85 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ სრული სიმართლე არ უთხრეს ამ ტერაქტის შესახებ; ამავდროულად 20 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მათ მუდამ ატყუებდა.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მოსახლეობას პრეზიდენტისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს კრიზისის მოგვარების გზების მიმართაც. რესპონდენტთა 59 პროცენტი მიიჩნევს, რომ მთავარია სისხლი არ დაიღვაროს და ტერორისტებთან დათმობებზე წასვლა შესაძლებელია. მხოლოდ 32 პროცენტი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში მთავარი დამნაშავეთა გაუვნებელყოფაა, მიუხედავად იმისა, გამოიწვევს ეს მძევალთა შორის მსხვერპლს თუ არა.

გუშინ, მედიაში გავრცელებული კიდევ ერთი საინტერესო გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედი უკავშირებს ბესლანის მოვლენებს საერთაშორისო ტერორიზმს.

იგივე ანალიტიკური ცენტრის კითხვაზე - შეძლებს თუ არა ვლადიმირ პუტინი საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ტერორიზმის პრობლემის გადაჭრასა და ჩეჩნეთის ომის დასრულებას? - პასუხები ასე განაწილდა: უარყოფითი - 78 პროცენტი; დადებითი - 15 პროცენტი; უჭირს პასუხის გაცემა - 7 პროცენტი.

# სირია საერთაშორისო ტერორისტების მხარდაჭერას უარყოფს

სირიის ფინანსთა მინისტრმა მუჰამედ ალ-ჰუსეინმა ფულის გათეთრებასა და ტერორისტული მოძრაობების დაფინანსებასთან დაკავშირებით აშშ-ს ბრალდებები უარყო. "სირიის კომერციული ბანკი, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია აღნიშნულ ბრალდებებს უყენებს, იცავს კანონებს, არ ახდენს უკანონო გზით ნაშოვნი სახსრების ლეგალიზაციას და არ აფინანსებს ტერორისტებს", - განაცხადა მინისტრმა.

გარდა ამისა, ალ-ჰუსეინმა აღნიშნა, რომ გასული ორი დღის განმავლობაში მან სირიის ხელისუფლების მოწვევით დამასკოში ჩამოსულ აშშ-ს საფინანსო უწყების წარმომადგენლებთან საკმაოდ ნაყოფიერი და პოზიტიური კონსულტაციები გაიარა. მოლაპარაკებების მსვლელობისას ოფიციალურმა დამასკომ ამერიკულ მხარეს გააცნო საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც სირიის კომერციული ბანკი თავის საქმიანობას ახორციელებს.

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ამერიკის ადმინისტრაციამ ზემოაღნიშნული ბანკის წინააღმდეგ სანქციების გატარების თაობაზე განცხადება გააკეთა, ვინაიდან, მათი თქმით, "სირიის კომერციული ბანკი ეწევა უკანონო ფინანსურ ოპერაციებს და საერთაშორისო ტერორიზმს აფინანსებს".

თუმცა, სირია უარყოფს ყოველგვარ კავშირს საერთაშორისო ტერორიზმთან და მკაცრად გმობს მას. ამასთან, სირიის ხელისუფლება არ თვლის ტერორისტულ ორგანიზაციებად მათ, ვინც უცხოური ოკუპაციისა და აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან. კერძოდ, მათ რიცხვში შედიან პალესტინური დაჯგუფებები "ისლამური ჯიჰადი" და "ჰამასი", ლიბანური შიიტური ორგანიზაცია "ჰესბოლა" და სხვ. ქვეყნის ხელმძღვანელობის ამგვარი პოზიცია 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაფიქსირდა, როდესაც დამასკომ ტერორისტული აქტები დაგმო, მაგრამ, იმავდროულად, რადიკალური პალესტინური ორაგზანიცეიბისათვის პოლიტიკური თავშესაფარის მიცემის თაობაზე თავისი გეგმები დაადასტურა. ამასთან, სირიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს"ალ-ქაიდას".

თავის დროზე ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ეს ქვეყანა იმ სახელმწიფოთა სიაში შეიყვანა, რომლებიც ტერორიზმს უჭერენ მხარს. ერაყის ომის შემდეგ აშშ დამასკოს წინააღმდეგ ძალისმიერი ოპერაციების განხორციელებითაც იმუქრებოდა. 2003 წლის დეკემბერში აშშ-მ სირიის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო, რაც სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიერ ქიმიური და ბიოლოგიურ იარაღის შექმნის მცდელობის ბრალდებით ახსნა. ეს სანქციები მიმდინარე წლის მაისში გამკაცრდა.

აღნიშნული სანქციები, მედიკამენტებისა და პროდუქტების გარდა, ყველა სხვა სახის საქონლის ექსპორტისა და აშშ-დან სირიაში რე-ექსპორტის აკრძალვას გულისხმობდა. ამავე დროს, შემოღებულ იქნა სრული აკრძალვა სირიული ავიაკომპანიების მიერ აშშ-ს საჰაერო სივრცის გამოყენებაზე. თუმცა, აკრძალვა არ ვრცელდებოდა სპეციალურ ჩარტერულ რეისებზე, რომლებიც სირიის მთავრობის წევრთა ვიზიტებისთვის იყო განკუთვნილი. აშშ-მ ასევე დააყადაღა იმ პირთა და ორგანიზაციათა მთლიანი საკუთრება, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ სირიის მიერ ტერორისტების დაფარვასა და მხარდაჭერას ან დამასკოს ლიბანის ტერიტორიაზე თავისი საჯარისო შენაერთების შენარჩუნებასა და ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამების განხორციელებაში ეხმარებიან.

ცნობილი გახდა, აგრეთვე, რომ სირია ლიბანში თავის საჯარისო ნაწილების გადაჯგუფებას გეგმავს. სირიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ 3 ათასი სამხედრო მოსამსახურის დისლოცირების ადგილის შეცვლას შეუდგა, რომლებიც მანამდე ბეირუთის მიმდებარე რაიონში იყვნენ განლაგებული. ლიბანის თავდაცვის სამინისტროს ანონიმი მაღალჩინოსნის ცნობით, სირიელი ჯარისკაცები ქვეყნის სხვა რაიონებში გადაისროლეს.

სირიის შეიარაღებული ძალები ლიბანის ტერიტორიაზე პირველად 1976 წელს შევიდნენ, როდესაც ლიბანში სამოქალაქო დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. 1989 წლისათვის, როდესაც სამოქალაქო ომი დასრულდა, ტაიფის შეთანხმებით, სირიას ორი წლის მანძილზე ქვეყნის ტერიტორიიდან თავისი ჯარები უნდა გაეყვანა.

მრავალი ლიბანელი თუ სირიელი ოფიციალური პირი აცხადებს, რომ სამოქალაქო ომის დროს სირიელმა ჯარისკაცებმა ლიბანს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს. თუმცა, დღეისათვის, ლიბანელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანა ათ წელზე მეტია შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებს და უცხო ქვეყნის ჯარების არსებობა საჭირო აღარ არის.

ლიბანის სამხედრო ხელმძღვანელის თქმით, ლიბანის ტერიტორიიდან სირიის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის თაობაზე საუბარი, ჯერჯერობით, არ მიდის, თუმცაღა, საერთაშორისო საზოგადოებამ დამასკოს არაერთხელ მოუწოდა, რომ ლიბანის ტერიტორიიდან ჯარები გაეყვანა. მოცემულ მომენტში სირიელი სამხედროების რიცხვი ლიბანის ტერიტორიაზე 20 ათას კაცს აღწევს. როგორც სირიის სამხედრო წრეები იუწყებიან, საჯარისო შენაერთების დისლოკაციის ადგილის შეცვლა რამდენიმე დღეს დაიკავებს.

# კანონის უზენაესობა - გაერო-ს 59-ე სესიის პრიორიტეტი

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესია ძირითადად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ჰუმანიტარული კატასტროფების, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდი უფსკრულისა და კონფლიქტების საკითხების განხილვას დაეთმო. ტრადიციისამებრ, სესია გენერალურმა მდივანმა გახსნა, რომლის შემდეგ სიტყვით ბრაზილიის პრეზიდენტი ლუიშ ინასიო ლულა და სილვა გამოვიდა. რიგით მესამე სიტყვით, როგორც წესი, აშშ-ს პრეზიდენტი, მასპინძელი ქვეყნის ლიდერი გამოდის. გაერო-ს საერთოპოლიტიკურ დისკუსიებში, რომელიც 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება, მონაწილეობას მიიღებს 62 სახელმწიფოს მეთაური, 21 მთავრობის ხელმძღვანელი, 2 ვიცე-პრეზიდენტი, ერთი მემკვიდრე-პრინცი, 12 პრემიერ-მინისტრი, 91 საგარეო უწყების ხელმძღვანელი და ერთი ვიცე-პრემიერი. 21 სექტემბერს სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ს, კატარის, გაბონის, შვეიცარიის, ტანზანიის, ავღანეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების პრეზიდენტები.



*დღეს კანონის უზენაესობა საფრთხეშია მსოფლიოს მასშტაბით.*

სესიის გახსნაზე გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მსოფლიო ლიდერებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვისკენ მოუწოდა. მან კიდევ ერთხელ შეახსენა სახელმწიფოთა პირველ პირებს, რომ არავინ შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა. "დღეს კანონის უზენაესობა საფრთხეშია მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენ თვალწინ ირღვევა ძირითადი კანონები. ჩვენ მოწმენი ვხდებით ერაყში უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ცივსისხლიანი ანგარიშსწორებისა და ტყვეებზე დამამცირებელი ზემოქმედებისა, დარფურში პროვინციებიდან მოსახლეობის მასობრივი გამოდევნისა და მათი სახლების განადგურებისა. ბესლანში ვიხილეთ, როგორ აიყვანეს მძევლად და შემდეგ მხეცურად გაუსწორდნენ ბავშვებს", - მიმართა კოფი ანანმა სესიის მონაწილეებს. მან ასევე დაგმო ხელისუფლების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით სამოქალაქო თავისუფლების უგულებელყოფა. ამგვარი ქმედება კი კიდევ უფრო საზარელია იმ ფონზე, როდესაც არსებობს უამრავი სამართლებრივი ნორმა და კანონი. გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მსოფლიო ლიდერებს კანონის უზენაესობა მხოლოდ თეორიულ დონეზე არ განიხილონ და მაქსიმალურად შეეცადონ მათ რეალიზებას ცხოვრებაში.

ბესლანის ტრაგედიას თავის სიტყვაში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც შეეხო. მან, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. რაც შეეხება ერაყულ კამპანიას, ჯორჯ ბუშის პოზიცია კვლავ უცვლელია, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო.

გაერო-ს 59-ე სესიაზე მისი მიმართვა გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებისდმი უკვე ერაყის გარდამავალი მათვრობისთვის მხარდაჭერის აღმოჩენისკენ იყო მიმართული. ჯორჯ ბუში ესაუბრა ერაყის პრემიერ-მინისტრს აიად ალავისაც, რომელმაც მას მადლობა გადაუხადა სიმამაცისთვის, რაც აშშ-მ გამოავლინა და ვერ შეძლო გაერო-მ. ალავის განცხადებით, ერაყში განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, "ხალხისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ჩვენ გამარჯვებულები ვართ, განვითარების გზას დავადექით და ტერორისტებს ვამარცხებთ". დახმარებას კი აიად ალავი საერთაშორისო ლიდერებს, სავარაუდოდ, პარასკევს დაგეგმილ გამოსვლაში სთხოვს.

ჯორჯ ბუშმა გამოსვლაში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გააგრძელებს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას. მისი განცხადებით, აშშ ყოველნაირად დაეხმარება ავღანეთსა და ერაყს დასახული მიზნების განხორციელებაში, რაც უსაფრთხოების დამკვიდრებასა და თავისუფლებისკენ წრაფვას ნიშნავს. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტი გამოვიდა გაერო-ში დემოკრატიის ფონდის შექმნის ინიციატივით. "დემოკრატიის ფონდი სახელმწიფოებს, კანონის უზენაესობის პრინციპზე დაყრდნობით, დემოკრატიის განვითარებაში, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, თავისუფალი მასმედიის, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებასა და პროფკავშირების შექმნაში დაეხმარება. გარდა ამისა, ფონდი გამოყოფს სახსრებს საარჩევნო უბნების შექმნისა და საარჩევნო დამკვირვებლების მხარდაჭერისათვის", - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა. მისი თქმით, პირველი შენატანი დემოკრატიის ფონდში აშშ-მ განახორციელა, რაც დემოკრატიული იდეალებისადმი მისი ერთგულების კიდევ ერთი ხაზგასმაა.

დღეს სიტყვით გამოვა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი.

59-ე სესიის დასრულებამდე დაგეგმილია დღის წესრიგით გათვალისწინებული დაახლოებით 150 პუნქტის განხილვა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ინდონეზია.** ქვეყნის სამოცწლიან ისტორიაში პირველად ჩატარებულ პირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვება 55 წლის გადამდგარმა გენერალმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ იზეიმა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, ბიულეტენთა უმრავლესობის დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ მეორე ტურში უდავო უპირატესობას უშიშროების ყოფილი მინისტრი იუდჰოიონო ფლობს. მართალია, შედეგების შეჯამება კვლავაც გრძელდება, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი მეგავატი სუკარნოპუტრი თავის კონკურენტს ვერ დაეწევა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადის სადრ-სიტის რაიონში ამერიკის ჯარებმა გუშინ "მაჰდის არმიის" აჯანყებულთა პოზიციებზე იერიში მიიტანეს. როგორც იუწყებიან, ფართომასშტაბიანი ოპერაციის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა და 78 დაიჭრა. თვითმხილველთა თქმით, სადრ-სიტის რაიონში, რომელიც რადიკალ შიიტთა ლიდერის, მოქთადა ას-სადრის მომხრეთა საყრდენად ითვლება, დაახლოებით 20 ამერიკული ტანკი და სხვა სამხედრო მანაქნა შევიდა. ოპერაციაში ვერტმფრენები და თვითმფრინავებიც მონაწილეობენ, რომლებიც ჰაერიდან ბომბავენ აჯანყებულთა პოზიციებს. ამერიკის ჯარების სარდლობა ბაღდადში მიმდინარე ოპერაციასთან დაკავშირებით კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. თუმცა ცნობილია, რომ ამერიკის ხელისუფლებას განზრახული აქვს, იანვრისთვის დანიშნულ საყოველთაო არჩევნებამდე ერაყში ადგილობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ოპოზიცია გაანადგუროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თურქეთი.** ქალაქ მერსინში განხორციელებულ ტერაქტზე პასუხისმგებლობა სეპარატისტულ "ქურთთა მუშათა პარტიასთან" კავშირში ეჭვმიტანილმა დაჯგუფებამ აიღო. ამის შესახებ "როიტერი" იუწყება. აფეთქება, რომლის შედეგადაც 18 ადამიანი დაშავდა, კვირა საღამოს ცნობილი თურქი პოპ-მომღერლის კონცერტის დროს მოხდა. ადრე ამავე დაჯგუფებამ იკისრა პასუხისმგებლობა აგვისტოში სტამბოლში მომხდარი აფეთქებებისთვის. მაშინ ორ პატარა სასტუმროში და გაზის სადგურში განხორციელებული ორი ტერაქტის შედეგად ერთი თურქი და ერთი ირანელი დაიღუპა, კიდევ რამდენიმე უცხოელი ტურისტი დაშავდა. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსული სამგზავრო თვითმფრინავების - ტუ-134-ის და ტუ-154-ის აფეთქებებთან დაკავშირებით მესამე ადამიანია დაკავებული. მილიციის კაპიტანი მიხეილ არტამონოვი ეჭვმიტანილია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა. ოპერრწმუნებული არტამონოვი "დომოდედოვოს" აეროპორტში მუშაობდა, საიდანაც ტერორისტი ქალები გაფრინდნენ. ადრე ამავე საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველმა ორგამოებმა ავიაბილეთების გადამყიდველი არმენ არუთინოვი და ავიაკომპანია "სიბირის" თანამშრომელი ნიკოლოზ კორენკოვი დააპატიმრეს. გამოძიების აზრით, ჩეჩენი ქალები თვითმფრინავებში მათი დახმარებით მოხვდნენ. რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმერ უსტინოვმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ქალები მილიციამ 24 აგვისტოს საღამოს, ვოლგოგრადისა და სოჭის რეისების გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე დააკავა, თუმცა, უსტინოვის თქმით, მილიციის კაპიტანმა, რომელსაც დაკავებულები მიუყვანეს, ისინი შეუმოწმებლად გაუშვა. ქალებმა ბილეთები სპეკულანტისგან შეიძინეს, შემდეგ კი ავიაკომპანია "სიბირის" წარმომადგენლის დახმარებით თვითმფრინავებში შეაღწიეს. ტერორისტებმა კორენკოს ქრთამი - 1000 რუბლი მისცეს. როგორც გამომძიებლები ამტკიცებენ, სოჭის რეისის თვითმფრინავში აფეთქება გროზნოს მკვიდრმა საციტა ჯებირხანოვამ მოაწყო. მეორე ჩეჩენ ქალს - ამინატ ნაგაევას ვოლგოგრადის რეისის აფეთქებაში ადანაშაულებენ. **ინტერ-პრესი**

# შერიგების დროა

*ცხინვალში გუშინ "დამოუკიდებლობის" 12 წლის იუბილეს ზეიმობდნენ. ამასთან დაკავშირებით ქართველმა სტუდენტებმა ერგნეთის საგუშაგოზე მშვიდობიანი აქცია მოაწყვეს. სტუდენტებმა გაუშვეს 40 მტრედი და 100 ფერადი ბუშტი. მტრედებს ყელზე ეკიდათ წითელი ბარათი ოსური წარწერით "შერიგების*

თამარ დვალი

**"თეთრი მაისურები ჩვენ მშვიდობის ნიშნად ჩავიცვით. ქართველ ახალგაზრდებს ომი არ გვინდა. 90-იან წლებში შეიძლება ქართველებმაც ბევრი შეცდომა დაუშვეს ოსების მიმართ, მაგრამ ახლა სხვა თაობა მოდის. მტრედებს, რომლებსაც ერგნეთის საზღვარზე გავუშვებთ, გულზე ოსური წარწერა ექნებათ დაბნეული. "შერიგების დროა" - ეს ჩვენს პოზიციას გამოხატავს,"** - აღნიშნა აქციის ორგანიზატორმა, სტუდენტური კლუბის თავმჯდომარემ ირაკლი მეგრელიშვილმა.

გუშინდელ აქციაში ცხინვალის უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის ოსებიც იყვნენ. ეთერ გაგლოშვილი გორში ცხოვრობს. როგორც თავად თქვა, მის ოჯახს, თავისი წარმოშობის გამო, პრობლემები არასდროს შეჰქმნია. **"ეროვნებით ოსი ვარ, მაგრამ ქართველებთან ერთად ვცხოვრობ და ამის გამო დისკომფორტი არასდროს მიგრძვნია. ეს აქცია საქართველოს მთლიანობისკენაა მიმართული. ამიტომ ვიღებ მონაწილეობას,"** - განაცხადა ცხინვალის უნივერსიტეტის სტუდენტმა ეთერ გაგლოშვილმა.

ახალგაზრდების აქციას ტყვიავის, ერედვისა და ერგნეთის მოსახლეობაც შეუერთდა. ელიზაბეტ ბესტაევა-მამისაშვილი წარმოშობით ოსია, თუმცა, მეუღლე ქართველი ჰყავს და ამის გამო მას 90-იან წლებში დაატოვებინეს ცხინვალი. მისი ერთადერთი ვაჟიშვილიც ამ კონფლიქტს შეეწირა. **"გავლატაკდით, შვილო, მაგრამ მშვიდობისა და ჩვენი სახლ-კარის დაბრუნების იმედით ვცოცხლობთ. ჩემი სახლ-კარი ცხინვალში იყო და არ ვიცი, ახლა ვინ ცხოვრობს იქ. ოსები ჩვენნაირ ხალხს უფრო მტრობენ, შვილიც იმათ მომიკლეს. ამბობენ, თითქოს ჩვენ ქართველები გვარიგებენ და გვალაპარაკებენ. ვის შეუძლია, ძალით მალაპარაკოს? მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. ყოველ ღამე სროლებია ოსების მხრიდან. წყალი გადაგვიკეტეს. აღარც მოსარწყავი გვაქვს და აღარც სასმელი. ეს გაჭირვებული ხალხი სასმელ წყალსაც კი ვყიდულობთ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ერგნეთის მკვიდრმა ელიზაბეტ ბესტაევა-მამისაშვილმა.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

სიახლე
მეწარმეების დაფინანსებაში!

ფინანსური ლიზინგი -
მეწარმეებისათვის საჭირო დანადგარებისა და აღჭურვილობის დაფინანსება

უზრუნველყოფისა თუ გირაოს გარეშე!*

დაფინანსების მოცულობა: 20,000 აშშ დოლარიდან - 200,000 აშშ დოლარამდე.

* ლიზინგის დროს უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს თავად ლიზინგის საგანი.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
*მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა ახალი ფინანსური მექანიზმებით!*

კოსტავას ქ. N70, თბილისი 0171
თბილუნივერსალბანკის შენობა, მე-2 სართული
ტელ.: (995 32) 33 27 21, ფაქსი: (995 32) 33 27 24,
ელ. ფოსტა: info@glc.com.ge

# "დეზერტირების ბაზარი" ერთ კვირაში დაიხურება

ნანა ქადაგიშვილი

*პირველ ოქტომბერს თბილისში უპრეცედენტო ფაქტი მოხდება - ცენტრალურ სუპერმარკეტს, ე.წ "დეზერტირების ბაზარს", პირველად არსებობის 35 წლის მანძილზე, ექსპლუატაცია შეუჩერდება. ყოველ შემთხვევაში, ქალაქის სანიტარიულმა ინსპექციამ ასეთი დადგენილება გამოიტანა. თუ ბაზრის დირექცია ამ დადგენილებას არ დაემორჩილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, 1500-დან 5000-მდე ლარით უნდა დაჯარიმდეს. სანიტარიული ინსპქცია ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზად ბაზარში სანიტარიული ნორმების სერიოზულ დარღვევებს ასახელებს. თუმცა, მოსახლეობაში სრულიად განსხვავებული ჭორები ვრცელდება.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*"სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის მოწესრიგებას თვენახევარი მაინც დასჭირდება."*

ლამის ერთი წელიწადია, თბილისის საკრებულო ცენტრალური სუპერმარკეტის დირექციას "უკანასკნელ" გაფრთხილებას აძლევს, მაგრამ ბაზრის მდგომარეობა არაფრით იცვლება. საკრებულოს ხელმძღვანელობა, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ უფრო ეფექტური ზომისთვის უნდა მიემართა და სექტემბრის დასაწყისში სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას "დეზერტირების ბაზრის" ექსპლუატაციის შეჩერება მოსთხოვა. ინსპექციამ ბაზარი 16 სექტემბერს შეამოწმა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სუპერმარკეტის ექსპლუატაციის შეჩერება მოსთხოვა. დარღვევები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ სასამართლომ ინსპექციის მოთხოვნა უყოყმანოდ დააკმაყოფილა.

**"ზედა სართულის ჭერიდან და კედლებიდან ბათქაშია ჩამოშლილი, იატაკი კი დაზინებული, რის გამოც ნარეცხი ჭუჭყიანი წყალი პირველ სართულზე ჩადის; პირველი სართულის აყრილ იატაკზე კი ორმოებია და ჭუჭყი გროვდება; ონკანებისა და საკანალიზაციო ტრაპების უკმარისობის გამო ხარისხისანი დასუფთავება ვერ ხერხდება; პირველ სართულზე მოშლილია ვენტილაციის სისტემა. ჭერსა და კედლებზე ობია მოკიდებული, ამორტიზებულია დახლები,"** - ასეთია სანიტარიული ინსპექციის მიერ გაკეთებული დასკვნა. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ინსპექცია, №315 დადგენილებით, პირველი ოქტომბრიდან ბაზარს ექსპლუატაციას შეუჩერებს. **"სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის მოწესრიგებას თვენახევარი მაინც დასჭირდება. სანამ პრობლემა არ მოგვარდება, დირექციას ბაზრის გახსნის უფლებას არ მივცემთ. რაც შეეხება მოვაჭრეებს, მათ ქალაქის დანარჩენ აგრარულ ბაზრებში გადავანაწილებთ,"** - აცხადებს ინსპექციის უფროსი კახა ნაჭყებია.

იგივე აზრისაა საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი. **"საკრებულოს ბაზრის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების უფლება არა აქვს, რადგან ცენტრალური სუპერმარკეტი სააქციო საზოგადოებაა. თუმცა, თუ ბაზრის ხელმძღვანელობა ინსპექციის დადგენილებას არ დაემორჩილება, ინსპექციას მის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციული სადამსჯელო ღონისძიების გატარებას მოვთხოვთ. ნორმალური ლაბორატორიის შეძენა სანკტ-პეტერბურგში 5 ათას დოლარად შეიძლება. ეს ცენტრალური სუპერმარკეტისთვის არც ისე დიდი თანხაა,"** - ურჩევს ზაზა ბეგაშვილი ბაზრის დირექციას. **"მეტი რა გზა მაქვს, რომ არ დავემორჩილო, მაგათ დადგენილებას ვინ არ შეასრულებს. სათქმელი აღარაფერი მაქვს, ყველაფერი ისედაც ითქვა,"** - უგუნებოდ ეთანხმება სუპერმარკეტის დირექტორი თემურ პაპუაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოც და სანიტარიული ინსპექციაც ბაზრის დახურვის მიზეზს მარტივად ხსნიან, ამ გადაწყვეტილებამ მოვაჭრეები მაინც პანიკაში ჩააგდო. **"ამბობენ, რომ ამ შენობის გაყიდვას აპირებენ და იმიტომ ხურავენო," "აქ ისეთი სუპერმარკეტი უნდა გააკეთონ, კოლმეურნეობის მოედანზე რომ არის. პროდუქტის ფასიც გაიზრდება და დახლის საფასურიც. ჩვენ ვის ვახსოვართ,"** - განსხვავებულ ხმებს ავრცელებენ მოვაჭრეები. თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარე გვარწმუნებს, რომ არც ქალაქის ხელმძღვანელობას და არც სანიტარიულ

სსიფ
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

საქართველოს მთავრობამ მიილო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის N48 საშუალო სკოლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 10 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 ოქტომბრის 16 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

სსიფ
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

საქართველოს მთავრობამ მიილო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის N83 საშუალო სკოლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 9 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 ოქტომბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

სსიფ
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

საქართველოს მთავრობამ მიილო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისათვის:

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 15 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 27 ოქტომბრის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტები.

# ყოფილი მძევლები გატაცებაში მევლუდ ჭიჭიაშვილის მონაწილეობას უარყოფენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*კიდევ რამდენ ხანს შეინარჩუნებს დუმილის უფლებას მიმდინარე სასამართლო პროცესზე საგარეჯოში დაბადებული, პანკისის ხეობის სოფელ მატანში მცხოვრები, დიდი გავლენის მქონე კრიმინალის სახელით ცნობილი, სხვადასხვა სახის მძიმე, გახმაურებულ დანაშაულში ბრალდებული შოთა ჭიჭიაშვილი, წინასწარ ძნელი სათქმელია. სასამართლო პროცესი რომ საკმაოდ ხანგრძლივი იქნება, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 24-ტომიანი საქმის 15 ეპიზოდიდან სასამართლოს ჯერ ერთი ეპიზოდის განხილვაც არ ამოუწურავს. რაც ყველაზე მთავარია, დაზარალებულები (ყოფილი მძევლები,) რომლებიც უკვე დაიკითხნენ და რომელთაც მევლუდ ჭიჭიაშვილთან პირისპირ შეხვედრა სასამართლოს დარბაზში მოუწიათ, განსასჯელის გატაცებაში მონაწილეობას გამორიცხავენ.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ყოფილი მძევალი ნათია რუსიეშვილი მისი და მისი ქმრის გატაცებაში ჭიჭიაშვილის მონაწილეობას უარყოფს.*

პირველი ეპიზოდი, რომელსაც ამჟამად სასამართლო იხილავს და რომლის ორგანიზებასა და განხორციელებაშიც ჭიჭიაშვილს ედება ბრალი, 1997 წლის 5 აგვისტოს, თბილისში მომხდარი დანაშაული გახლავთ. სხვათა შორის, შვიდი წლის წინ სწორედ ამ დანაშაულის გახსნის შემდეგ გახდა ცნობილი პირველად შოთა ჭიჭიაშვილის გვარი.

საქმე ეხება რუსიეშვილების ოჯახში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას, რომლის დროსაც ცოლ-ქმარი - ნათია რუსიეშვილი და მიხეილ დათიკაშვილი - თავდამსხმელებმა პანკისის ხეობაში გაიტაცეს. გატაცებიდან რამდენიმე დღეში ნათია რუსეიშვილი გამტაცებლებმა თბილისში გამოუშვეს. მისი მეუღლე კი მოგვიანებით, გამოსასყიდი თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. პირველად სწორედ ამ გატაცების გამო აღმოჩნდა ჭიჭიაშვილი მართლმსაჯულების წინაშე. ის თბილისში დააკავეს. რუსთაველის გამზირზე მიმავალმა ყოფილმა მძევალმა მიხეილ დათიკაშვილმა, შემთხვევით იქვე მოსეირნე მევლუდ ჭიჭიაშვილი დაინახა, სასწრაფოდ პოლიციაში დარეკა და სამართალდამცველებს შეატყობინა, რომ მან მისი და მისი მეუღლის გამტაცებელი ნახა. სასმართალდამცველებმა ჭიჭიაშვილი სწორედ მაშინ დააკავეს. ამის შემდეგ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები და ყოფილმა მძევალმა ცოლ-ქმარმაც და მათი ოჯახის წევრებმაც მომხდარის შესახებ გამოძიებას დეტალური ჩვენებები მისცეს, დაპირისპირებაზე კი ჭიჭიაშვილი ამოიცნეს და განაცხადეს, რომ სწორედ ის იყო მათი გამტაცებელი. მართლმსაჯულებამ ჭიჭიაშვილს მაშინ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე განსახილველად კვლავ საოლქო სასამართლოს დაუბრუნდა. მოულოდნელად, ყოფილმა მძევლებმა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სასამართლოზე შეცვალეს, ჭიჭიაშვილის გატაცებაში მონაწილეობა უარყვეს, რის გამოც მოსამართლემ საქმე წინასწარ ძიებაში დააბრუნა. ჭიჭიაშვილი კი გათავისუფლდა.

**"მე და ჩემი მეუღლე სტუმრად ვიყავით. დედამ დამირეკა და მთხოვა, სახლში მივსულიყავი. სახლში დაბრუნებულებს ყაჩაღები დაგვხვდნენ. ერთ-ერთი, რომლესაც ნიღაბი არ ეკეთა, დედაჩემს ედგა გვერდზე. მე სხვა ოთახში გამიყვანეს, მე და ჩემს მეუღლეს რაც კი გვეკეთა, ყველაფერი მოგვხსნეს. ცოტა ხანში კი გვითხრეს, რომ ქალაქიდან უნდა გავეყვანეთ. მართალაც ასე მოხდა. საქესთან ჩემი მეუღლე დასვეს და კახეთის მიმართულებით წაგვიყვანეს. სადღაც ტყეში გაგვათენებინეს ღამე. მეორე დღეს კი პანკისის ხეობის რომელიღაც სოფელში წაგვიყვანეს. ვიღაცის ოჯახში მიგვიყვანეს. მე და ჩემი მეუღლე ცალკე ოთახში ვიყავით ჩაკეტილები. ერთ-ერთი გამტაცებელი შემოდიოდა ხოლმე, ჩემი მეუღლე გაჰყავდა, ესაუბრებოდა და ისევ შემოჰყავდა. ჩვენს გათავისუფლებაში ჩვენი ოჯახის წევრებისგან 250000 დოლარს ითხოვდნენ. გატაცებიდან ორ დღეში მე თბილისში გამომიშვეს და ჩემი მეუღლის ხელით დაწერილი წერილი გამომატანეს. ჩემი მეუღლე მათთან მძევლად ორი კვირა იყო. 50 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გამტაცებლებმა ისიც გამოუშვეს"**, - ასეთი გახლდათ ყოფილი მძევლის ნათია რუსეიშვილის გუშინდელი სასამართლო ჩვენება. დაზარალებული გუშინ მონოტონურად იმეორებდა, რომ სასამართლო დარბაზის გალიაში მყოფი მევლუდ ჭიჭიაშვილი არ იყო ის, ვინც გატაცებაში მონაწილეობდა. **"მაშინ სწორად ვერ ამოვიცანი, სტრესი მქონდა და შემეშალა"**, - ირწმუნებოდა გუშინ ყოფილი მძევალი.

გატაცებაში ჭიჭიაშვილის თანამონაწილეობა სასამართლო პროცესზე ნათია რუსეიშვილის მეუღლემ მიხეილ დათიკაშვილმაც უარყო. **"მაშინ გამომძიებელმა მითხრა, რომ დაკავებულს აღიარებითი ჩვენება ჰქონდა მიცემული. მეც შემეშალა, მაშინ სწორად ვერ ამოვიცანი"**, - ასეთი გახლდათ მიხეილ დათიკაშვილის ამჟამინდელი ჩვენება.

**"ყველაზე ძალიან იმას გთხოვ, რომ ყველაფერი რაც შეიძლება დროზე მოახერხო, თორემ თუ ვადას გადასცდება, მერე მეც ძალიან გამიჭირდება და თანხაც ბევრით მოიმატებს. ამ ხალხს ჰყავს ინფორმატორები თბილისში ძალოვან სტრუქტურებში და თუ ინფორმაცია იქამდე მივა, დამემშვიდობეთ მეც და საკუთარ სიცოცხლესაც; ასე რომ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ საქმეს ნუ გამირთულებთ. თუ უკვე გართულებულია და თუ "ინკოგნიტოს" ანგარიშზე თანხას არ გადარიცხავთ, ვერაფერი გადაგვარჩენს, გიწერთ თანხის რაოდენობას - 250.000 დოლარი, პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩვენი და ნათიას ოჯახი ლიკვიდირდება. ესე იგი, თანხის გადაცემის დროს ნათია სადაც არ უნდა დატოვოთ, ადგილი იქნება ხალხმრავალი და დანაღმული. ეს ხალხი ძალიან ფანატიკურად მორწმუნეა, სიკვდილის შიში საერთოდ არ გააჩნიათ და არიან შურისმაძიებლები. მათ ზურგს უკან დიდი და ძლიერი ორგანიზაცია დგას,"** - ეს წერილი 1997 წლის 5 აგვისტოს პანკისის ხეობაში მძევლად მყოფი მიხეილ დათიკაშვილის ხელითაა დაწერილი, რომელიც გამტაცებლებმა თბილისში გამოშვებულ მის მეუღლეს მძევლად დარჩენილის ბიზნესმენ ძმასთან გამოატანეს.

მომდევნო პროცესზე ნათია რუსეიშვილის დედას დაკითხავენ, რომელსაც, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, სახლში შეჭრილმა თავდამსხმელებმა სტუმრად მყოფ ქალიშვილთან დაარეკინეს.

გუშინდელ პროცესზე კიდევ ერთი დაზარალებული - 1999 წლის იანვარში, საგარეჯოში, მევლუდ ჭიაჭიაშვილის შეიარაღებული ჯგუფის წევრებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებისას დაღუპული პოლიციელის ზაზა ქურხულის მამა სოსო ქურხული დაიკითხა. **"იმ დღეს ჩემი შვილი მორიგე იყო. სასმსახურში წავიდა და ცოტა ხანში შეუჩერებელი სროლის ხმაც გავიგე. შემატყობინეს, რომ პოლიციასა და ყაჩაღებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ჩემი შვილი მძიმედ დაიჭრა. ზაზა საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს, იმ დღესვე დაიღუპა"**, - ასე გაიხსენა ხუთი წლის წინ საგარეჯოში მომხდარი ამბავი მოკლული პოლიციელის მამამ. **"არ ვიცი, რა მოვთხოვო სასამართლოს. ყაჩაღები ხუთნი ყოფილან. როგორ გავიგო, რომელმა ესროლა და რომელმა მოკლა ჩემი შვილი. ერთი ვიცი, ასეთი ყაჩაღები ამ ქვეყანაზე ცოცხლები არ უნდა იყვნენ"**, - განაცხადა სოსო ქურხულმა.

დაზარალებულების გარდა, გუშინდელ პროცესზე საგარეჯოში პოლიციასა და შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის მომხდარი შეტაკების თვითმხილველი მოწმეებიც დაიკითხნენ. არც ერთ მოწმეს არ უთქვამს, რომ ამ სისხლიან შეტაკებაში, რომლის დროსაც სამი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა, ერთი კი გარდაიცვალა, მევლუდ ჭიჭიაშვი-

# ომბუდსმენი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს უკანონობაში ადანაშაულებს

*გუშინ საქართველოს ახალდანიშნულმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ამ რანგში პირველი პრესკონფერენცია გამართა და, სახალხო დამცველის აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბართან ერთად, სერიოზული ბრალდება წარუდგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვალერი ხრუსტალს.*

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვალერი ხრუსტალი კარგა ხნის მანძილზე ასრულებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას და სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი უკანონოდ მიჩნეული გადაწყვეტილება. საქართველოს სახალხო დამცველი ამ გადაწყვეტილების უკანონობის დამადსტურებელ არგუმენტებზე გუშინ დეტალურად საუბრობდა. კერძოდ, საუბარია ყაჩაღობაში ბრალდებულ ზაზა ცეცხლაძის საქმეზე, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, ვალერი ხრუსტალმა კი, თავისი გადაწყვეტილებით, ეს უკანონობა დააკანონა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, განსასჯელის სასამართლო პატიმრობა, ანუ მისი პატიმრობაში ყოლა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას არ შეიძლება აღემატებოდეს 24 თვეს. ამ ვადის ამოწურვისთანავე განსასჯელი ავტომატურად თავისუფლდება პატიმრობიდან. თუ გადაუდებელი საჭიროება მოითხოვს, 24-თვიანი ვადის 30 თვემდე გაგრძელების მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება მხოლოდ უზენაეს სასამართლოს გააჩნია.

სოზარ სუბარის თქმით, ზაზა ცეცხლაძესთან მიმართებაში უხეშად დაირღვა სასამართლო პატიმრობის ვადა, რადგანაც ქვემდგომმა სასამართლომ ვადის 30 თვემდე გაგრძელების შესახებ მოთხოვნით უზენაეს სასამართლოს მაშინ მიმართა, როცა 24 თვიანი ვადა უკვე გასული იყო, ანუ ცეცხლაძე უკვე გათავისუფლებული უნდა ყოფილიყო პატიმრობიდან.

ომბუდსმენის განცხადებით, მოსამართლე ხრუსტალმა, რომელიც იმ დროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, განიხილა პატიმრის წინასწარი პატიმრობის ვადის დარღვევის ფაქტი, მასალები იუსტიციის საბჭოს წარუდგინა და ქვემდგომი მოსამართლეების დასჯა მოითხოვა; თუმცა, პირადი გადაწყვეტილებით, პატიმრობის კანონდარღვევით გაგრძელებული ვადა პატიმარს პატიმრობის კანონიერ ვადებში ჩაუთვალა და საერთო სასამართლო პატიმრობის ვადა 30 თვემდე გაუგრძელა.

**" მოსამართლე, რომელიც ასეთ უკანონო გადაწყვეტილებას მიიღებს, არ არის ღირსი, ატარებდეს მოსამართლის სახელს"**, - აცხადებს სოზარ სუბარი და ხრუსტალის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაუყოვნებლივი რეაგირების მოთხოვნით მიმართავს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საუბარი სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ რეორგანიზაციასაც შეეხო.

სოზარ სუბარის თქმით, დაგეგმილია აპარატის დაყოფა რამდენიმე მიმართულების მიხედვით; კერძოდ, აპარატის ფარგლებში შეიქმნება ვიწრო სპეციალიზაციის ომბუდსმენთა სამსახურები, რომლებიც კურირებას გაუწევენ მართლმსაჯულების, თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების დაცვის, სოციალურ და ადმინისტრაციულ საკითხთა სფეროებს. ომბუდსმენის დანიშვნა მოსალოდნელია სამხედრო სფეროშიც.

სოზარ სუბარი თავის უწყებაში საკადრო ცვლილებების გაგრძელებასაც არ გამორიცხავს. გუშინ მან ჟურნალისტებს ახალი კადრები გააცნო. სახალხო დამცველის მოადგილის თანამდებობაზე "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი ბაჩუკი ახალაია დაინიშნა. სახალხო დამცველის აპარატში გააგრძელებს მუშაობას გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე, რომელიც ერთ-ერთ დეპარტამენტს უხელმძღვანელებს.

*24 საათი*

# ზუგდიდში საავიაციო ქარხნის დირექტორის ძმისშვილი გაიტაცეს

*გუშინწინ ზუგდიდში 17 წლის ახალგაზრდა - ზაზა თორდია გაიტაცეს. გატაცებული თბილისის საავიაციო ქარხნის გენერალური დირექტორის პანტიკო თორდიას ძმიშვილია.*

ზაზა თორდია ზუგდიდის "ენგურქაღალდკომბინატის" დასახლების ტერიტორიიდან გაიტაცეს. მისი გატაცების დეტალები სამართალდამცველთათვის მისი მეგობრის, ბაჩო კაკაშვილისგან გახდა ცნობილი. გვიან ღამით კაკაშვილი ზაზა თორდიასთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მათ "07" მარკის ავტომანქანა მიუახლოვდა. მანქანაში მსხდომ პირებს ახალგაზრდებისთვის თავი პოლიციის თანამშრომლებად გაუცვნიათ და გაყოლა უთხოვიათ. მოტყუებით მანქანაში ჩამსხდარი თორდია და კაკაშვილი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. უკვე მანქანაში ზაზა თორდიას ბიძის - პანტიკო თორდიას სახელი უხსენებია და უცნობებისთვის მათი ნათესაური კავშირიც უცნობებია. "პოლიციელებს" კი უთქვამთ, რომ სწორედ პანტიკო თორდიას ძმისშვილს ეძებდნენ. ბოროტმოქმედებმა ამის შემდეგ აიძულეს ბაჩო კაკაშვილი, რომ მანქანიდან გადასულიყო.

ზუგდიდის გარეუბანში მაქანიდან გადმოსმულმა კაკაშვილმა მომხდარის შესახებ სამართალდამცველ ორგანოებს აცნობა. მისი ნაამბობის თანახმად, ბოროტმოქმედები ხუთნი იყვნენ და ყველა მათგანი შეიარაღებული იყო. იმავე წყაროს ცნობით, ისინი გამართულად საუბრობდნენ ქართულად, საკმაოდ უხეშად იქცეოდნენ და თხოვნაზე - გაჰყოლოდა მეგობარს - კაკაშვილს სასტიკი უარი უთხრეს.

პანტიკო თორდიას ძმის ოჯახი მუდმივად ზუგდიდში ცხოვრობს, თავად გატაცებულმა ზაზა თორდიამ კი სკოლა წელს დაამთავრა.

სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ ბალათურიამ გვაცნობა, რომ გატაცებულის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით ამჟამად აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ხორციელდება. ცნობილია სავარაუდო ექჭმიტანილთა ვინაობაც, თუმცა მათ შესახებ სამხარეო პოლიციის უფროსი კონკრეტულს არაფერს ამბობს.

მისი თქმით, განიხილება გატაცების რამდენიმე ვერსია, მათ შორის - ფულის გამოძალვის.

პოლიციის უფროსი, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებს გამტაცებლების მიერ გამოსასყიდის სახით ნახევარი მილიონი დოლარის მოთხოვნის ფაქტს და აცხადებს, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის.

*24 საათი*

## მოკლედ

### აბაშიძეები ქონების ჩამორთმევას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ

აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის, მისი შვილების - გიორგი და დიანა აბაშიძეების, აგრეთვე მათი ნათესავებისათვის ქონების ჩამორთმევის თაობაზე აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აბაშიძეების ადვოკატები უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ. როგორც ცნობილია, უმაღლესმა სასამართლომ აბაშიძეებისათვის ქონების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინათ მიიღო. ჩამორთმეული ქონების ჩამონათვალში შედის საცხოვრებელი სახლები, ავტომანქანები და სხვადასხვა ფირმებში არსებული წილები.

აბაშიძეების ოჯახის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, აუდიტორის მიერ შეფასებული ჩამორთმეული ქონების მთლიანი ღირებულება 10 მილიონი ლარია, თუმცა, ბარათაშვილის თქმით, ეს თანხა "გაბერილია". **მედია-ნიუსი**

### დასრულდება სულხან მოლაშვილის საქმე გარიგებითი სამართლით?

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულების შესახებ ინფორმაციას მისი ადვოკატი სოსო ბარათაშვილი არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ასეთი ცნობა ჭორის დონეზე გავრცელდა და ბრალდებულის ადვოკატებისათვის არაფერია ცნობილი.

მოლაშვილის საქმის საპროცესო გარიგებით დასრულების შესაძლებლობაზე თბილისის პროკურატურაში რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს.

მოლაშვილის პატიმრობის ექვსთვიანი ვადა ერთ თვეში იწურება. საპროცესო გარიგების შემთხვევაში, მოლაშვილმა ბრალი უნდა აღიაროს, რაც აქამდე არ გაუკეთებია, ამიტომ საქმე სასამართლოში საპროცესო გარიგების გარეშე გადაიგზავნება და ბრალდებული გამოძიებისაგან შეღავათს ვერ მიიღებს.

როგორც ცნობილია, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს პროკურატურა 3 მლნ ლარს ედავება. მოლაშვილის ნათესავებმა და ახლობლებმა სახელმწიფოს 800 ათასი ლარი უკვე გადაუხადეს, რაც პატიმრის დასახსნელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბარათაშვილის ინფორმაციით, მომავალ კვირაში ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში გაიგზავნება მოლაშვილის სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ, რომლის ქართული ვარიანტის თარგმნა თითქმის დასრულებულია. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** საქართველოს შს სამინისტროს აკადემიის ბათუმის განყოფილების ლექტორ-მასწავლებლები, კურსანტები და მათი მშობლები განყოფილების გაუქმებას აპროტესტებენ. აკადემიის ბათუმის ფაკულტეტი საქართველოს შს სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში, შს აკადემიის რექტორის ლევან იზორიას 13 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე გაუქმდა. როგორც დღევანდელი საპროტესტო აქციის მონაწილე კურსანტები აცხადებენ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მათ თბილისში სწავლის გაგრძელება არ შეუძლიათ. კურსანტებმა და პედაგოგებმა მიმართვის ტექსტი გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და შს მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. "გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვეყანაში შექმნილი სოციალური ფონი და დაგვრთოთ ნება, სწავლა ბათუმში დავასრულოთ",- ნათქვამია მიმართვაში. საქართველოს შს სამინისტროს ბათუმის ფაკულტეტი 7 წლის წინ გაიხსნა. გაუქმების დროისთვის აქ 178 კურსანტი სწავლობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის შს მთავარი სამმართველოს კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ქუთაისელი რამაზ მორჩაძე და სიმონ გვენეტაძე თაღლითობის გზით სხვისი ქონების მითვისების არაერთ ფაქტზე ამხილეს. იმერეთის სამხარეო პოლიციის ცნობით, მორჩაძე და გვენეტაძე რამდენიმე თვის მანძილზე ქალაქის ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში თავს ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებად ასაღებდნენ და მოვაჭრეებისგან მოსაკრებლის სახით 10-10 ლარს კრებდნენ, რაც ყოველთვიურად, ჯამში, 3000 ლარს შეადგენდა. ამჟამად პოლიცია თაღლითების შესაძლო მოკავშირეების ვინაობას ადგენს. დაკავებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურიის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების მიწის რეფორმის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე უ.ხ. მიწების უკანონო გასხვისებაში ამხილეს. როგორც "პრაიმ-ნიუსს" შს სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნულმა პირმა 1995-2004 წლების განმავლობაში უკანონოდ გაასხვისა მიწის ნაკვეთები სოფლის ზღვისპირა ზოლში. გამოძიებას მომხდარ ფაქტზე აწარმოებს გურიის საოლქო პროკურატურა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს გორში მცხოვრები, 30 წლის მ.კ., რომლის სახლიდან ამოიღეს 20 ტონა უსაბუთო სილიკომანგანუმი. მოკვლეული მასალები გადაეგზავნა ფინანსურ პოლიციას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფელ ახლოსთან დააკავეს ავტომანქანა "კავზ"-3270, რომლის მძღოლს, მარნეულის რაიონის სოფელ ჯანდარაში მცხოვრებ, 44 წლის შ.ბ. სადახლოდან მარნეულის მიმართულებით გადაჰქონდა მისი 6 მგზავრის კუთვნილი სხვადასხვა დასახელების 5.000 ლარის ღირებულების უსაბუთო სამრეწველო საქონელი; დაკავებულია აგრეთვე ავტობუსი "პაზ"-672, რომლის მძღოლს, მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში მცხოვრებ, 47 წლის ზ.კ. სადახლოდან მარნეულის მიმართულებით ასევე გადაჰქონდა მისი ექვსი მგზავრის უსაბუთო საქონელი. ავტომანქანები ტვირთიანად გადაეცა ქვემო ქართლის სამხარეო ფინანსურ პოლიციას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ ადრე ნასამართლევმა, ამჟამად N5 საპყრობილეში მოთავსებულმა, გურჯაანის რაიონის სასამართლოზე რიცხულმა, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრებმა, 23 წლის გიორგი ამრაზიშვილმა (მეტსახელად -"პაჟარა") 25 ივნისს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე ნოდარ სუთიძეს მოჰპარა მობილური ტელეფონი, 120 ლარი და ოქროს ბეჭედი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურიის შს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს ოზურგეთში მდებარე სააქციო საზოგადოება "ოზურგეთის ლუდისა და ხილეულის წყლების" ხელმძღვანელები, რომლებმაც 1995-2002 წლებში, ყალბი დოკუმენტებით ჩამოწერეს აღნიშნული საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონება, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზარალი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ოთხშაბათს თბილისის აეროპორტში ორი მესაზღვრე დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, მესაზღვრეების დაკავება ქრთამის აღების ფაქტზე მოხდა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა შალვა ლონდარიძემ მესაზღვრეების დაკავების ფაქტი დაადასტურა, თუმცა ჯერჯერობით მათი დაკავების მიზეზები და სხვა დეტალები არ დააკონკრეტა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის დახვეწასთან დაკავშირებული პროექტის განხორციელება დასრულდა. პროექტის შესახებ დღეს იუსტიციის სამინისტროში დაგეგმილ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ევროკომისიის ელჩი ტორბენ ჰოლცი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ისაუბრებენ. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, პროექტი, რომელიც 2003 წლის ნოემბრიდან ევროკომისიის მხარდაჭერით ხორციელდებოდა, პრობაციონერ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სხვა საკითხთა გადაჭრას ითვალისწინებდა. **ინტერ-პრესი**

# ტყისთვის მიყენებული ზარალი აუნაზღაურებელია

*საქართველო, განგების ნებით, ტყიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიის თითქმის 40 პროცენტი მრავალფეროვანი მცენარეული საფარითაა დაფარული, რომლის დაცვა, მოვლა, აღდგენა და კვლავწარმოება სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობისაა.*
*მრავალწლიანი პროფესიული და პრაქტიკული მოღვაწეობა, ვფიქრობ, უფლებას მაძლევს რამდენიმე შენიშვნა და მოსაზრება გამოვთქვა ჩვენი ტყეების, მისდამი დამოკიდებულებისა და შემდგომ მომავლის მიმართ იმ მოცულობით, რის საშუალებასაც საგაზეთო პუბლიკაცია იძლევა.*

რომან მამალაძე
*საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყის დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მეტყევე*

მიუხედავად იმისა, რომ ტყეებს საქართველოს მთელი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს და მისი შენარჩუნება-კვლავწარმოება სასიცოცხლოდ სტრატეგიული ხასიათისაა, ბოლო წლებში, ნებით თუ უნებლიეთ, მთავრობის დამოკიდებულება ამ საქმისადმი დადებითად ვერ შეფასდება. დავიწყოთ თუნდაც იმ სამსახურების სტატუსით, რომლებიც დაკავებულნი არიან ტყეების მოვლა-დაცვითა და კვლავწარმოებით. არ იქნა და ერთიანი სტაბილური მიდგომა არ ჩამოყალიბდა ამ მიმართულებით, უფრო მეტიც, ბოლო ათწლეულში რამდენჯერმე შეიცვალა მისი მიმართულებები; ჯერ იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, სატყეო მეურნეობის სამინისტრო, მერე შეუერთდა ბუნების დაცვას, შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისევ ცალკე გამოიყო და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ უწყებად - საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტად.

ერთი რამ ცხადია: შეერთებებს არავითარი სიკეთე არ მოუტანია ჩვენი ტყეებისათვის, პირიქით, ყოველი შეერთებით ტყეების როლი სადღაც უკანა პლანზე ინაცვლებდა და მისდამი ყურადღებაც იფანტებოდა და იკარგებოდა. ფაქტის წინაშე ვდგავართ დღესაც: რეორგანიზაციის შედეგად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი მექანიკურად შეუერთდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, როგორც ამ სამინისტროს ერთ-ერთი რიგითი ქვედანაყოფი. მნიშვნელობიდან გამომდინარე და იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რაც წინა წლების პრაქტიკამ ცხადყო, ასეთი შეერთება კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ტყეებს. საქართველოში ტყის მართვა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ცალკე სამინისტროს სტატუსით, რადგანაც თავისი დანიშნულებისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, ტყეებს დღეს განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება. თუ სახელმწიფოსათვის ასეთი აუცილებელი იყო სხვადასხვა უწყების გაერთიანება, მაშინ სატყეო დეპარტამენტი უნდა შესულიყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, როგორც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და, შესაბამისად, სამინისტროს აბრევიატურა ჩამოყალიბდებოდა როგორც "საქართველოს გარემოს დაცვის, ტყის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო". ხაზს ვუსვამ, "ტყის მეურნეობის" და არა "სატყეო მეურნეობის", რადგან ადრინდელი დასახელებაც კი, "საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი", თავშივე მცდარი იყო (შეადარეთ "სოფლის მეურნეობა", "სასოფლო მეურნეობა"). ამავე დროს, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავტომატურად მინისტრის ერთ-ერთ მოადგილედ უნდა ითვლებოდეს, ხოლო დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება ტყეების მართვის სფეროში სამინისტროს ზედამხედველობით. ასეთი მოსაზრება განპირობებულია ტყის მეურნეობის მართვის სპეციფიკურობითა და ამ დარგის სტრატეგიული მნიშვნელობით.

ბოლო ათწლეულში ტყეების დაცვა მნიშვნელოვნად გაუარესდა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო.

არსებული პრობლემებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია დარგის არასათანადო დაფინანსება, რის გამოც არ ტარდება ისეთი აუცილებელი ღონისძიებანი, როგორიცაა ტყეების დაცვა ხანძრებისაგან, მავნებელ-დაავადებებისაგან, ტყეების უკანონო ხელყოფისაგან. "საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამაში", რომელიც დამტკიცებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის №782 ბრძანებულებით და მოიცავდა 1998-2005 წლების პერიოდს, განსაზღვრული დაფინანსების მოცულობებიდან ყოველწლიურად დეპარტამენტს მიღებული აქვს დაგეგმილი თანხის მხოლოდ 5-6 პროცენტი, დარგში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი 30 ლარამდეა. სატყეო მეურნეობის დირექტორის ხელფასი 41 ლარით განისაზღვრება, მეტყევე-ინჟინრების - 36 ლარით, ხოლო ტყის მცველი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს 1200-დან 1600 ჰექტრამდე ტყეების დაცვას, მხოლოდ 20 ლარს იღებს.

ბოლო 10 წელიწადში სატყეო დარგში მომუშავეთა რიცხოვნობა რამდენჯერმე შემცირდა; შემცირებები ხდებოდა მექანიკურად, დეპარტამენტთან ყოველგვარი შეთანხმების, ანალიზისა და დასაბუთების გარეშე. მინიმუმამდე იქნა შემცირებული ტყის დაცვის მუშაკთა რაოდენობაც, რის შედეგად, თუ 90-იანი წლების დასაწყისში ტყის ერთ მცველზე 500 ჰექტრამდე დასაცავი სატყეო ტერიტორია მოდიოდა, ამჟამად იგი 1600-2000 ჰექტარს აღემატება, იმ პირობებში, როცა ენერგორესურსების დეფიციტის შედეგად მოსახლეობის სათბობ შეშაზე მოთხოვნა რამდენჯერმე გაიზარდა. ამავე დროს, ტყის დაცვის მუშაკებს არ გააჩნიათ გადაადგილებისა და კავშირგაბმულობის ელემენტარული საშუალებები, სპეცტანსაცმელი, იარაღი, კორდონები და სხვა. აღნიშნულმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად გაართულა მონიტორინგი ტყის კანონმდებლობის დარღვევებზე, ტყეებზე ოპერატიული კონტროლის დაწესება, ხოლო საბოლოო ჯამში გამოიწვია ტყის უკანონო ჭრების ზრდა და, შესაბამისად, ტყეზე მიყენებული ზიანის რამდენჯერმე გადიდება. დაუფინანსებლობის გამო არ კეთდება ხე-ტყის საზიდი გზები, ჭრები ძირითადად მისადგომ ადგილებში წარმოებს, რაც ტყეების დეგრადაციას განაპირობებს:

- დაბალი სახელფასო განაკვეთებია დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში, ბიუჯეტიდან დაფინანსებისას მინიმალური ოდენობითაა გათვალისწინებული სამივლინებო თანხები, რის გამოც დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად არ ხორციელდება დაქვემდებარებულ სატყეო მეურნეობებში ტყეების ოპერატიული კონტროლი.

- საგადასახადო კანონმდებლობაში (საგადასახადო კოდექსი, კარი X, მუხლი 190) გათვალისწინებულია, რომ ადგილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული ბუნებრივი რესურსების (ტყის მერქნული რესურსის სანიხრე ღირებულება) თანხებიდან უმთავრესი ნაწილი უნდა მოხმარდეს ბუნებრივი რესურსების აღდგენასა და რეაბილიტაციას; მიუხედავად ამისა, რაიონული ბიუჯეტებიდან სატყეო მეურნეობებს შესაბამისი თანხები არ ერიცხება.

- ტყის კანონმდებლობის დარღვევათა ზრდას იწვევს სამართალდამცავი ორგანოების გულგრილი დამოკიდებულება ტყის დაცვისადმი. დროულად არ ხდება სატყეო მეურნეობათა ტყის დაცვის სამსახურების მიერ მოპოვებულ და სამართალდამცავ ორგანოებისათვის განსახილველად გადაცემულ საქმეებზე რეაგირება, რის გამოც დამრღვევი დაუსჯელი, ხოლო ტყეზე მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელია. საქმისადმი ასეთი მიდგომა ქმნის დაუსჯელობის სინდრომს, რაც ახალი დანაშაულის ჩადენის პირობა ხდება. ყოველწლიურად სამართალდამცავი ორგანოები იხილავენ ტყის კანონმდებლობის დარღვევებზე გადაცემული საქმეების მხოლოდ 35-40 პროცენტს, ხოლო ტყეზე მიყენებული ზიანი, რომელიც ყოველწლიურად მილიონ ლარზე მეტია, თითქმის აუნაზღაურებელი რჩება.

- ტყეების უკანონო ხელყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სათბობი შეშის შემცვლელი ალტერნატიული ნედლეულით (ქვანახშირი, ტორფი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) შეცვლის სახელმწიფო პროგრამის უქონლობაა. ჯერ კიდევ 2001 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობის სხდომაზე (ოქმი №11, პუნქტი №3) დაევალა საქართველოს ეკონომიკისა და სხვა სამინისტროებს ხე-ტყის ნედლეულის სათბობად გამოყენების სხვა ალტერნატიული ნედლეულით შეცვლის ეროვნული პროგრამის შემუშავება, რომელიც დღემდე შეუსრულებელია; ამას ემატება მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი. ამავე დროს, საშეშე მერქანი მოსახლეობის ძირითადი ფენებისთვის, თვითგადარჩენის პრინციპიდან გამომდინარე, თითქმის ყოველდღიური მოთხოვნის საგანი გახდა არსებული ენერგოკრიზისის პირობებში.



ერთიანი სატყეო პოლიტიკის გატარებას ხელს უშლის, აგრეთვე, ტყეების სხვადასხვა უწყებისადმი დაქვემდებარება.



დაუფინანსებლობის გამო საქართველოს ტყეებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებების გაუტარებლობით ტყეებს ყოველწლიურად მილიონობით ლარის ზიანი ადგება.

- ტყის დაცვის ხაზით პრობლემას ქმნის ქვეყანაში განთავსებული უამრავი სხვადასხვა ტიპის მერქნის პირველად გადამუშავების საწარმოები (სახერხები), რომელთა უმრავლესობა უკანონოდ ფუნქციონირებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საწარმოების დაფინანსება ხდება ადგილობრივი სასამართლოების მიერ დეპარტამენტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ამავე დროს, მათი მუშაობა მოუწესრიგებელია, ისინი ძირითადად აწარმოებენ უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავებას გარემოს დაცვითი მოთხოვნების უგულებელყოფით.

- პრობლემურია ყოფილი საკოლმეურნეო და საზოგადოებრივი მეურნეობების ტყეებში შექმნილი მდგომარეობა; აღნიშნული ტყეების საერთო ფართობი 500.0 ათას ჰექტარს აჭარბებს, განლაგებულია ძირითადად დასახლებული პუნქტების მიმდებარედ და თითქმის დეგრადირებულია. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 7 მარტის №671-11-ის დადგენილებით, ეს ტყეები ორი თვის ვადაში უნდა გადაცემოდა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს, მაგრამ გადმოცემა, ისიც ფორმალური, განხორციელდა მხოლოდ 1998 წელს, თანაც გადმოცემულ იქნა მხოლოდ 332600 ჰექტარი (64%), დანარჩენი ტყეების ბედი დღესაც გაურკვეველია.

- მოსაწესრიგებელია სატყეო კანონმდებლობა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი მოსამართლეს არ ავალდებულებს კანონდამრღვევთა მიმართ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებლობას, რის გამოც ზოგიერთი მოსამართლე კანონის დამრღვევს მხოლოდ ადმინისტრაციულ სახდელს აკისრებს, ხოლო ტყისთვის მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელი რჩება. კოდექსში არ არის შესაბამისი მუხლი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა-დაზიანებაზე. კანონმდებლობით არ არის დადგენილი, ასევე, მიყენებული ზიანის ის ოდენობა, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. შესაცვლელია დებულების "ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ" ზოგიერთი მუხლი.

- ერთიანი სატყეო პოლიტიკის გატარებას ხელს უშლის, აგრეთვე, ტყეების სხვადასხვა უწყებისადმი დაქვემდებარება, რაც ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლობისა და ურთიერთგადაბრალების საფუძველი ხდება, ხოლო საბოლოო ჯამში ტყეების უკანონო ჩეხვას განაპირობებს.

- დაუფინანსებლობის გამო, საქართველოს ტყეებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებათა სალიკვიდაციო ღონისძიებების გაუტარებლობით, ყოველწლიურად მილიონობით ლარის ზიანი ადგება ტყეებს. ასე მაგალითად: სწორი სამეურნეო ღონისძიებების გატარებით საქართველოს წაბლნარებში, რომელთა დიდი ნაწილი ე.წ. კიბოთია დაავადებული და გამხმარი, ხმელი ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა-რეალიზაცია ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტს მილიონობით ლარს შემატებს, ხოლო ტყეების სანიტარიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

- ტყეების დაცვაზე უარყოფითად მოქმედებს სატყეო მეურნეობათა სისტემატიური პერმანენტული შემოწმებები სხვადასხვა უწყების მხრიდან. მეურნეობები ვერ აუდიან რევიზორთა მიღება-გასტუმრებას. იხარჯება უამრავი საწვავ-საცხები მასალა, შედეგები კი თითქმის ნულის ტოლია; ყველაფერი ისევ ტყეების ხარჯზე ხდება.

საქართველოს ტყეებში არსებული პრობლემების გამო ტყეების პრივატიზაციის შესახებ დაწყებული კამპანია ნაადრევად გვეჩვენება, რადგან ამასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები სრულიად დაუმუშავებელია; ჯერ ერთი, ტყე რთული კომპლექსია ხეებით, ბალახოვანი და ბუჩქოვანი საფარით, მდინარეებით, წყაროებით, ტბებით, წყალსატევებით, მიწითა და ფაუნით, რომელთა ფასის განსაზღვრას დრო და ფინანსები სჭირდება. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ქართველი კაცის დღევანდელი მენტალიტეტი, დღევანდელი დამოკიდებულება ტყისადმი, ენერგორესურსების დეფიციტი, უმუშევრობა, სიღარიბე, ფინანსური კრიზისი. დღეს ხე-ტყის მრეწველი ინვესტიციას დებს ხე-ტყის პროდუქციის მოპოვება-რეალიზაციაში და ტყეების კერძო მფლობელობაში გადასვლა ამ პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს, ერთპიროვნულად გაიზრდება ხე-ტყის პროდუქციის ფასები, გლეხს ტყეში აღარ შეუშვებენ, იგი საწვავ შეშას ვეღარ შეიძენს, სხვა პროდუქციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში ასეულ ათასობით ჰექტარი ვენახი გაიჩეხა და უფრო შემოსავლიანი ერთწლიანი კულტურები დაითესა, ამიტომ ნურავის ექნება იმის იმედი, რომ კერძო მესაკუთრე საშეშე პლანტაციებს გააშენებს და 20-30 წელი დაელოდება მისგან მოგების მიღებას. იგი მაქსიმალურად ისარგებლებს ტყის პროდუქციით და საქართველოს მხოლოდ დეგრადირებული ტყეები შემოემატება, ხოლო ზემოაღნიშნული პრობლემები ისევ პრობლემებად დარჩება.

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო დროს პრესაში ქვეყნდება სხვადასხვა პუბლიკაცია საქართველოს ტყეებზე, მის პრობლემებზე, თუმცა ზოგიერთ ინფორმაციაში საკმაოდ სენსაციური მონაცემებიც გვხვდება. "საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის განცხადებით, 2002 წელს დაახლოებით 2 მილიონი ხე-ტყე გაიტანეს საექსპორტოდ" - მითითებულია ერთ-ერთ სტატიაში ("ტყე ვერ შევუნახეთ შვილებსა" - ავტორი ო. ქირია, გაზეთი "24 საათი" №181; 02.08.2004 წ.), იქვე აღნიშნულია, რომ მთლიან მაჩვენებელს შეადგენს ოფიციალური (ლეგალური) და არალეგალური ციფრების ჯამი, რაც 1.2 მილიონი კუბ. მეტრის ტოლია" - გაუგებარია, რა იგულისხმება ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებში. ასევე ვერ დავეთანხმებით ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საექსპორტოდ ქართული წარმოების ხე-ტყის ხარისხის გაზრდით (ძირითადად, მუხა) ბიუჯეტმა უნდა მიიღოს სარგებელი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციისაგან - ქართული მუხის ექსპორტი არაფერს მოგვცემს, რადგან მისი საექსპორტო ხარისხიანი პროდუქციის მოპოვება არარეალურია. ასევე გაუგებარია განმარტება "სანიხრე ღირებულებიდან შემოსავალი შეადგენს 100 დოლარს კუბომეტრზე" - რა გაანგარიშების შედეგია; ავტორის დასკვნაც "ტყის ჭრაზე გამოცხადებულმა მორატორიუმმა არავითარი შედეგი არ გამოიღო", საკმაოდ კატეგორიულია, ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

საყურადღებოა პროფესორ გ. ხარაიშვილის პუბლიკაცია "თბილისის მიდამოების გატყიანებისათვის" (გაზეთი "24 საათი", 07.08.2004 წ.), სადაც მეცნიერი აღნიშნავს იმ ტიტანურ შრომას, რომელიც ქართველმა მეტყევეებმა გაწიეს თბილისის შემოგარენის გასატყევებლად. ავტორის გულისტკივილი თბილისის სატყეო მეურნეობის არასწორად გაუქმების შესახებ სრულიად მართებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ბანკის ეგიდით ფუნქციონირებს საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების ცენტრი, რომელიც 1997 წლიდან ამუშავებს საქართველოს ტყის განვითარების პროექტს, მაგრამ პროექტის განხორციელების პრაქტიკული შედეგები თითქმის არ ჩანს. უფრო მეტიც, მათი რეკომენდაციებით ჩატარებულმა სატყეო მეურნეობათა მექანიკურმა შეერთებებმა (ხაშური-ქარელი, აბაშა-სენაკი-ხობი-ქარიატა-კოლხეთი, ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდი, თბილისი-გარდაბანი და სხვა) არავითარი ეკონომიური ან მეურნეობრივი ეფექტი არ გამოიღო, პირიქით, ამ შეერთებებმა უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები განაპირობა. საინტერესოა ამ ცენტრის მიერ ჩატარებული სხვა ღონისძიებებიც: ტყეების კვლევის, აღრიცხვისა და მონიტორინგის ჩასატარებლად გამართულ ტენდერში რატომღაც ამ საქმეში სრულიად არაკომპეტენტურმა უწყებამ გაიმარჯვა, ხოლო გამოცდილებითა და კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია №საქტყეპროექტი" თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. გაუგებარია, რა მოტივებით ან დებულებით ჩატარდა ტენდერი, სადაც უგულებელყოფილ იქნა ძირითადი - კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შვიდი წლის განმავლობაში დაპროექტდა და აშენდა ბრაზილიის ახალი დედაქალაქი, განხორციელდა მსოფლიო მნიშვნელობის პროექტები, დამთავრების ფაზაშია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, მსოფლიო ბანკის ეგიდით მოქმედ საქართველოს ტყის განვითარების პროექტს კი დღემდე არ ეღირსა ამოქმედება და ეს პერიოდი სადღაც უსასრულობისკენ იწევს, ანუ მანამდე, სანამ თვით პროექტის ავტორების მიერ (ძირითადად საზღვარგარეთიდან მოწვეული ექსპერტები) ხელფასებად არ იქნება ათვისებული ის მილიონები, რომელიც ჩვენს ისედაც გალატაკებულ ქვეყანას მოუშორებელ ვალად აწვება.

ჩვენი აზრით, ტყეები ამ ეტაპზე უნდა იყოს არა სხვადასხვა უწყების, არამედ ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურის გამგებლობაში და მასვე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. როცა ამაღლდება ქვეყნის ეკონომიკა, შეიცვლება ტყისადმი თვითგადარჩენისა და მომხმარებლური დამოკიდებულება, აღმოიფხვრება ენერგორესურსების კრიზისი, შეიქმნება სათბობი შეშის ალტერნატიული საფუძველი, შეიცვლება საზოგადოების ფსიქოლოგიური, სოციალური, საყოფაცხოვრებო გარემო, ჩატარდება ტყეების საკადასტრო მოწყობის სამუშაოები, შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ ტყეების განსახელმწიფოებრიობაზე, მანამდე ამ საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკოს მეტყევეთა უმეტეს ნაწილს დანაშაულებრივ ფაქტორად მიგვაჩნია. ასევე გაუმართლებელია ამ ეტაპზე ტყის მართვის სისტემის სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება, ისევ ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო.

გაზეთ "24 საათში" (№181, 02.08.2004 წ.) გამოქვეყნებულია ინფორმაცია "არასამთავრობო მთავრობას", სადაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ტყეების პრივატიზაციას იმ მოტივით, რომ მსოფლიოში ტყეების მართვის სფეროში საპირისპირო ტენდენციამ იჩინა თავი და სახელმწიფოები ცდილობენ პრივატიზებული ტყეების უკან დაბრუნებას. ტყეები ქვეყნის განუყოფელი ნაწილია და მისი ბედი მარტო ეკონომიკის სამინისტროს გადასაწყვეტი არ უნდა იყოს. საჭიროა შეიქმნას კომპეტენტური კომისია მეცნიერების დარგის კომპეტენტური სპეციალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების ერთობლივი მონაწილეობით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველო არავისზეა დამოკიდებული



B4

რა საჭიროა კონტრკულტურა?



B3

ქეთი მელუა "ციცინათელა" ქართველებს მიუძღვნა




B7


ნომრის სტუმარი

## დეკანოზი მიქაელ ასათიანი:

# პატრიოტიზმი სამოქალაქო შეგნების გარეშე გამანადგურებელია

ნოდარ ლადარია

*მამა მიქაელი გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. "24 საათის" რედაქციაში მოსულმა ერთი ფრიად უცნაური საბუთი მოიტანა თან: მშვენიერ ჩარჩოში სათუთად ჩასმული ტექსტი, რომელიც, როგორც ერთი შეხედვით შევატყვე, რაღაც საზეიმო ფიცი თუ დაპირება უნდა ყოფილიყო. ყურადღება მიიპყრო სიტყვებმა: "ვიყო ჩემი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე"... "ვიყო შემწყნარებელი სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენელთა მიმართ"... "დავიცვა კონსტიტუცია"... თითქოს ყველაფერი ნაცნობი და გასაგებია, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს რომელიმე უფლებადაცვითი კონკურსის "გაიდ-ლაინები". ამ შემთხვევაშიც არასამთავრობო ორგანიზაციასთან, თითქოსდა ჩვეულ "ენ-ჯი-ოსთან" გვაქვს საქმე, მაგრამ არის ერთი დეტალი: ეს "ენ-ჯი-ო" ეკლესიასთან გაიხსნა, არა რომელიმე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის კარნახით, არც რომელიმე მსხვილი გრანტის მოლოდინში: მისი საფუძველი მოძღვრის შინაგანი მისწრაფება და მოქალაქეობრივი მრწამსი იყო. ალბათ ყველა "ენ-ჯი-ო" ამ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს...*



*"ეკლესიამ უნდა აღზარდოს მოქლაქეები. სამოქალაქო საზოგადოება სიყვარულსა და სინდისზეა დამყარებული. ამიტომ ეკლესიამაც უნდა მოამზადოს ერი, მისი ახალგაზრდა თაობა".*

**— მამაო, როგორ მოხვედით ეკლესიაში?**

- ჩემი მოქცევა 1980 წელს მოხდა, მაშინ სენაკში ვცხოვრობდი. ორი წლის განმავლობაში მორჩილი ვიყავი, კიდევ ორი წელი — დიაკონი. 1984 წლის 23 ნოემბერს კი, გიორგობის დღესასწაულზე, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მოხდა ჩემი ხელდასხმა სამღვდელო ხარისხში.

**— თავიდანვე გლდანში დაიწყეთ სამსახური?**

— არა, გლდანში კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებით 1995 წლიდან ვმსახურობ. მანამდე კი სულ სამეგრელოში ვიყავი. აქეთ იმიტომ მომიწოდეს, რომ მაშინ დაიწყო ბასილ მკალავიშვილის სახელთან დაკავშირებული არეულობა. გლდანის მრევლი ამის გამო დაქსაქსული იყო. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მის მოსაბრუნებლად ეკლესიაში. ამჟამად ათასზე მეტი სულიერი შვილი მყავს.

**— 1995 წელს მაინცდამაინც თქვენი მოწვევა რამ განაპირობა გლდანში, სადაც ასეთი რთული ვითარება იყო?**

— სამეგრელოში, მოგეხსენებათ, არანაკლებ რთული იყო ვითარება. 90-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდში ვმსახურობდი და იქ გავხსენი ღვთისმშობლის კვართის ეკლესია. საკმაო გამოცდილება დამიგროვდა იმ შფოთიან დროს სხვადასხვა შეხედულებებისა და მისწრაფებების ადამიანებთან ურთიერთობაში. ღვთის მადლით, ყოველთვის ვახერხებდი წონასწორობის შენარჩუნებას. უნდა გითხრათ, რომ მოძღვარი ყველა კარგია, იმ თვალსაზრისით, რომ წირვა-ლოცვასა და სჯულის კანონით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს ყველა ჯეროვნად ასრულებს. მაგრამ სამოძღვრო სამსახურის გამოცდა იქაა, სადაც მრევლთან უშუალო ურთიერთობა იწყება. როცა არ არსებობს დისტანცია, როცა სამწყსო დაუბრკოლებლად იხსნება შენს წინაშე, ეს ნიშნავს, რომ მოძღვრის შრომა დაფასებულია. მე მუდამ ვცდილობდი ამისთვის მიმეღწია და წარმატებულადაც...

**— მაგრამ ამ უშუალო ურთიერთობას რაღაც გარკვეული ნიადაგი სჭირდება...**

— როგორ არა! ჩვენ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია გავხსენით: ერთია ეკლესიასთან არსებული სრულიად საქართველოს საზოგადოება "ენა, მამული, სარწმუნოება" (მოზრდილთათვის); მეორე კი საბავშვო ორგანიზაციაა — "სულიერი ლაშქარი".

**— სახელწოდება სამხედრო დისციპლინაზე მიგვითითებს...**

— სინამდვილეში კი სამოქალაქო შეგნებას ემსახურება... საბავშვო ორგანიზაციაში ორი ჯგუფია: უფროსი, სადაც ბავშვები 12 წლის ასაკიდან ირიცხებიან და უმცროსი — 5-11 წლის ბავშვებისათვის. უფროსები უმცროსების აღზრდით არიან დაკავებულნი, რომ თავიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებელ ცხოვრებასა და პასუხისმგებლობას. შეიძლება ითქვას, ეს საზოგადოება ერთგვარი მიკროსახელმწიფოა: ჰყავს ხაზინადარი, გამოსცემს ჟურნალს, დაყოფილია ათეულებად, ოცეულებად. ბავშვები იკრიბებიან კვირაში ერთხელ და მსჯელობენ, ვის უნდა დაეხმარონ და როგორ. აქ გაჭირვებული ოჯახები და მარტოხელა მოხუცები იგულისხმება. ბავშვები აგროვებენ ას-ას გრამ პროდუქტს (მეტის უფლებას არ ვაძლევ, რადგან მათი ნაშრომით შეძენილი არაა) და მერე მსჯელობენ, ვის უნდა გაუნაწილონ. როცა ადრეული ასაკიდანვე ხედავენ, რომ მათზე გაჭირვებულად მცხოვრები ადამიანებიც არსებობენ, ადრევე უვითარდებათ სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ისე კი, დისციპლინასაც არ ვივიწყებთ. მაგალითად, არდადეგების დაწყებისას ბავშვები განცხადებას წერენ, რომ სადმე დასასვენებლად მიემგზავრებიან. და მაინც, იმას ვცდილობთ, რომ გონებიდან ამოვარდეს ფაშისტური, ნაციონალისტური აზროვნების ელემენტები, ვცდილობთ დავამეგობროთ სასკოლო ასაკის ბავშვები მათ ებრაელ, პროტესტანტ და სხვა სარწმუნოების თუ აღმსარებლობის თანატოლებთან.

**— ეს ზოგადი ლაპარაკია...**

— სულაც არა. აი, თუნდაც იეღოვას მოწმეების მაგალითს მოვიყვან. საქართველოში რატომღაც ყველაზე მეტს მათზე ხმაურობენ, თითქოს ძალიან საშიში რამ იყოს. ბევრჯერ მოსულან ჩვენი მრევლის ოჯახებშიც. მე ვურჩევ, არ დაუკეტონ კარი, შეიპატიჟონ შინ, გაუმასპინძლდნენ, რითაც შეუძლიათ. არ გაექცნენ საუბარს. თუ ატყობენ, რომ საღვთო წერილის გარშემო მსჯელობა უჭირთ, გადაიტანონ საუბარი სხვა თემაზე, ყოფით საკითხებზე, მონახონ საერთო ენა... ასე მრავალჯერ მომხდარა და იეღოვას მოწმეებიც ძალიან კმაყოფილნი დარჩენილან, თუმც კი თავიანთი მიზნისთვის არ მიუღწევიათ.

**— მოზრდილთა ორგანიზაციაც ამავე პრინციპებს ეყრდნობა, ხომ?..**

— რა თქმა უნდა. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ 2004 წლის 23 მაისიდან "ენა, მამული, სარწმუნოების" საპატიო წევრი არის საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. მე გავუგზავნე არჩევის შესახებ უწყება და, თქვენ წარმოიდგინეთ, პირადად გვესტუმრა.

**— საპატრიარქოს მხრიდან საყვედურს გადაურჩით. რამდენადაც ვიცი, ბოლო დროს ხელისუფლებასთან სამღვდელოების პირადი კონტაქტები არ მოსწონთ...**

— ამ მხრივ საპატრიარქო ვერაფერს მისაყვედურებს. ეს სულაც არაა მისი კომპეტენცია. მე სჯულის კანონს ვასრულებ, მღვდელმსახურებას ისე ვეწევი, როგორც წესი და რიგია. დანარჩენი კი ჩემი მოქალაქეობრივი ცხოვრებაა და აქ სრული უფლება მაქვს ვაკეთო ის, რასაც ვაკეთებ.

**— მაინც საიდან უნდა მომდინარეობდეს ერთგვარი ნეგატიური განწყობა საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმართ?**

— იქიდან, რომ ძირითადი ცნებები ერისთვის გაუგებარია. "მოქალაქე" ოდესღაც ის სიტყვა იყო, რომლითაც მილიცია მიმართავდა მას, ვისაც აჩერებდა ან აპატიმრებდა. "ამხანაგი" — კომუნისტების ზედწოდება იყო. დღესაც "სამოქალაქო საზოგადოებას" რაღაც ბნელ ძალასთან აიგივებენ, ხან მასონობას უწოდებენ ამას და ხან კიდევ რას... დაგვავიწყდა, რომ პატრიოტიზმი მოქალაქეობის გარეშე დამანგრეველი და დამღუპველია. მოქალაქეობა ადამიანისთვის მატერიალურ სამყაროში არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი ფორმაა. ვინც ამქვეყნად ცუდი მოქალაქე იყო, არა მგონია, ზეციურ სასუფეველში კარგი იყოს. ამაოდ კი არ აწერია სათაურად ჩვენს ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს: "ცხოვრება და მოქალაქეობა..." უდიდესი წმინდა მამები და ეკლესიის მოძღვრებიც თავიანთი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები იყვნენ. მაგალითად, ბასილი კესარიელი სენატორის ვაჟი იყო და რომის იმპერიის სახელმწიფოებრივ პრინციპებზე იყო აღზრდილი...

**— მე ვიტყოდი, რომ არც წმინდა გიორგი ყოფილა დეზერტირი: მან რომის ჯარში მსახურებაზე კი არ განაცხადა უარი, არამედ იმპერატორის კერპის თაყვანისცემაზე. ესე იგი, მისი კონფლიქტი სახელმწიფოსთან იმ ნიადაგზე მოხდა, რომ სახელმწიფომ არ ისურვა სინდისის თავისუფლების დაცვა. ამაზე გამახსენდა, რომ თქვენ ერთ-ერთი პირველი მოხალისე რეზერვისტი ბრძანდებით...**

— არა მგონია, ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის კაცი მართლაც ჯარში გამიწვიონ. ეს ჩემი მხრიდან სამოქალაქო მხარდაჭერის ჟესტი იყო: რითაც შემიძლია იმით მივიღებ მონაწილეობას. ამის შემდეგ ჩემი სამწყსოდანაც მრავალმა გამოთქვა ამის სურვილი და, უნდა ითქვას, მოხუცმა ქალებმაც: წყალს მაინც მივაწოდებთ და გავურეცხავთ მაინცო...

**— კიდევ ერთი ეპიზოდია ცნობილი თქვენი ცხოვრებიდან: აი, გორბაჩოვს რომ წერილი გაუგზავნეთ...**

— ჰო, ეს 80-იან წლებში იყო. მაშინ ზუგდიდში ეკლესიას არ გვიხსნიდნენ. მეც მივწერე წერილი გორბაჩოვს. ქართულად მივწერე და ვიღაცამ თარგმნა. როცა ამის შემდეგ მოსკოვში მიმიწვიეს და გორბაჩოვის წარმომადგენლები შემხვდნენ, აღმოჩნდა, რომ კარგი თარგმნილი არ იყო. ასე თუ ისე, ეკლესია გაიხსნა.

მოსკოვში ერთი კვირა დავყავი და შევთავაზე, საქართველოში რელიგიათშორისი ცენტრის დაარსება, მაგრამ ამ იდეას განხორციელება არ ეწერა.

**— სამაგიეროდ, ახლა დსთ-ს საფუძველზე შეიქმნა რელიგიათშორისი საბჭო, რომელიც რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკას უწყობს ხელს და ლამის საბჭოთა კავშირის აღდგენას ემსახურება... ესე იგი, თქვენ თავიდანვე განსაკუთრებული აზრი გქონიათ მღვდლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე...**

— განსაკუთრებული აქ არაფერია. რა თქმა უნდა, მღვდელი საჯარო მოხელე არ უნდა გახდეს, თანამდებობებს არ უნდა იკავებდეს, მაგრამ ეკლესიამ უნდა აღზარდოს მოქლაქეები. სამოქალაქო საზოგადოება სიყვარულსა და სინდისზეა დამყარებული. ამიტომ ეკლესიამაც უნდა მოამზადოს ერი, მისი ახალგაზრდა თაობა ევროკავშირში შესასვლელად. უნდა ამოძირკვოს ყველაფრისადმი ეთნიკური მიდგომა, რომელიც ახლა ასეა გავრცელებული. ეროვნული თვითშეგნება, რომლის შესახებ ახლა ამდენს ლაპარაკობენ, ეთნიკურ კი არა, ნაციონალურ პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული. მაგალითად, მახსოვს, სიონში ბაპტისტთა გუნდი გალობდა. რა იყო ამაში ცუდი? ისინი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი, საქართველოს მოქალაქეები არიან. ჩვენ უნდა დავიცვათ მათი უფლებები.

**— ვხედავ, მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბებას თქვენი ბავშვების მიერ გამოცემული ჟურნალი "ახალი სიცოცხლეც" ემსახურება.**

— ჰო, ამ ჟურნალს თავიდან ბოლომდე ბავშვები ამზადებენ. მხოლოდ ერთი მოზრდილი მონაწილეობს, მთავარი რედაქტორი, რომელიც 25 წლისაა. თავიდან ჩემი პირადი თანხით დავიწყე ამ ჟურნალის გამოცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეკლამა არა აქვს და სათანადოდ არ იყიდება. მაინც არ ვეშვებით, რადგან ბავშვები ძალიან ჩართულნი არიან. შესაძლოა, არ იყოს ძალიან მაღალი დონე, მაგრამ მთავარი ის ღირებულებებია, რომლებითაც ბავშვები იმსჭვალებიან.

**— და ბოლოს, მამაო, როგორ ფიქრობთ, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება გაამართლებს თქვენი და თქვენი მრევლის იმედებს?**

— ეს უკვე მეოთხე ხელისუფლებაა, რომელსაც მე მოვესწარი და ასეთი ეროვნული არც ერთი არ ყოფილა. ეროვნული სწორედ იმ გაგებით, რომელზედაც ადრე მოგახსენებდით. მთავარი ისაა, რომ უკვე დაისახა გრძნობიერი პატრიოტიზმიდან არსებით მოქალაქეობაზე გადასვლის გზა. საქართველოში ხომ მოქალაქეობა თითქმის არ ყოფილა. ამ ხელისუფლებამ კი მოასწრო იმის ჩვენება, რომ მტკიცე ნება აქვს, ემოციებიდან და ცარიელი სიტყვებიდან საქმის კეთებაზე გადავიდეთ.






# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი
საზეიმო გახსნა
დას: 19:00 სთ

**თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი**
ფესტივალი "შემოდგომის თბილისი"
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
დირიჟორი - ვახტანგ კახიძე
სოლისტი - ვიქტორ ტრეტიაკოვი (ვიოლინო)
(სიბელიუსი - სიმფონიური პოემა "ფინეთი"; სიბელიუსი - კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის; ჩაიკოვსკი - სიმფონია N6)
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტინქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"ელექტრონული დედამიწა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

**ქარვასლა**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარიელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

პოლ კალჰუნის (აშშ) და მისი მოწაფეების ფოტონამუშევართა გამოფენა "ხელოვნება დაუცველთათვის"

"მშვიდობა და არა ძალადობა"
თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფების აქცია-გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

## კინოთეატრები

**ამირანი**
"შრეკი 2"
დას: 14:00; 16:00; 18:00; 20:00 სთ.

"ბორნის იდენტიფიკაცია"
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# თბილისში ტრაგიკომიკური თეატრი გაიხსნა

თბილისს კიდევ ერთი თეატრი შეემატა. ტრაგიკომიკური თეატრი 19 სექტემბერს სპექტაკლით - "ჩვენ, ანუ გავიმარჯვებთ" გაიხსნა.

"ჩვენი მიზანია მაყურებელს დავანახოთ დღევანდელი ცხოვრების ტრაგიკული მხარეები", - განაცხადა თეატრის ხელმძღვანელმა ვახტანგ ანდიაშვილმა. იგი უახლოეს მომავალში აპირებს ახალი სპექტაკლის "ბაყაყი წყალში ყიყინებს" დადგმას, რომელიც დღევანდელ ყოფას ასახავს.

ტრაგიკომიკური თეატრი სხვადასხვა თეატრებიდან მოწვეული 11-კაციანი დასისგან შედგება. იდეის ავტორი, რეჟისორი, დეკორაციების მხატვარი და მუსიკის ავტორი კი თეატრის ხელმძღვანელი ვახტანგ ანდიაშვილია.

თეატრი რუსთაველის გამზირის N14-ში მდებარეობს.

*მედია-ნიუსი*

# გზამკვლევი სამუსულმანო საქართველოში

## ყველაფერი ლეგენდებითა და საიდუმლოებებით მოცული ტაო-კლარჭეთის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*არც ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს პრეზიდენტმა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს უთხრა საკმაოდ გულისამაჩუყებელი, მაგრამ - რეალური და ყოველგვარი სიყალბისგან დაცლილი ფრაზა: "თქვენ ქართველი ხალხის სიზმარი ხართ". ერთდროულად სევდიანია და საამაყო, რომ მსგავსი სიზმარი სხვაც გვაქვს - ლეგენდადქცეული ტაო-კლარჯეთი.*




თითქოს სიზმარი ცხადდებაო, ბოლო დროს ტაო-კლარჯეთი არაერთხელ ამოტივტივდა ჩვენი თვალსაწიერის ჰორიზონტზე. ფართო საზოგადოებისთვის ეს ტენდენცია ძირითადად, მასმედიით მოწოდებული ინფორმაციების სიხშირით იზომება. "სამუსულმანოს საქართველოს" არასდროს აკლდა ქართველი მეცნიერების სტუმრობა, იწერებოდა მონოგრაფიები, შუასაუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაზე იცავდნენ დისერტაციებს, ქმნიდნენ თემებს, მაგრამ ეს იყო მაინც სამეცნიერო დონეზე. ფაქტია, აქამდე ისტორიული საქართველოს ეს ტერიტორია მხოლოდ მეცნიერების ძიების ობიექტი იყო. მაშინდელთან შედარებით, ბოლო დროს ტაო-კლარჯეთის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის გაცილებით დიდი ინფორმაცია გახდა ხელმისაწვდომი. რაც, ალბათ, შემთხვევითი არაა. ის, რომ ჩვენი საზოგადოება საუკუნეების წინათ დაკარგული განძით დაინტერესდა, სულ ცოტა, იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან მხოლოდ არსებობაზე, თავის გატანაზე აღარ ფიქრობენ.

ტაო-კლარჯეთის თემაში იმდენი პრობლემაა, საქმეში ჩაუხედავს თავგზას აუბნევს. თუმცა, ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის, მათ შორის უპირველესი რომელი შეიძლება იყოს. ახალი თაობისთვის ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველო ლეგენდაა, რომელიც აქვე, სინამდვილეში არსებობს.

იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში ტაო-კლარჯეთში ექსპედიციების საფუძველზე უამრავი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა, პარადოქსია, მაგრამ აქამდე არ არსებობდა ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა, რომელიც ამ თემის ირგვლივ ბურუსს გაფანტავდა და საზოგადოების წარსულში გაცნობიერებას მეტად დაეხმარებოდა. წიგნი, რომელიც ახლახანს სტამბულში დაიბეჭდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გამომცემლობის ეგიდით გამოიცა, ასეთ ფონზე ორმაგად სასარგებლო და სამეცნიერო-პოპულარული მწერლობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

170-ზე მეტი ფერადი და შავთეთრი ილუსტრაცია, ტაო-კლარჯეთის ფერადი რუკა, 70-ზე მეტი ეკლესიის გეგმა, ცხრა ახალი ანაზომი, ერთ მასშტაბში მოცემული ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ტიპთა ტაბულები, 40-ზე მეტი ძეგლის დეტალური აღწერილობა, არქიტექტურულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და სახელთა საძიებელი, ორ-ენოვანი ილუსტრაციებითა და ანოტაციებით ინგლისურ და თურქულ ენებზე, გზამკვლევი ხელოვნებათმცოდნეთა და ისტორიკოსთა, სტუდენტების, მოგზაურებისა და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, - როდესაც ჩემმა მეგობარმა წიგნის გარეკანზე მოცემული ეს ჩამონათვალი წაიკითხა, წამოიძახა: თუ მართლა ეს ყველაფერი აქაა, რამეს გავყიდი და ამ წიგნს აუცილებლად ვიყიდიო... რასაკვირველია, ჩამონათვალი მაშინვე შევამოწმეთ და ერთი გადახედვითაც აშკარა იყო, რომ წიგნი კიდევ უფრო მეტს გვთავაზობდა. რაც შეეხება მის შეძენას, ალბათ 35 ლარი, საკმაოდ რეალური ფასია იმ საგანძურისთვის, რასაც ის იტევს. დღეიდან ის თამამად შეგიძლიათ თბილისის წიგნის მაღაზიებში მოიკითხოთ.

"წიგნი ბევრნაირ მკითხველს ითვალისწინებს - იმასაც, ვისაც რომანტიკა, ლეგენდარული თუ ნახევრადლეგენდარული ამბები იტაცებს; იმასაც, ვინც შორეულ თუ უახლოეს ისტორიაში გარკვევას ცდილობს; ისეთსაც, სიძველეები, ნივთიერი "ნაშთნი" რომ იზიდავს; იმგავრსაც, ვისაც დღევანდელი ვითარებანი, გინდაც დამწერთა საკუთარი განცდის შეტყობა სურს", - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, დიმიტრი თუმანიშვილის ანოტაციიდან ეს პწკარედი, ალბათ, ყველაზე ზოგად და ნათელ სურათს ქმნის ირინე გივიაშვილისა და ირაკლი კოპლატაძის წიგნი-ალბომის "ტაო-კლარჯეთის" შესახებ. ამ წიგნის მთავარი ღირსება ისაა, რომ გათვლილია ფართო საზოგადოებაზე; ანუ, გარანტირებულია, რომ მშრალი ფაქტებითა თუ მეცნიერული წიაღსვლებით არ დაიტვირთება მკითხველი. და კიდევ: თუკი არ დაგენანებათ და ტაო-კლარჯეთში გამგზავრებისას თან იქონიებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველანაირი გიდის მაგივრობას გაგიწევთ. ერთი სიტყვით, ნაშრომი სერიოზული გამოვიდა და შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად ღირდა მასზე თითქმის რვაწლიანი შრომა.

წიგნს საკმაოდ საინტერესო პრეისტორია აქვს. ეს ყველაფერი დაიწყო 1996 წელს, როდესაც ტაო-კლარჯეთის პრობლემატიკაზე მუშაობა მიუწვდომელი ფუფუნება და მეოცნებეთა თამამი გადაწყვეტილება იყო. რამდენადაც ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, წიგნის ისტორია "სოროსის ფონდის" ერთ-ერთ პროგრამას - Research Support Scheme უკავშირდება. ფონდის პრაღის ოფისიდან მიღებული საერთაშორისო გრანტი უნდა მოხმარებოდა ტაო-კლარჯეთში ექსპედიციას: ძეგლების ანაზომების გაკეთებას, ფოტოფიქსაციასა და შედეგების პოპულარიზაციას. როგორც წიგნის ავტორი, ირინე გივიაშვილი იხსენებს, იმ დროისათვის ასპირანტისთვის ურიგო პროექტი ნამდვილად არ იყო. ექსპედიციაში სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი მიიწვია. მართალია, პროექტის მიხედვით, ექსპედიციის შედეგების პოპულარიზაცია იყო გათვალისიწნებული, მაგრამ მაშინ ექსპედიციის ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რა ფორმატი შეირჩეოდა ამისათვის. ნაშრომი მხოლოდ ერთი ექსპედიციის საფუძველზე არ შექმნილა. ამ ხნის განმავლობაში წიგნის ავტორები სწავლობდნენ მასალებს: გიორგი მერჩულეს თხზულებით დაწყებული, ტაო-კლარჯეთის თემაზე მომუშავე მეცნიერთა ნაშრომებით დამთავრებული. ასე რომ, ექსპედიციის შედეგები და მოგზაურობის შთაბეჭდილებები ქართული ისტორიოგრაფიისა და ეროვნული აზროვნების მნიშვნელოვან ნიმუშებთან არის შეჯერებული.

წიგნის კიდევ ერთი ღირსება მისი ილუსტრაციული მხარეა. სიმბოლურად, საუკუნოვანი განსხვავებით დაწყვილებული ფოტოები ამა თუ იმ ძეგლზე ვიზუალურად ამდიდრებს ინფორმაციას, რაც ტექსტუალურად წარმოდგენილია წიგნში. "ჩვენი დიდი სურვილი, შეიძლება ითქვას, მიზანი იყო, წიგნი ემოციურად დატვირთული გამგვსვლოდა; გვინდა, წიგნმა გააცოცხლოს ის დამოკიდებულება, რომელიც მიძინებულია", - ამბობენ ნაშრომის ავტორები. წიგნი გამდიდრებულია თურქეთში მცხოვრები გურჯების შესახებ ნაამბობით (რაც, საკმაოდ სასიამოვნოდ იკითხება), მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოებითა თუ ფოლკლორული ნიმუშებით. თავისთავად ცხადია, ნაშრომში შეტანილია ისტორიული ცნობები ტაო-კლარჯეთის შესახებ, ასევე მოთხრობილია მისი საქართველოსგან ჩამოშორების დეტალები. ეს ყველაფერი ერთად კი მკითხველს ყველანაირ პირობას უქმნის შეიტყოს უფრო მეტი უძველესი დროიდან ლეგენდებითა და საიდუმლოებებით სავსე ქართული სახელმწიფოებრივი საფუძვლის შესახებ.

წიგნი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. წიგნზე ავტორებთან ერთად პროფესიონალების ისეთმა ჯგუფმა (რედაქტორი დიმიტრი თუმანიშვილია; მხატვარი - ვახტანგ რურუა, ექსპერტ-კონსულტანტი - ნინო ბაგრატიონი...) იმუშავა, შედეგად სხვაგვარ ნაშრომს ვერც მივიღებდით.

ირინე გივიაშვილისა და ირაკლი კოპლატაძის "ტაო-კლარჯეთის" შესახებ მოსაზრებებს დღეს დაგეგმილი პრეზენტაციის სტუმრები ერთმანეთს გაუზიარებენ. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წიგნი უკვე წარადგინეს ავტორებმა ბრიტანეთსა და რუმინეთში. ივლისში, ლიდსის უნივერსიტეტში გამართულ ყოველწლიურ შუასაუკუნეების მკვლევართა გრანდიოზულ კონგრესზე ქართველი მეცნიერები მოხსენებით გამოვიდნენ; ტაო-კლარჯეთის პრობლემატიკაზე ერთსაათიანი მოხსენება ჰქონდა ირინე გივიაშვილს ბუდაპეშტშიც - CEU-ში (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი) გვიანი ანტიკური ხანის შესახებ გამართულ კონფერენციაზე. აქვე გაირკვა, რომ დასავლელი მეცნიერები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ტაო-კლარჯეთში საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციაში, თუკი ეს განხორციელდება. თუმცა, ეს უკვე ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული უამრავ პრობლემათაგან ერთ-ერთია, რაზეც იმედია, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება მუშაობა. ყოველ შემთხვევაში, წიგნის ავტორები აქ გაჩერებას არ აპირებენ.

# ფერი ფერსა მადლი ღმერთსა

*თბილისში გაეროს სახლის ფოიეში არაერთხელ გამართულა სხვადასხვა საინტერესო მხატვრის გამოფენა-გაყიდვა. ყოველი გამოფენის გახსნა საკადრისი პომპეზურობითა და ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. რასაც, სამწუხაროდ, მხატვარ ნიკო ხერკელაძის ნამუშევრების მეექვსე პერსონალური გამოფენის გახსნაზე ვერ ვიტყვით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, ბოლო დროს მომხდარი ტერაქტების გამო, გაეროს სახლში უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად გამკაცრდა. თუმცა, ხერკელაძის ნამუშევრების დასათვალიერებლად ამ სახლის კარი ნებისმიერი მსურველისთვის ღიაა.*

ნანა ბასილაშვილი

გამოფენაზე წარმოდგენილი ნიკო ხერკელაძის 38 ფერწერული ტილო (მეტის გამოფენის საშუალებას დარბაზი არ იძლეოდა), რაიმე საერთო სათაურით არ ერთიანდება. თითოეულ ნახატს თავისი ისტორია აქვს. ერთი 300 არაგველის ისტორიას გადმოგვცემს, მეორე წარმართული ხანის დღესასწაულებზე, "ლაშარობასა" და "იაღსაურსზე" ჰყვება. აქვე "გიორგობის" თანამონაწილეც შეგიძლიათ გახდეთ. გაეცნოთ სხვადასხვა პორტრეტების იუმორისტულ პერსონაჟებს, რომლებსაც ავტორმა შესაფერისად სასაცილო სახელები უწოდა; "ძაგო" და "ღერიკო", "დრაღო სადალაქოში" და ა.შ. შეხვდებით "თანამედროვე ადამსა და ევას"... ყოველი ნახატი გამორჩეული და განსხვავებულია მანერით, ფერითა თუ კოლორიტით. შეიძლება რამდენიმე ნახატი სხვადასხვა ნიუანსებით ემსგავსება ერთმანეთს, მაგრამ სათქმელი სხვადასხვაა. თუმცა, ყველა ერთად სახასიათო ავტორისეული ხელწერით ერთიანდება.

"რაიმე თემა, ხასიათი თავისთავად უშუალოდ პალიტრასთან მუშაობის პროცესში მოდის და იქვე წყდება. თუმცა, ისეც ხდება, როდესაც წინასწარ ვისახავ გარკვეულ მიზანს. ქართველებს ერთი კარგი გამონათქვამი გვაქვს: - "ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო", ბევრ რამეს ფერთან ვაკავშირებთ ხოლმე. ფერი ფერს რაღაცნაირად უნდა შეეთვისოს, შეერწყას, ერთმანეთს უნდა დაუნათესავდეს. ტილოზე თუ ფერი ფერს არ მიესადაგა არაფერი გამოვა. მისი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ მხატვრის სათქმელი ზუსტად გადმოსცეს. ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფერით გადმოსცემ შენს სათქმელსა და ფანტაზიას, რათა მაყურებლისთვის მაქსიმალურად აღსაქმელი და გასაგები გახდე. თუ რაიმე ფერმა მაყურებელზე არ იმოქმედა, მაშინ აზრიც იკარგება. თითოეულ ნახატში რაღაც მუხტი უნდა ჩაიდოს, რაც მაყურებელს ან მიიზიდავს ან პირიქით განიზიდავს. პალიტრა ისეთია, რომ სულ მოფერება სჭირდება, სულ უნდა ესიყვარულო, რომ მოგისმინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება, უბრალოდ, არ მიგიკაროს. მხატვრობაში ბოლომდე უნდა დაიხარჯო, თუ ეს შეძელი, მაშინ შედეგიც შესაბამისია", - ნიკო ხერკელაძე საკუთარ სამყაროზე საუბრობს.

მისი სამყარო კი მაქსიმალურად მრავალფეროვანია. ფერწერული ტილოები სხვადასხვა ჟანრშია შესრულებული. მხატვარი არ იზღუდება და სათქმელს პეიზაჟის, აბსტრაქციის, ნატურმორტისა თუ პორტრეტის სახით გადმოგვცემს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ტილოები ნიკო ხერკელაძემ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნა. გამოფენა კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტის მარიკა არჩვაძისა და გაეროს სახლის ხელშეწყობით გაიმართა. "ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ პროფესიონალი მხატვრების პოპულარიზაციაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ", - აღნიშნა მარიკა არჩვაძემ. ნიკო ხერკელაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში. ჯგუფურ გამოფენებში ჩეხესლოვაკიაში, რუმინეთიში, ბულგარეთში, მოსკოვში, იტალიაში, საფრანგეთში, ქუვეითში, გერმანიასა და იაპონიაში. ქართველი მხატვრის ფერწერული ტილოები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეასა და გერმანიაში, ქალაქ კარლ-მარქს შტადტის მუზეუმში. ამავე დროს, მისი ნამუშევრები ინახება რუსეთის, ირანისა და თურქეთის ყოფილი პრეზიდენტების კერძო კოლექციებში.

უახლოეს მომავალში ნიკო ხერკელაძე საკუთარი ნამუშევრების გამოფენას მშობლიურ მხარეში, დაბა ახალგორში გეგმავს.



იური ლობოდინის ფოტო

*გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ტილოები ნიკო ხერკელაძემ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნა.*

ამერიკული ისტორია

# რა საჭიროა კონტრკულტურა?

დასკვნა

მაგდა ანიკაშვილი

70-იან წლებში მღელვარება, მართლაც, ჩაცხრა. აღარ ეწყობა საპროტესტო დემონსტრაციები და არც როკ-ფესტივალები. პოლიციამ ჩამოყალიბებულ ახალგაზრდულ დაჯგუფებებს ბრძოლა გამოუცხადა, უმრავლესობა დაიჭირეს, ნაწილი ემიგრაციაშიც წავიდა ევროპაში. საზოგადოებამ კი ჰიპების კომუნებზე მიიტანა იერიში და დიდხანს მათაც არ უარსებიათ.

თუ დასაწყისში ვიეტნამის ომმა ამერიკის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა გამოიწვია, მალე კრიზისის ნიშნები გამოჩნდა, მსხვილი კომპანიების აქციათა ფასმა დაიწია და შესამჩნევი ინფლაცია დაფიქსირდა. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა და ეკონომიკური პრობლემების გამოჩენამაც ხელისუფლების სათავეში კონსერვატიულად განწყობილი რესპუბლიკელთა პარტიის მოსვლა განაპირობა. ქვეყნის აყვავებისათვის ხელახალი ბრძოლა დაიწყო, რაშიც ორმაგი ძალებით იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება ერთვება. დემოკრატიული ფასეულობების, ოჯახის ინსტიტუტის და ამერიკის ძლიერების, სამართლიანობის იდეები საზოგადოებისათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს, მაგრამ შეიძლება კი ამ ფასეულობათა რწმენის აღდგენა, როდესაც სულ ცოტა ხნის წინ ქვეყანაში ემოციები დუღდა და თავისუფლების სურნელი ტრიალებდა.

დღეს სწორედ ეს არის ყველაზე სადავო საკითხი. რა შეიცვალა მსოფლიოში 60-იანი წლების მოვლენების შემდეგ? რა დატოვა ამ თაობამ? ნუთუ მართლაც მოწინავე თანამდებობები დაიკავეს მამების ოფისებში მეამბოხე სტუდენტებმა? ყველაზე ხშირად კი ამ იდეებისა და ეპოქის სიმბოლოთა კომერციალიზაციაზე საუბრობენ და ეს უდავოდ მართალია. ყველა ნიშანი, ამ სამყაროს ხატი კაპიტალისტურმა წყობამ თავის სასარგებლოდ ძალიან კარგად გამოიყენა, ყველაზე მეტად კი მოდის ინდუსტრიამ. 70-იანი წლების დასაწყისიდან ჰიპების ჩაცმულობა მოდური ხდება, რაც, შეიძლება ითქვას, სკანდალურად ცნობილი მილიარდელის ტალიტა გეტის დამსახურებაა, მან მეამბოხე თაობის დამახასიათებელი სტილი პირველმა შეურია მაღალ მოდას. მალე კი ლონდონის ძვირადღირებულმა ბუტიკმა Biba-მ ჰიპური კოლექცია გამოფინა. თუმცა, ძალიან დიდ ფასად. მას შემდეგ ცნობილი დიზაინერები ამ სტილს მიმართავენ. უკანასკნელად 2002 წელს მსოფლიო პოდიუმზე ცნობილი ფირმების MiuMiu, Prada, Louis Vuitton-ის კოლექციებში დაშვებული, ყვავილებით მოჩითული ქვედაკაბები, დახეული ჯინსის შარვლები და ნაქსოვი ფოჩებიანი ტანისამოსი გამოჩნდა. ყველას შეუძლია როკ-კონცერტზე წავიდეს, ჰალუცინატორის აბი გადაყლაპოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის საყოველთაო სამართლიანობისა და მშვიდობისათვის იბრძოლებს, ისევე როგორც არ აკეთებენ ამას ის ადამიანები, ვისაც ერნესტო ჩეგევარას გამოსახულებიანი მაისურები აცვიათ. ენდი უორჰოლმა ბიძგი მისცა ამ ტენდენციას და დღეს მეინსტრიმული კულტურის მიერ შექმნილი ელვის პრესლი იმიჯი და თუნდაც კონტრკულტურული "უდარდელი მოჯირითეს" ბაიკერი, ორივე პოპ-კულტურის ხატია.







ხანგრძლივმა საპროტესტო გამოსვლებმა და თამამმა და სკანდალურმა ქცევამ, რომლითაც 60-იანელები მოწესრიგებულ და კანონმორჩილ საზოგადოებას იწვევდნენ, შედეგი მოიტანა. უმნიშვნელოვანესია, რომ შავკანიანთა უფლებებისთვის ბრძოლას დიდი ცვლილებები მოჰყვა, რომ ახალგაზრდობამ სექსუალური უმცირესობების უფლებები დაიცვა და ფემინისტური მოძრაობის განვითარებას შეუწყო ხელი, რომ მიაღწია ვიეტნამის ომის შეწყვეტას, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამ ყველაფრის შედეგი - ცვლილება საზოგადოების აზროვნებაში.

რევოლუცია მხოლოდ სახელმწიფო წყობის შეცვლა როდია, ის შეიძლება აზროვნებაშიც მოხდეს და არავინ იცის, რომელია ამ ორს შორის უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი. მსჯელობა იმაზე, თუ რა მოჰყვებოდა სახელმწიფო წყობის შეცვლას აშშ-ში აბსურდული და, ალბათ, უსარგებლოა. მეორე საბჭოთა კავშირს მივიღებდით, კუბას თუ სამოთხეს, დედამიწაზე ამას ვერავინ განსაზღვრავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ამერიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, იმაზე, თუ სად მიიყვანა ეს ქვეყანა არჩეულმა გზამ და რა მოაქვს მას მსოფლიოსათვის. ის, რომ დღეს მსოფლიოს დიდ ქალაქებში ადამიანებს სახლიდან გამოსვლის ეშინიათ ეს ამერიკის ხელისუფლების დამსახურებაა. ვფიქრობ, ცხოვრების ის წესი, რომელსაც ეს ქვეყანა მსოფლიოს და მათ შორის ჩვენც გვთავაზობს, საშიშია, თუმცა შემოთავაზება არჩევანს გულისხმობს და ჩვენ შემთხვევაში არჩევანი ნაკლებად არსებობს. საზოგადოება, რომელშიც ადამიანი მხოლოდ შრომითი შესაძლებლობების მიხედვით ფასდება, ფიზიკური იქნება ეს, თუ გონებრივი, არ აქვს მნიშვნელობა, სადაც ინდივიდი ნაკლებად სჭირდებათ და მოთხოვნა დაკისრებული მოვალეობის კარგად შემსრულებელ კადრებზეა, სადაც ცხოვრობენ იმისთვის, რომ იმუშაონ და არა პირიქით, ადამიანთა საზოგადოებას აღარ ჰგავს.

რა არის ალტერნატივა და რას სთავაზობს კონტრკულტურა ადამიანებს? იმას, რომ არც ერთი კანონი არ დაიცვან და ანგარიში არავის გაუწიონ? არა მგონია. ზომიერება უნდა დავიცვათ, უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთი კანონთა სისტემა არ არის უნივერსალური და კანონის უზენაესობის აღიარებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანი უნიკალურია, რომ ის ბევრად რთულია, ვიდრე ეს ნებისმიერ კანონს შეუძლია განსაზღვროს და ამაშია მისი ღირსება. რაც შეეხება აზროვნების შეგნებულ გამარტივებას, მასის მართვის გასაადვილებლად ინდივიდებთან ბრძოლას - ეს დანაშაულია. სწორედ ეს იწვევდა პროტესტს თაობაში, რომელმაც კონვეიერის ნაწილის, გარკვეული ოპერაციის შემსრულებელი მანქანის მსგავსად არ ისურვა ეცხოვრა, რეჟიმს სერიოზული საფრთხე შეუქმნა და ადამიანებს დაანახა, რომ ფულის და კარიერის გარეშეც შეიძლება ცხოვრება. ბერნარდო ბერტოლუჩი ამბობს ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში: "პარიზის ქუჩებში შეყვარებულები ერთმანეთს ტუჩებში რომ ჰკოცნიან, ეს ჩვენი დამსახურებააო" და რა შეიძლება იყოს ამაზე მნიშვნელოვანი?! გამოუსწორებელ მეოცნებე რეჟისორს მუდმივად თავისა და 60-იანელთა თაობის გამართლება უწევს და ეს საწყენია. პოსტ-პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მეამბოხე თაობის იდეები და თვითნებობა აღარ არის პოპულარული, გამოუსწორებელ ბავშვებად ითვლებიან ისინი, ვინც დღესაც ბობოქარ 60-იანებს მისტირის, მაგრამ თუ აღარავინ ოცნებობს და აღარავის სჯერა უტოპიის, მაშინ, მართლაც, საფრთხეშია კონტრკულტურა და თავად კულტურაც, ამ სიტყვის პირვანდელი და საუკეთესო გაგებით.

# სკამები ტრადიციის წინააღმდეგ

გუგენჰაიმის მუზეუმის მბზინვარე შენობა, უოლტ დისნეის სახელობის ფრთებიანი ცენტრი ლოს ანჯელესში - ეს ის არქიტექტურაა, რომელმაც მათი ავტორის ფრენკ გერის სახელი საერთაშორისო მასებს გააცნო. ახლა უკვე ყველა იცნობს გერის და ამ "ყველაში" შემავალი ამერიკული პუბლიკა დღეიდან მისი ავეჯის ექსპოზიციასაც დაათვალიერებს.

გამოფენა "გერის ავეჯი" ვაშინგტონში, კორკორანის ხელოვნების გალერეაში გუშინ გაიხსნა. ექსპოზიცია უფრო დიდი პროექტის ნაწილია, რომელიც გერის უკვე დიდ მასშტაბებში - ვგულისხმობთ, არქიტექტურასა და შენობების დიზაინს - წარმოგვიდგენს. კორკორანის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯის ხელმძღვანელები ოთხ ოთახს გაავსებენ გერის შემოქმედების ყველაზე თვალისმომჭრელი პროექტების მაკეტებით. იქნება მისი მუზეუმების მოდელები, გერის დიზაინით შექმნილი სკამები, მაგიდები, სავარძლები. მოკლედ, ეს იქნება ფრენკ გერის სტილის ნამდვილი ზეიმი და, რაც მთავარია, მასებისთვის ხელმისაწვდომი ზეიმი - მისი იდეების მიბაძვა-გადატანა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხომ ყველას შეეძლება; უფრო მდიდრებს კი - პირდაპირ ყიდვა.

გერის ავეჯი მისწრებაა ყველა მეამბოხესთვის. მათთვის, ვინც არ ცნობს ნორმებს. დიზაინერი ხომ უარყოფს ყველაფერს ტრადიციულს და მთელ შემოქმედებას ექსპერიმენტებზე აგებს. გოფრირებული მუყაოს ფენები ერთმანეთზე წეპდება და სქელი კუნძის ეფექტს ქმნის; ხის თხელი ნაჭრები ვაზშია ჩაქსოვილი; ალუმინის ფენები ისეა დათხელებული, რომ ტალღოვან ფარდასავით იხვევა. ასეა თუ ისე - გამოყენებული მასალა მდარე ხარისხისაა თუ, უბრალოდ, უცნაური, მაინც ფაქტია, რომ საბოლოო ეფექტი საუცხოო გამოდის, სახეზეა ავანგარდი, "ჰაიტექი" და ამბოხი ტრადიციების წინააღმდეგ.



თუმცა, კორკორანში გახსნილი ექსპოზიცია უფრო დიდ ყურადღებასა და ფართობს გერის სკამებს უთმობს. განსაკუთრებულად შთამბეჭდავი კარიერის დასაწყისში შექმნილი დიზაინია, იგივე მუყაოს ცნობილი კოლექცია, 60-იანი წლების კლასიკა. იდეა 1969 წელს გაჩნდა და 1973 წლამდე ცნობილი არქიტექტორი სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა. აწებებდა მუყაოს ფენებს ერთმანეთს და შემდეგ მათგან მარტივი და სკულპტურული ფორმების სკამებსა და მაგიდებს "ჭრიდა". იაფფასიანი, მაგრამ ლამაზი ნივთები 35-100 დოლარის ფარგლებში იყიდებოდა. მაგრამ ეს არ იყო ის, რაზეც გერი ოცნებობდა. მას სურდა, ისეთივე დიდი სახელი ყოფილიყო საყოფაცხოვრებო დიზაინში, როგორც ივ სენ ლორანი მოდაში და მუყაოების პროექტზეც გული აიყარა. წლების შემდეგ მას განდიდების ოცნება კომპანია "ნოლმა" აუხდინა. 1992 წელს "ნოლმა" გააკეთა გერის კოლექცია, რომელიც მონრეალის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გამოფინა და წიგნიც დაბეჭდა. გერის სკამები და სავარძლები კლასიკად შერაცხეს. ახლა ერთ-ერთი მათგანი 3785 დოლარიც ღირს.

შემდეგ ფრენკ გერი უკვე მთლიანად ტიტანზე გადაერთო, 1997 წელს ბილბაოს გუგენჰაიმი გახსნა და ეს მზეზე ელვარე ტიტანის ფენები საყოფაცხოვრებო წარმოებაშიც გადაიტანა. დიახ, გუგენჰაიმის მუზეუმის შთაგონებით გერი ქმნიდა მეტალის სკამებს, რადგან ტიტანი ძალიან ძვირი ჯდებოდა და მათ ელვარების მისანიჭებლად ალუმინით ფარავდა.

ერთი სიტყვით, კორკორანის შოუ მოიცავს ფრენკ გერის ყველა გაბედულ ექსპერიმენტს და ყველა გაბედულ იდეას. ამ იდეების შედეგად შექმნილი ავეჯის ფასი ახლა 350 დოლარიდან იწყება, 970 დოლარამდე მერყეობს და 1300-მდეც ადის. ვისაც ჯიბის სისქე უწყობს ხელს და სკამების შეძენით სურს ტრადიციასთან დაპირისპირება, არც ამ ფასს შეუშინდება და გამოფენაზე მისული ხელს ერთი-ორ "მეამბოხე" სავარძელსაც გააყოლებს. დანარჩენები კი - უბრალოდ, დატკბებიან ხედქცეული მუყაოს თავმდაბლობით და ალუმინის ელვარებით. ასეთია გერი.

მალხაზ ხარბედიას სვეტი



## პირადი ბიბლიოთეკა

ასტრიდ ლინდგრენი, "ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი" (1955)

ორი დღის წინ ახალი სასწავლო წელი დაიწყო და აბა, როგორ იქნება, ბავშვები რომ უყურადღებოდ დავტოვოთ? ამიტომ მეც მოვყვები ცოტაოდენს ჩემი ბავშვობისას, ვინ იცის, იქნებ წლევანდელ პირველ თუ მეხუთეკლასელებს ჩემმა ბავშვობისდროინდელმა გასართობმაც დააინტერესოს.

პირველად ეს წიგნი ხელში 1979-ში ჩამივარდა. ხუთის რომ გავხდი, ბიძაჩემმა მაჩუქა წარწერით, "მალხაზს, ზაური ბიძიასაგან". "კარლსონი და პეპი" ჩემი ბიბლიოთეკის პირველი შენაძენი იყო, კითხვაც სულ ახალი ნასწავლი მქონდა, მაგრამ თავად წიგნი შედარებით გვიან წავიკითხე, ალბათ, ბიჭუნასხელა რომ ვიყავი, მაშინ.

გახსოვთ, ბიჭუნას რვა წელი რომ შეუსრულდა, რას ფიქრობდა? რას და შვიდი წლის გავხდი თუ არა, მას მერე დაბადების დღეს ველოდებიო... თანაც დარდობდა, რა დიდი დროა დაბადების დღეებს შორის, თითქმის იმდენივე, რამდენიც შობიდან შობამდეო... მეც, ალბათ ასე, მთელი წელი ველოდი ხოლმე დაბადების დღეს, თუმცა იმ დროში, ჩემი ორიენტირი შობა ვერ იქნებოდა, არამედ რაღაც სხვა დღესასწაულები - ვთქვათ 7 ნოემბერი, 1 მაისი, ან სულაც თბილისობა - ჩემი და ჩემი დის დაბადების დღე ხომ ლამის ყოველ წელს ემთხვეოდა ამ "დღესასწაულს", სადაც ერთი დროზე ადრე გაჭაღარავებული, პიონერის ყელსახვევშებმული ბიძაკაცი გამოჩნდებოდა ხოლმე მოჩვენებასავით და კალთაში რიგ-რიგობით ისვამდა ჩვენხელა ბავშვებს.

სულ მალე ეს ორიენტირი შეიცვალა და იგი წიგნმა შეცვალა, აი იმ წიგნმა, ბიძაჩემმა რომ მაჩუქა 5 წლისას. ახლა უკვე კარლსონიდან - კარლსონამდე, ანდა პეპიდან - პეპიმდე გამყავდა დრო და ეს დროითი სამანები მალე ისე დავაახლოვე ერთმანეთთან, რომ წიგნს უკვე მარტო თვალიერებითაც ვკითხულობდი, სულ რამდენიმე საათში. ე.წ. გრაფიკული მეხსიერების წყალობით, ლამის ყველა გვერდი ზეპირად მახსოვდა და ერთი თვალის შევლებითაც ვიგებდი რა ეწერა ტექსტში, ვიგებდი კი არა, ვიხსენებდი.

მაგალითად, მუდამ მახსოვდა, რომ კარლსონი ლამაზი, ჭკვიანი, ზომიერად ფერხორციანი, ნამდვილად მოწიფული მამაკაცი იყო, თუმცა არ მესმოდა, რას ნიშნავდა მოწიფული მამაკაცი და ვერც ლამაზს დავარქმევდი ამ გოდორა, პროპელერიან კაცს, რომელიც სულ რაღაცას იჩემებდა. ხან მსოფლიოში საუკეთესო მეხანძრეობაზე დებდა თავს, ხან კი მსოფლიოში პირველი ცრუპენტელა ვარო, ამბობდა. ორთქლის მანქანების მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტი, მამლების საუკეთესო მხატვარიც გახლდათ, ოთახების ყველაზე სწრაფი დამლაგებელი კი, არავინ იცის, როგორ ითავსებდა მსოფლიოში საუკეთესო მეძაღლის ამპლუას (ერთხელ წამოსცდა, მფრინავი ძაღლები მყავს და შინ როცა აგვიანებენ, ყოველთვის რეკავენ და მაფრთხილებენ ხოლმეო). მსოფლიოში პირველი ოინბაზი, კარგი მშენებელიც იყო, ააგებდა კუბიკებისგან უზარმაზარ კოშკს და ზედ გუმბათივით დაადგამდა პატარა, შებრაწულ გუფთას. საერთოდაც, იგი აღმერთებდა პატარა, გემრიელ გუფთებს, მიფრინდებოდა ხოლმე გუფთიან თეფშთან, სტაცებდა ხელს შებრაწულ, კრაწუნა გუფთას და პირში გადაუძახებდა.

ეს გმირი პატარების ცნობიერებაში ჩუმი ზუზუნით შემოდის ხოლმე, შემდეგ კი ზუზუნი მატულობს და იგი ღვთაებრივ ხმაში გადაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ბიჭუნასთვის ეს ხმა, მართლაც, ღვთაებრივად ჟღერდა და იგივე ითქმის სხვა, პატარა, მარტოსული გოგო-ბიჭების შესახებაც, ხშირად რომ ოცნებობენ ლეკვის ყოლაზე.

სხვათა შორის, ამ წიგნის მთავარი გმირი, კარლსონიც, ძალიან მარტოსული არსება გახლდათ. საღამოობით, კარის წინ ჩამოჯდებოდა ხოლმე, ყალიონს აბოლებდა და ვარსკვლავებს შესცქეროდა. სულ სევდიანობდა, როცა დღე ისე ჩაივლიდა, არავინ დაუძახებდა "კარლსონს გაუმარჯოსო!" თუმცა, ამის მიუხედავად პატარა კაცუნას თავი მაინც ამაყად და ღირსეულად უჭირავს, ნამდვილი დირექტორი გეგონება, რა საკვირველია, თუ შეიძლება ზურგზე პროპელერიანი დირექტორის წარმოდგენა.

ეს პატარა, მოტორიანი არსება გოდორსა ჰგავს, მაგრამ სიმპათიურიცაა, იგი არც წიწილებს ჩეკს და არც ცოდვებს ინანიებს, არამედ დაზუზუნებს, დაფრინავს, ოინბაზობს, ხელებს თავქვეშ ამოიდებს ხოლმე და მარჯვენა ფეხს აქეთ-იქით აქანავებს, თან ეშმაკურად უციმციმებს ცისფერი თვალები.

"ერთი პატარა ფანტაზია ვარ, პატარა ფანტაზია, რომელიც წევს და ისვენებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოგონილი კაცი ვარ"- ამბობს კარლსონი, მაგრამ აბა, ვინ დაიჯერებს მის ირეალურობას, მით უმეტეს, როცა იგი ჩვეულებრივ ბავშვებსაც ასეთ "პატარა ფანტაზიებს" უწოდებს. მშობლებს, რა თქმა უნდა, არ სჯერათ კარლსონის არსებობა, ერთხელ ბიჭუნასაც კი შეეპარება ეჭვი და ჰკითხავს, მართლა თუ არსებობო, მაგრამ კარლსონი უპასუხებს, "ნეტა, მართლა არ ვარსებობდე, მაშინ ჩემზე უკეთესი გამოგონება ქვეყანაზე არ იქნებოდაო".

სიმართლე ითქვას, კარლსონი არც აძლევს ბიჭუნას იმის გაფიქრების საშუალებას, მართლა არსებობს თუ არა... ჩაუფიქრდება ბიჭუნა კარლსონის ყოფნა-არყოფნის "საკითხს" და ისიც ეგრევე მოფრინდება ხოლმე, მაგრამ რად გინდა, წასვლის წინ ზუსტად ვერასდროს გეტყვის, როდის დაბრუნდება. ასე იბარებს, დაახლოებით სამ საათზე მოვფრინდები, ან ოთხზე, ან ხუთზეო, მაგრამ არაუადრეს ექვსისაო, თუმცა შვიდზე გვიან არ მოვალ, მაგრამ რვაზე ადრე ვერ მოვახერხებო, ცხრაზე უნდა მელოდო, დაახლოებით ათისთვისო.

ასე რომ, ბავშვებო, ელოდეთ კარლსონს დაახლოებით სამიდან - ღამის ათ საათამდე, ან თორმეტამდე, გააჩნია როდის იძინებთ! მშობლებს კი ვთხოვთ, ნუ დააფრთხობენ ალალბედზე მოხეტიალე და ოთახებში მოზუზუნე ამ უსაქმურ კაცუნას.

კალათბურთი

# საქართველო არავისზეა დამოკიდებული

გიგა გურასაშვილი

*სამი თამაში და ორი მოგება. მიზანი, თანაც, არცთუ უპერსპექტივო: დარჩენილი თამაშების მოგება და ორად გაყოფილი საკალათბურთო ევროპის მაჩანჩალობიდან თავის დაღწევა. რამდენად წარმატებით განახორციელებს ამას საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები, ამას გაისად ვნახავთ. დღეს კი ნაკრების მთავარი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი მიღწეულს დამაკმაყოფილებლად აფასებს. როგორი იქნება კალათბურთის ფედერაციის შეფასება, ამას მოგვიანებით, ალმასკომისგან შევიტყობთ. გუშინ კი კაფე "მსოფლიო სპორტში" ნაკრების მთავარ მწვრთნელს დრაჟენ ბრაიკოვიჩსა და გუნდის კაპიტანს ზაზა ფაჩულიას შევხვდით.*



ვახო ბესელიას ფოტო

*დრაჟენ ბრაიკოვიჩი: "ჩემთვის ბევრად იოლი იქნება, თუ მაკედონია სრული შემადგენლობით გვეწვევა, რადგან ამ შემთხვევაში მეცოდინება, თუ რას ითამაშებენ".*

საკვალიფიკაციო ციკლში მაკედონიასთან მარცხმა მდგომარეობა გაგვირთულა. წლეულს დაწყებულმა საკვალიფიკაციო ციკლმა მიზნამდე რომ მიგვიყვანოს, დარჩენილი სამივე მატჩი უნდა მოვიგოთ. უფრო ზუსტად, ფინეთთან ერთი ქულის სხვაობით მოგებაც გვყოფნის, ხოლო მაკედონიელები ხუთი ქულის სხვაობით უნდა დავამარცხოთ.

გამოიკვეთა შეხვედრის ძირითადი ინტერესი: მაკედონიასთან თამაში და მარცხის მიზეზები. "არ მიყვარს მსაჯობაზე ლაპარაკი, მაგრამ... გუშინ საგანგებოდ ორჯერ ვუყურე თამაშის ჩანაწერს და აღმოვაჩინე, რომ მსაჯებსაც მიუძღოდათ ბრალი. მხედველობაში მაქვს მსაჯების შეცდომები ფაჩულიას მიმართ. ყველამ კარგად იცის, რომ ფაჩულია გუნდისთვის 50-60 პროცენტი ძალაა. ყველაფრის მიუხედავად, მატჩში გარდატეხა შევიტანეთ და ანგარიში გავათანაბრეთ, თუმცა, საბოლოოდ მაკედონიასთან დავმარცხდით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: კალათბურთელები, რომლებიც მაკედონიის ნაკრებში თამაშობენ, საკუთარ კლუბებში ძირითად დროს მოედანზე ატარებენ. საქართველოს ნაკრების გასაჭირი კი ისაა, რომ ინდივიდუალურად ფენომენალური მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აქვთ ცოტა. ზაზა ფაჩულია ბრწყინვალე კალათბურთელია, მაგრამ მასაც ნაკლები სათამაშო გამოცდილება აქვს. სასურველია, თუ ზაზა მილუოკში 20-25 წუთი მაინც იქნება მოედანზე. საერთოდ, საჭიროა, რომ ფედერაციამ უფრო მეტ ტურნირს გაუკეთოს ორგანიზაცია, რათა ნაკრების წევრები მეტად შეთამაშდნენ. და კიდევ, ბოლომდე არ იყო გარკვეული, ნიკოლოზ ცქიტიშვილი შეძლებდა თუ არა თამაშს. ხელშემშლელი მიზეზი თბილისში მიღებული ტრავმა გახლდათ. ასე რომ, ამაზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს ნაკრები არავისზე არაა დამოკიდებული. გავალთ თუ არა შემდგომ ეტაპზე, ეს მხოლოდ ჩვენს ხელშია. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი შანსი აქვს, შინაურ კედლებში მაკედონიას სძლიოს, რა თქმა უნდა, ხუთბურთიანი უპირატესობით, მაგრამ ვიდრე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი განახლდებოდეს, აუცილებელია, ნაკრებმა ერთთვიანი შეკრება გაიაროს.

კმაყოფილი ვარ თუ არა საქართველოს ნაკრებით, გეტყვით, რომ გუნდმა კარგად გაართვა თავი მოვალეობას. მათ დაანახეს საკალათბურთო სამყაროს, რომ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს".

მაკედონიასთან მომავალ დაპირისპირებასთან დაკავშირებით ბრაიკოვიჩმა დაგვამშვიდა, უფრო სწორად, შესაძლო პერსპექტივაზე ისაუბრა. "ჩემთვის ბევრად იოლი იქნება, თუ მაკედონია სრული შემადგენლობით გვეწვევა, რადგან ამ შემთხვევაში მეცოდინება, თუ რას ითამაშებენ. თუ მაკედონია უძლიერესი შემადგენლობით დაგვიპირისპირდება და ჩვენც ყველა მოთამაშე გვეყოლება, მას ჩვენთან გამარჯვების შანსი არ ექნება. საქართველო საქართველოში უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე მაკედონიაში იყო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: არავინ იცის, რა მოხდება ამ ერთი წლის განმავლობაში. ვინ იქნება ფორმაში, იქნებიან თუ არა ტრავმირებულები, ვის დაიმატებენ ჩვენი მეტოქეები, ვინ დააკლდებათ და ა.შ. ასე რომ, წინდაწინ რაიმეს განსაზღვრა დღეს ცოტა ძნელია".

ზაზა ფაჩულიამ მაკედონიაში თამაშზე თქვა: "ცოტათი გამიჭირდა, რადგან სულ სამი მატჩი გვქონდა, რაც ჩემთვის საკმარისი არ არის. მომავალ წელს ვეცდები, ის შეცდომები არ დავუშვა, რაც მაკედონიასთან მქონდა. ფინეთთან კი გამიადვილდა თამაში, რადგან მათ გამოკვეთილი ცენტრი არ ჰყავდათ. დღევანდელი მეტოქეებიდან არავის ვიცნობდი, ამიტომ მათ, უფრო სწორად, მათი თამაშის სტილს მოედანზე ვეცნობოდი".

ფეხბურთი

# დინო ძოფი: "იტალიელი მეკარეები საუკეთესოები არიან"

*იტალიელი დინო ძოფი ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მეკარეა. ამჟამად 62 წლის ძოფი კვლავინდებურად აქტიურად მოღვაწეობს ფეხბურთში, თუმცა, დღევანდელ მეკარეებზე არცთუ ისე კარგი აზრისაა.*
*გაზეთ La Gazzetta dello Sport-ის კორესპონდენტი ფაბიო ლიკარი ლეგენდარულ მეკარეს ეწვია და ეს ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა. მაშ ასე: დინო ძოფი დღევანდელ ფეხბურთზე, ძველი და ახალი თაობის მეკარეებზე, პელეზე, მარადონასა და მადრიდის "რეალზე"...*



**- თქვენი აზრით, ვინ იყო ყველა დროის უდიდესი მეკარე?**

- მახსენდება ორდონ ბენკსი, ზეპ მაიერი, ლადისლაო მაზურკევიჩი, ლევ იაშინი და დინო ძოფი. ძნელია მათგან ერთის არჩევა. მაგრამ თუ აუცილებელია, მაშინ იაშინს დავასახელებდი, რომელიც ნამდვილი ლეგენდა იყო.

**- ვინ იქონია თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

- როდესაც მე ვიწყებდი, იაშინი და ბენკსი საუკეთესოები იყვნენ, ჩვენი კერპები. მე სადღაც შუაში ვარ, მათი საუკეთესო თვისებების კარგი კოქტეილი.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენ ფეხბურთის თამაში შეწყვიტეთ?**

- ბევრი არაფერი. ადრე, ალბათ, უმთავრესი ყურადღება ტაქტიკას ენიჭებოდა, ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობებზე აკეთებდნენ აქცენტს. შედეგად, მეკარე ხშირად რჩებოდა სრულ მარტოობაში თავდამსხმელთან პირისპირ. ახლა კი კვლავ კლასიკურ თამაშს მისდევენ. მეკარეებმაც ისწავლეს ფეხით თამაში.

**- მეკარეები ახლა პენალტებსაც ურტყამენ. თქვენ რატომ არასოდეს გიცდიათ პენალტის დარტყმა?**

- ამასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი. უნდა გითხრათ, რომ მარჯვენა ფეხით სხვა ფეხბურთელებზე ცუდად ნამდვილად არ ვურტყამდი. მაგრამ ამას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გავაკეთებდი.

**- არის კი გამართლებული, რომ მეკარემ საჯარიმო დარტყმები შეასრულოს?**

- რატომაც არა! გაიხსენეთ პარაგვაელი ჩილავერტი და მისი საჯარიმო დარტყმები. იმისთვის, რომ ეს პასუხისმგებლობა იტვირთო, გამბედაობაა საჭირო და კიდევ ყურადღებით ყოფნა, რათა კონტრშეტევაზე გოლი არ გაგიტანონ.

**- ისევ დიდ მეკარეებზე ვისაუბროთ. როგორი იყო ბენკსი?**

- ის ძალიან კარგი მეკარე იყო. შესანიშნავად თამაშობდა გამოსვლებზე, ძალიან მოძრავი იყო. ბურთს ყოველთვის თავდაჯერებულად იჭერდა.

**- იაშინი?**

- ძალიან ძლიერი იყო. ფიზიკურად მეტად შთამბეჭდავი მონაცემების. კარის წინ კედელივით იდგა.

**- მაიერი?**

- ძლიერი იყო, კარგად თამაშობდა გამოსვლაზე და ძლიერი იყო ხაზზეც, სადაც თავისი განუმეორებელი გამომეტყველებაც უწყობდა ხელს.

**- მაზურკევიჩი?**

- შთამბეჭდავი მანერა ჰქონდა, ისევე როგორც მაიერს. თავდაჯერებულად იჭერდა ბურთებს და კარს კარგად ფარავდა.

**- ძოფი?**

- იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი მეკარე ვიყავი, 183 სმ. მაგრამ ახლანდელ მეკარეებთან შედარებაც არ შეიძლება. ყველა კომპონენტში ძლიერი ვიყავი, მაღალი ბურთების მოგერიებისას, ფლანგებიდან მოწოდებულ ბურთებზე, მაგრამ ჩემი სპეციალობა კარიდან გამოსვლა იყო.

**- ძოფის შემდეგ, ალბათ, სამი მეკარე განეკუთვნება მის უმაღლეს კლასს: კანი, შმეიხელი და ბუფონი.**

- გეთანხმებით. კანი გერმანიის პირველი ნომერი მეკარეა და ისე ჩანს, რომ ის დღემდე საუკეთესოა. დანიის ნაკრების ყოფილი მეკარე შმეიხელსაც ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა ჰქონდა. ეჭვგარეშეა, რომ იუვენტუსელი ბუფონი ყველაზე ადრეულ ასაკში მომწიფდა. ის ჯერ კიდევ 18 წლის იყო, როდესაც სერია "ა"-ში თამაშობდა. 26 წლის ასაკში მას უკვე 52 მატჩი აქვს ჩატარებული იტალიის ნაკრების შემადგენლობაში. ამ ასაკში მე ჯერ მხოლოდ ვიწყებდი კარიერას "სკუადრა აძურაში". ვინ იცის, კიდევ რამხელა წარმატებებს მიაღწევს ბუფონი. ის განუმეორებელი მეკარეა.

**- არის ისეთი მეკარე, რომელიც საკუთარ თავს მოგაგონებთ?**

- არა. ჩემი მემკვიდრეები სხვაგვარად მუშაობენ და მე ვერ ვხედავ მსგავსებას.

**- თქვენზე ამბობდნენ, რომ ყოველგვარი ემოციების გარეშე თამაშობდით. მაგრამ სწორედ ეს იყო თქვენი წარმატების საიდუმლო. მართალი ვარ?**

- მე და უემოციო? არა, უბრალოდ, სიმარტივეს ვეძებდი. მე არ მინდოდა შოუს მოწყობა, რადგან ამას არავითარი აზრი არა აქვს, თუ შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი.

**- იმასაც ამბობენ, რომ მეკარე გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს, ცოტათი შეშლილიც. მართალია?**

- მეკარეს ძლიერი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მისი მთავარი გამოწვევა, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მეკარის თამაშში ბევრი პაუზაა, მას არ შეუძლია თანაგუნდელების მსგავსად რეაგირება, საშუალება არა აქვს, მეტოქის დაედევნოს, არაფრის უფლება არა აქვს. ის უნდა დაელოდოს და სულ კონცენტრირებული იყოს. ამ დროს ის მარტოა. შესაძლოა, უკვე ორი ბურთი აქვს გაშვებული, მაგრამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ მესამე არ გაუტანონ.

**- თქვენი კარიერის ყველაზე მძიმე მატჩი თუ გახსენდებათ?**

- არ დამავიწყდება ჩემი გამოსვლა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიის წინააღმდეგ მატჩის უკანასკნელ წუთებზე მე მოვახერხე ქიკოს თავურის მოგერიება. შედეგად 3:2 დავამარცხეთ ბრაზილია და მოულოდნელად ნახევარფინალში გავედით. საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონებიც გავხდით.

**- რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?**

- საიდუმლო, თუ თქვენ ამას ასე უწოდებთ, ტანის აგებულებაა, რომელიც გარკვეული ქმედებების საშუალებას გაძლევს, ანუ მშობლები; შთამომავლობით გადმოცემული უნარ-ჩვევები; ცოტა იღბალიც, თავისთავად; ისიც, რომ არასოდეს მქონია მძიმე ტრავმა; უნარი იმისა, რომ მუდამ საუკეთესო ფიზიკური ფორმა შემენარჩუნებინა. დასანანი იქნებოდა, რომ ყოველივე ეს საქმისადმი არასწორი დამოკიდებულების გამო ხელიდან გამეშვა.

**- არც ის არის მართალი, რომ თქვენ დროს ნაკლები ხელშემშლელი ფაქტორები არსებობდა, ნაკლები გოგონები...**

- არა მგონია, რომ ეს ფაქტორი რაიმე როლს თამაშობდეს. 25 წლამდე ყველაფრის გაკეთება შეგიძლია, რაც გსურს - ორგანიზმი ყველაფერს უძლებს. მხოლოდ შემდეგ უკვე ყურადღებით ყოფნაა საჭირო.

**- რას ფიქრობთ ევროპელ მეკარეებზე?**

- უნდა ვაღიარო, რომ დიდად აღფრთოვანებული არ ვარ. განსაკუთრებით კი ეს ევროპის ჩემპიონატზე მომხვდა თვალში. მეკარეები არცთუ ისე თავდაჯერებულად იჭერდნენ ბურთებს. ბევრი უზუსტობა შევამჩნიე. მოვისმინე, როგორ აკრიტიკებდნენ ზოგიერთები ახალ ბურთს და წუწუნებდნენ, რომ ის ზედმეტად მსუბუქი იყო. მაგრამ არა მგონია, რომ ბურთის სიმსუბუქე მათი წარუმატებელი თამაშის მიზეზია. ბოლოს და ბოლოს, ბურთის ზომა და წონა არასოდეს სცილდება დასაშვებ ფარგლებს.

**- მომავალში რომელ მეკარეზე დადებდით ფსონს?**

- იტალიელი მეკარეები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე იყვნენ: ბუფონი, ტოლდო და პერუცი საუკეთესოები არიან.

**- პერუცი და ტოლდო უკვე არც ისე ახალგაზრდები არიან. მსოფლიოში სხვა ვერც ერთ კარგ მეკარეს ვერ ხედავთ?**

- გულწრფელად გითხრათ? როდესაც ვუკვირდები, არცთუ ისე ბევრ ჩემპიონს ვხედავ.

**- გამოდის, რომ იტალიური სამეკარეო სკოლა მსოფლიოში საუკეთესოა?**

- ნამდვილად. ეს ტრადიციაა. ჩემს დროსაც იყვნენ დიდი იტალიელი მეკარეები - კასტელინი, ალბერტოზი, ვიერი...

**- უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ფეხბურთი შეიცვალა?**

- დიახ, შეიცვალა. პირველ ყოვლისა, სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებთან შედარებით. გუნდები ბევრად უფრო კომპაქტურად დგანან მოედანზე, ბევრად მეტი პრესინგია. თამაში უფრო სწრაფი გახდა, სულ უფრო ცოტა სივრცეა, ისე, რომ მოედანი პატარა გეჩვენება. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელებს ახლა მეტი სირბილი უწევთ. დღევანდელ ფეხბურთში ბევრად უფრო მეტი ორთაბრძოლაა და ხშირია მოედნიდან გაძევებაც.

**- პელე და მარადონა დღეს ვეღარ განახორციელებდნენ თავიანთ ცნობილ დრიბლინგებს?**

- დარწმუნებული ვარ, პელე და მარადონა დღევანდელ ფეხბურთშიც ისევე დიდებულად ითამაშებდნენ. თავისი დრიბლინგების განხორციელებას პელე ყოველთვის შეძლებდა. ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ ამ ფეხბურთელებს მაშინაც ძალიან მჭიდროდ მეურვეობდნენ და განსაკუთრებული ყურადღებით ეთამაშებოდნენ. არ არის მართალი, რომ უწინ მათ მეტი სივრცე ჰქონდათ. ისინი თვითონ პოულობდნენ ამ სივრცეს. ეს ფეხბურთელები ყველა დროში უნიკალურები იქნებოდნენ.

**- ვინ იყო უკანასკნელი უნიკალური ფეხბურთელი?**

- ვფიქრობ, მარადონას შემდეგ ცოტა მოცდა მოგვიწევს.

**- გამოდის, რომ მადრიდის "რეალის" გალაქტიკოსებით სულაც არ ხართ აღფრთოვანებული.**

- ასე გიპასუხებთ: ეს გალაქტიკოსები საკმაოდ მიწიერებად მესახებიან.

ინფოთეკა

## ყოფილი სპორტსმენები კინოში მიდიან

ნინო ტიკარაძე

ცნობილია, რომ სპორტსმენების უმრავლესობას კარიერის დასრულების შემდეგ კინოში გადაღების სურვილი უჩნდება. ამჯერად სახელგანთქმულმა მოკრივემ ლენოქს ლუისმა გადაწყვიტა, კინოში მოესინჯა საკუთარი ძალები.

მოკრივე, რომელმაც ვიტალი კლიჩკოს დამარცხების შემდეგ სპორტული კარიერაც დაასრულა, ფართომასშტაბიან ფილმში გადაღებასა და მთავარი როლის შესრულებას გეგმავს. "მე კინოში გადაღება მინდა და ამის შესახებ ვესაუბრე კიდეც საჭირო ადამიანებს," - განაცხადა ლენოქსმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მას ფილმში გადაღების გამოცდილება ნამდვილად აქვს. კლიჩკოსთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო ფილმში "ოუშენის თორმეტი მეგობარი".

წარსულში ცნობილი სპორტსმენებისა და ახლანდელი მსახიობებიდან ყველაზე ცნობილი ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი უინი ჯონსია. მან სახელი გაითქვა გაი რიჩის ფილმით "ბანქო, ფული და ორი ლულა".

კინოში მოსინჯეს საკუთარი ძალები მსოფლიო სპორტის ისეთმა გიგანტებმა, როგორებიც არიან მაიკ ტაისონი, მაიკლ ჯორდანი, შაკილ ო`ნილი.

კინოში გადაღების სურვილს რუსი სპორტსმენებიც გამოთქვამენ. მოციგურავემ ტატიანა ტოტმიანინამ, რომელსაც სერიალში იღებენ, როლითვის ყრუ-მუნჯთა ენის შესწავლაც დაიწყო. სვეტლანა ხორკინა, რომელიც სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას, თავისი სპორტული კარიერის დასასრულს, ლენოქს ლუისის მსგავსად, კინოში გადაღებას გეგმავს, მაგრამ, ლუისისგან განსხვავებით, მთავარი როლი მისთვის ჯერ არავის შეუთავაზებია.

## უეფა ფულს ანაწილებს

პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონები ბერძნები კი გახდნენ, მაგრამ მოგებაში მხოლოდ ბერძნები არ დარჩენილან. შეიძლება ითქვას, რომ პორტუგალია ცარიელი ხელებით არავის დაუტოვებია. თვით ტურნირის მასპინძლებსაც კი, რომლებმაც ფინალში ასეთი სერიოზული დარტყმა განიცადეს, სანუგეშო აქვთ. ჩემპიონატი ფინანსური თვალსაზრისით უაღრესად მომგებიანი გამოდგა. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპული ფეხბურთის ფედერაციებმა დაფინანსების სერიოზული წყარო მოიძიეს.

რა თქმა უნდა, ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისია, შეიძლება ეს ფული სასიცოცხლო მნიშვნელობის არც იყოს, მაგრამ ლატვიისთანა პატარა ქვეყნისთვის, ეს ფული სწორედ სასიცოცხლო მნიშვნელობის კატეგორიას განეკუთვნება. ამ თანხით ლატვიელებს თამამად შეუძლიათ კვლავაც იზრუნონ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის.

ტურნირის მონაწილე 16-ვე გუნდი 6 მილიონ დოლარს მიიღებს. პლუს პრემია ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული ყოველი ქულისთვის. მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში თამაშისთვის კი ბუნებრივია, რომ დამატებითი თანხა არის გამოყოფილი. ფინალში დამარცხებულმა პორტუგალიამ დამატებით კიდევ 5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ხოლო ბერძნებმა 8.

საპრიზო თანხა, ის სიმდიდრეა, რომლის აკუმულირებასაც ახდენს მესამე უდიდესი სპორტული ასპარეზობა მსოფლიოში. უეფა, კი, რომელიც ევროპულ ფეხბურთს განაგებს, თავის მხრივ 800 მილიონ დოლარზე მეტ შემოსავალს ელოდება. ძირითადად რეკლამისა და ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან. ამ თანხიდან დაახლოებით 300 მილიონი თვითონ უეფას დანახარჯების დაფარვას მოხმარდება. ერთი ამდენი დახარჯულია ტურნირის ორგანიზაციისთვის. დანარჩენი თანხა კი უეფას წევრი 52 ქვეყანას შორის განაწილდება და ეს აქცია დაუკავშირდება უეფას პროგრამას, რომელიც ფეხბურთის განვითარების ფარგლებში ეროვნულ ფედერაციებს ეხმარება.

## "შტუდტგარტს" მოუბოდიშეს

უეფას თასის გათამაშებაში უნგრეთის "უიპეშტ დოჟასა" და გერმანული "შტუდტგარტის" შეხვედრაში უნგრელმა ფეხბურთელებმა ტრავმა მიაყენეს გერმანიის ნაკრებისა და "შტუდტგარტის" ფორვარდ კევინ კურანიის. ამის გამო უნგრელთა მწვრთნელმა იშტვან შალოიმ ბოდიშის წერილი მისწერა გერმანელებს. კურანიიმ ტრავმა მას შემდეგ მიიღო, რაც "უიპეშტთან" შეხვედრაში მასპინძელთა გუნდის მცველმა შობორ ნოდმა წააქცია. კურანიი ერთი თვით დაემშვიდობა ფეხბურთს. შალოიმ უნგრული კლუბის სახელით მოიბოდიშა, რაც "შტუდტგარტის" მენეჯერმა ტომას ვაიინგმა სიამოვნებით მიიღო. "ჩვენ ყველას გვსიამოვნებს ბუდაპეშტის რეაქცია და მოხარულები ვართ, რომ უნგრელები ფეირ-პლეის პრინციპებს იზიარებენ" - განაცხადა მან.

ფეხბურთი

# "რომა" დასაჯეს, მაგრამ ლმობიერად



ანდერს ფრისკს თავი გაუტეხეს, "რომა" კი დაისაჯა.

ნინო ტიკარაძე

*0:3 მარცხი და სტადიონის დიკვალიფიკაცია - ეს იყო უეფას დისციპლინარული კომიტეტის განაჩენი, რომელიც მან იტალიურ გუნდ "რომას" კიევის "დინამოსთან" არაკორექტული თამაშის გამო გამოუტანა. ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის პირველი მატჩი მსაჯის ტრამვის გამო შეწყდა.*

"უეფას საკონტროლო-დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილება იტალიის "რომასა" და კიევის "დინამოს" თამაშის დროს მომხდარმა საკმაოდ სერიოზულმა ინციდენტმა გამოიწვია, რომლის შედეგადაც მძიმე ტრამვა მიიღო მატჩის მთავარმა არბიტრმა ანდერს ფრისკმა. ამან კი თამაშის შეწყვეტა განაპირობა". ასეთი გახლდათ საფეხბურთო ევროკავშირის მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებული კომენტარი რომის სტადიონ "ოლიმპიკოზე" ამა წლის 15 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის შესახებ. არადა, უნდა ითქვას, რომ რომაელები ამ ინციდენტის გამო უფრო სერიოზულ სასჯელს ელოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ რომაული კლუბი გადარჩა.

შეგახსენებთ, რომ იტალიის "რომასა" და უკრაინის "დინამოს" შორის იტალიაში გამართული მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ, რომელიც სტუმრების სასარგებლოდ (1:0) დასრულდა, მთავარ მსაჯს, შვედ ანდერს ფრისკს თავში მოხვდა ტრიბუნიდან ნასროლი რაღაც საგანი. გულშემატკივართა ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ გამოაცხადეს, რომ მატჩი აღარ გაგრძელდებოდა. უეფას წარმომადგენლის თქმით, ასეთი გადაწყვეტილება თავად ფრისკმა მიიღო.

საბოლოოდ, უეფას საკონტროლო-დისციპლინარულმა კომიტეტმა "რომა" ტექნიკურად დამარცხებულად გამოაცხადა (0:3). იტალიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის დანარჩენ ორ საშინაო მატჩს, 3 ნოემბერს ლევერკუზენის "ბაიერთან" და 8 დეკემბერს მადრიდის "რეალთან" უმაყურებლო სტადიონზე გამართავს. გარდა ამისა, "არასპორტული საქციელის" გამო დისკვალიფიცირებულია და ორ თამაშს გამოტოვებს "რომას" მცველი ფილიპ მექსესი, რომლის მოედნიდან გაძევება ინციდენტის პირდაპირი მიზეზი გახდა.

ასეთმა გადაწყვეტილებამ სავსებით უნდა დააკმაყოფილოს უკრაინული კლუბის ხელმძღვანელები, რომლებიც მოითხოვდნენ, "რომასთვის" ტექნიკური წაგება ჩაეთვალათ. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გრიგორი სურკისის განცხადებით, "უეფას მიერ გამოტანილი განაჩენი აუცილებლად მკაცრი უნდა იყოს". მან ასევე აღნიშნა, რომ ამ მატჩის ხელახლა ჩატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

თუმცა, "რომას" აქვს უეფას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. იტალიელთა აპელაციას უეფაში 24 სექტემბრის შუაღამემდე ელოდებიან.

ევროპული ფეხბურთისთვის უცხო არ არის ტექნიკური მარცხის გამოცხადება. დაახლოებით ერთი თვის წინათ მსგავსი განაჩენი გამოუტანეს ბერძნულ "პაოკს", რომლის შემადგენლობაშიც ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპის დროს ტელ-ავივის "მაკაბის" წინააღმდეგ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი თამაშობდა.

2001 წელს საკუთარ მოედანზე ანალოგიური ანგარიშით დამარცხება ჩაუთვალეს პარიზის პსჟ-სთან შეხვედრისას ბუქარესტის "რაპიდს". უეფას თასის მოსაპოვებლად გამართული ამ მატჩის დროს შუქი ჩაქრა.

ფორმულა 1

# ბანკირები ფორმულას უჩივიან



ბერნი ეკლსტოუნი (შუაში) სამწყსოს კარგავს.

უახლოეს პერიოდში ფორმულა 1-ის შეფის ბერნი ეკლსტოუნის წინააღმდეგ შეიძლება სასამართლო სარჩელი აღძრან. მოსარჩელე მხარის როლში სამი ბანკირი გამოვა: Bayerische Landesbank, JP Morgan Chase და Lehman Brothers.

ბერნი ეკლსტოუნი ფორმულა 1-ით 1970-იან წლებში დაინტერესდა. რამდენიმე წლის წინათ, გადასახადების გაზრდითა და ასაკის მომატებით შეწუხებულმა, ფორმულის მთელი აქტივები ოჯახურ ჩარჩოებში მოაქცია და მას სათავეში ცოლი, ხორვატი სლავიკა ჩაუყენა. ამის წყალობით, ბერნი რბოლების ჩვენების მსოფლიო უფლებას აკონტროლებს. ამას გარდა, ეკლსტოუნს აქვს ექსკლუზიური უფლება, ნებისმიერი რბოლის პრომოუტერებთან აწარმოოს მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკებიდან მიღებული თანხის ლომის წილიც თავისთვის დაიტოვოს. ამასთან, ბატონი ბერნი არც პენსიაზე გასვლას ჩქარობს. მილიონერის თქმით, მან, უბრალოდ, არ იცის, პენსიაზე გასვლის შემდეგ რა გააკეთოს.

თუმცა, ჩანს, სპორტის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცის ერა დასასრულს უახლოვდება. "მე ფორმულას მხოლოდ იმიტომ ვხელმძღვანელობ, რომ გუნდები კმაყოფილნი არიან იმით, თუ როგორ მიდის საქმე, - ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა 73 წლის ბრიტანელი, - თუ საჯინიბოები გადაწყვეტდნენ, რომ მათთვის არც ისე სასარგებლო ადამიანი ვარ, ისინი არავითარ შემთხვევაში არ მომცემდნენ უფლებას, შეფის თანამდებობაზე ასე დიდხანს შემოვრჩენილიყავი. ისინი, უბრალოდ, მომიშორებდნენ. ყველაფერი მარტივია".

კი, მაგრამ გუნდები აღარ არიან თავისი ბოსით კმაყოფილნი. "ფერარის" უზარმაზარმა უპირატესობამ და მიხაელ შუმახერის პრაქტიკულად მუდმივმა გამარჯვებებმა ფორმულა 1-ისადმი ტელეაუდიტორიის ინტერესი გაანელა. ბევრს იმის განცდა დაეუფლა, რომ "ფერარი" "სამეფო რბოლებით" მანიპულირებს, ისევე, როგორც პირადი საკუთრებით. ეკლსტოუნით უკმაყოფილო არიან აქციონერებიც.

"ფაინენშელ თაიმსის" ცნობით, ბერნი ეკლსტოუნის წინააღმდეგ უკვე ამ კვირაში შეიძლება ორი სარჩელი აღიძრას. მოსარჩელე სამი ბანკირი იქნება. მათი წარმომადგენლები აღშფოთებულნი არიან ფორმულა 1-ისადმი უინტერესო დამოკიდებულებით. არადა, პროექტში 1,6 მილიარდი დოლარია ჩადებული. აქციონერები აქტივების გაყიდვასაც კი აპირებენ, რომლებიც ბოლო დროს ძალიან გაიაფდა. Kirch-ის გაკოტრების შემდეგ ეკლსტოუნი ფორმულა 1-ის მფლობელი კომპანია SLEC-ის აქციათა 25 პროცენტს აკონტროლებს. დანარჩენი 75 პროცენტი ბანკირების ხელშია, მაგრამ ხელისუფლების სადავეები ენერგიული მოხუცის ხელში რჩება.

თუმცა, აქ საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ, "ფერარის" მფლობელმა ლუკა დი მონტეძემოლომ ბერნი ეკლსტოუნი იმის გამო გააკრიტიკა, რომ მან აქტივები ბანკირებს მიჰყიდა. "მათ არ შეუძლიათ სიტუაციის გამოსწორება. ეს საერთოდ არ არის მათი საქმე. სპორტს ფინანსური კომპანიები არასოდეს ხელმძღვანელობდნენ", - განაცხადა მონტეძემოლომ.

ვის და საით მიჰყავს ფორმულა? როგორც ჩანს, ყველაფერს აკონტროლებს ეკლსტოუნი, რომელსაც თავისი სამწყსო კრახისკენ მიჰყავს. ბოლო დროს სულ უფრო ხმამაღლა ისმის განცხადებები ალტერნატიული რბოლების გაერთიანების შესახებ. ამ შემთხვევაში ფორმულა თავის პირვანდელ სახეს დაკარგავს.

მოკლედ

# ბექჰემებმა სარჩელი აღძრეს



დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა სარჩელი აღძრეს ბრიტანეთის ბულვარული გაზეთის News of the World-ის წინააღმდეგ. ეს გამოცემა პერიოდულად ბეჭდავდა სკანდალურ მასალებს დევიდ ბექჰემზე. მათ შორის იმ ქალბატონების აღსარებებს, რომლებთანაც, გაზეთის აზრით, ინტიმური კავშირი ჰქონდა ინგლისის ნაკრების კაპიტანს. გაზეთს არც ვიქტორია გამოჰპარვია - პერიოდულად მასაც გადაჰკრავდა ხოლმე.

გაზაფხულზე მალაიზიელი ფოტომოდელი სარა მარბეკი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში დეტალურად აღწერდა მისი და დევიდ ბექჰემის სასიყვარულო თავგადასავალს. ქალბატონის თქმით, მას ორწლიანი რომანი ჰქონდა ბექჰემთან. ამ ინტერვიუმდე რამდენიმე დღით ადრე კი გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ბექჰემის ყოფილ თანაშემწე რებეკა ლუსთან, რომელმაც იმავე თემაზე ისაუბრა. ის ამბობდა, რომ ბექჰემთან იმავე ლოგინში გაიყო სარეცელი, რომელშიც ფეხბურთელი თავის ცოლთან, ვიქტორიასთან ატარებს ღამეებს. ეს ბექჰემის ესპანეთში ჩასვლის დროს მოხდაო, - ამტკიცებს რებეკა. ლუსმა თავისი აღიარებისთვის გაზეთისგან ჰონორარის სახით 350 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

თუმცა, სარჩელის აღძვრის მიზეზი გახდა სულ სხვა, 12 სექტემბერს გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც მოთხრობილია ბექჰემის ცხოვრების ახალი სკანდალების შესახებ. ინგლისის ნაკრების კაპიტნის ადვოკატების განცხადებაში ნათქვამია: "სტატია მართალი არ იყო და მან სერიოზული აღშფოთება გამოიწვია არა მარტო მეუღლეების, არამედ მათი ოჯახების მხრიდანაც. გაზეთს ბოდიშის მოხდის საშუალება ჰქონდა, მაგრამ ამ თხოვნას ყურადღება არ მიაქცია".

ამჟამად გაზეთი მოვლენების განვითარებას ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებს. თუმცა, რედაქციაში არსებული წყაროს ცნობით, გაზეთი არ აპირებს სასამართლოს გაექცეს. პირიქით, ის ეცდება, სასამართლოზე მკითხველისთვის რაიმე საინტერესო გამონახოს. "სასამართლოში ვიქტორია ბექჰემისა და რებეკა ლუსის შეხვედრა საინტერესო ამბის მოსათხრობად ძალიან კარგი შანსი იქნება და ამის გამოტოვება არ შეიძლება", - განაცხადეს რედაქციაში.

## "რეალს" სოლარიც დაემტვრა

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩში ლევერკუზენის "ბაიერთან" მადრიდის "რეალს" ზინედინ ზიდანი დაემტვრა. მას მხარი დაუზიანდა. ახლა კი პამპლონის "ოსასუნასთან" მატჩში მუხლი დაიზიანა არგენტინელმა ლეგიონერმა სანტიაგო სოლარიმ. ამის გამო ფეხბურთელი ორიდან ოთხ თვემდე დაისვენებს. ამრიგად, სოლარი გამოტოვებს "სამეფო კლუბის" შეხვედრას "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეორე ტურში. მატჩი მომავალ სამშაბათს გაიმართება.

სოლარიმ "ოსასუნასთან" მატჩის მე-8 წუთზე მიიღო ტრავმა. ის საჰაერო ბრძოლის დროს ცუდად დაეცა და მინდორი საკაცით დატოვა. გუშინ მას მადრიდში ტომოგრაფიული შემოწმება ჩაუტარეს. გაირკვა, რომ მარჯვენა მუხლი ტრავმირებულია, მაგრამ მწესები არ დაზიანებულა. ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში "რომას" წინააღმდეგ "რეალი" ზიდანისა და სოლარის გარეშე ითამაშებს.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 23 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - ფინალის ხმები
06:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მეჯიკ ჯონსონი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1994. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "UTAH JAZZ" - "DENVER NUGGETS". მე-5 მტჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" - "იუვენტუსი"
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლანსი" - პსჟ.
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ლევანტე" - "ატლეტიკო"
17:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:35 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "მესინა"
21:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:50 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. "NEW YORK KNICKS" - "NEW JERSEY NETS"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 პროგრამა. "ვლადისლავ ტრეტიაკის ორი სიცოცხლე"
11:15 როდეო. "Bull Riders"
12:00 აფროსნობა. "ამერიკის თასი"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 დიდი პრიზი. "ყველაზე ძლიერი ადამიანი". დღე მეორე
16:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. საუკეთესო მატჩები. მეოთხედფინალი. შვედეთი - ჩეხეთი
18:30 ზამთრის შოუ. "Bumps and Jumps"
19:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 მძლეოსნობა. მონაკოს დიდი პრიზის ფინალი. დღე მეორე. შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
01:30 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 მულტისპორტი
11:30 ცხენოსნობა. სუპერ ლიგა ესპანეთში
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
13:30 პარაოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:00 მულტისპორტი
14:30 ფრისტაილი მოტოკროსი. შეჯიბრება ესპანეთში
16:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
20:30 ფეხბურთი. ევროგოლები
21:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
22:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
23:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:30 ახალი ამბები
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდი ბრიტანეთში03:00
03:00 ფეხბურთი. ევროგოლები

## „ეკუმენური დიალოგი“ რენესანსულ ნიადაგზე



*რეგენსბურგის საკათედრო ტაძარი*

1534 წელს გარდაიცვალა პაპი **კლიმენტ VII**. ვითარება იტალიაში სავალალო იყო: ეკლესიამ ერთდროულად დაკარგა მოსახლეობის გონებასა და სინდისზე ზემოქმედების მონოპოლია, დათმო თავისი ამქვეყნიური ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მაშინ აირჩიეს რომის საყდარზე ალესანდრო ფარნეზე, ნამდვილი რენესანსული წარჩინებული, რომელმაც სახელად **პავლე III** დაირქვა. ეს პონტიფიკი ერთ-ერთი გამოჩენილი ჰუმანისტის, **პომპონიო ლეტოს** აღზრდილი იყო, საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა მედიჩების კარზე ფლორენციაში. ახალგაზრდობაში იმდენად ქარაფშუტა ცხოვრებას ეწეოდა, რომ მშობელმა დედამ მისი დაპატიმრება მოითხოვა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ციხეში მაინც მოეგებოდა გონს ან დისციპლინას მიეჩვეოდა. 27 წლის ასაკში ალესანდრო ფარნეზე კარდინალი გახდა და უკვე ორი უკანონო ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, ბუნებრივი შვილი ჰყავდა. ახალგამომცხვარმა კარდინალმა მაშინვე სასახლე ააშენა რომში. უნდოდა, რომ ყველაზე ლამაზი შენობა ყოფილიყო. ამ სასახლეში დაამკვიდრა მთელი თავისი ოჯახი, რომლისთვისაც ცნობილ ბორჯაზე არანაკლებ ზრუნავდა. ყოველივე ამასთან ერთად, ალესანდრო ფარნეზე მეტად დახვეწილი პიროვნება იყო, მშვენიერი მეურნე, ხელოვნების ნაწარმოებთა მაღალგემოვნებიანი კოლექციონერი, დიპლომატიური ინტრიგების მომთმენი და ვერაგი მქსოველი. თანაც ძალაუფლებისკენ სწრაფვას არ მალავდა: ამბობდა, რომ კლიმენტმა პონტიფიკატის თორმეტი წელი "მოჰპარა". თვითონ კი, წმინდა საყდარზე ასვლისთანავე, ორ ძმისწულს მიანიჭა კარდინალის ხარისხი ისე, რომ არც უკითხავს, იმსახურებდნენ თუ არა.

და მაინც უკიდურესად მძიმე სულიერ და პოლიტიკურ ვითარებაში ამ ერთი შეხედვით ქარაფშუტა პაპმა საკვირველი გონიერება და ეფექტურობა გამოიჩინა. უპირველეს ყოვლისა, კლიმენტის მსგავსად, მასაც იმპერატორის ვასალობა ემუქრებოდა. ამ შემთხვევაში ყველაზე მარტივი გამოსავალი გერმანელი იმპერატორისა და საფრანგეთის მეფის ერთმანეთზე გადაკიდება იქნებოდა. ამ პრიმიტიული არჩევანის მაგიერ, პაპმა ფარნეზემ ორი მონარქის "მომრიგებლის" როლი იკისრა. ამ პერიოდში საფრანგეთის მეფე ფრანსუა ერთი მხრივ პროტესტანტებს, მეორე მხრივ კი თურქებს უქსევდა იმპერატორ კარლოსს. კარლოსი კი საფრანგეთში დამსჯელი ექსპედიციებით პასუხობდა. რომმა "სამშვიდობო" ძალის ფუნქცია იკისრა, რათა ეს კონფლიქტი მუდმივად შენარჩუნებულიყო და ორი მეტოქე მუდამ ერთმანეთით ყოფილიყო დაკავებული. ამისათვის პავლემ ლეონორაც გამოიყენა — კარლოსის და და ფრანსუას ცოლი.

ვენეციელი ელჩი, რომელიც სამმხრივ მოლაპარაკებას ესწრებოდა გადმოგვცემს, რომ პაპმა არა მარტო მომრიგებლური ნიჭი გამოამჟღავნა, არამედ ჭეშმარიტი ღირსების გრძნობა და მოთმინება. ერთი სიტყვით, ბადალი არ ჰყავდა თავისი ნამდვილი ზრახვების დაფარვაში.

მაგრამ პავლე არანაკლებ საეკლესიო მოღვაწე აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკოსი. სულიერ ასპარეზზე სიძნელეები კიდევ უფრო მეტი იყო და, რაც მთავარია, მოუხელთებელი და გაურკვეველი. ეკლესიამ ნამდვილად აღარ იცოდა საკუთარი საზღვრები, ვეღარ არჩევდა, სად მთავრდებოდა ორთოდოქსული კათოლიციზმი და სად იწყებოდა რეფორმაციის საუფლო: სკანდინავია აშკარად ლუთერის ქვეშ იყო, შვეიცარია და გერმანია ბრძოლის ველად ქცეულიყვნენ, ინგლისში გაურკვევლობა სუფევდა, საფრანგეთში პროცესი მხოლოდ იწყებოდა და კათოლიკე უმრავლესობას ერთი მუჭა ფანატიკურად განწყობილი კალვინისტები უპირისპირდებოდნენ.

მაგრამ ეკლესიის მდგომარეობა ძალთა განაწილებით იმდენად არ განისაზღვრებოდა, რამდენად საშუალებათ არჩევანით: როგორ უნდა ებრძოლათ სქიზმის წინააღმდეგ — პირდაპირი და მკაცრი, თუ მოქნილი და დამთმობი მეთოდით? უნდა ჩაეყლაპათ რეფორმაცია ცალკეული დათმობების დასად, თუ ღია ფრონტით ომი უნდა გამოეცხადათ?

რომის კურია ამ პრობლემებს არც განიხილავდა. აქ მთავარი იყო ძალაუფლება, ფული, კარიერა, სახელმწიფო ინტერესები. პაპის გარემომცველი მცირე ჯგუფი სასოწარკვეთით აკვირდებოდა სქიზმის განვითარებას და არ იცოდა, რა ეღონა.

კარდინალების ნაწილი ამბობდა, რომ ლუთერის სიმართლე უნდა ეღიარებინათ: განა მართლაც კორუმპირებული და უზნეო არ იყო კათოლიკური სამღვდელოების უმრავლესი ნაწილი? საღვთისმეტყველო სფეროშიც ხომ მარტო იმიტომ არ უნდა უარეყოთ ზოგიერთი აზრი, რომ ლუთერის გამოთქმული იყო? — მაგალითად, რწმენით გამართლების დოქტრინა ნაწილობრივ შეიძლებოდა შეწყნარებულიყო ეკლესიის მიერაც. განა პავლე მოციქული იმავეს არ ამბობდა? ასევე მისაღები იყო ის იდეა, რომ ეკლესიას უნდა დაეთმო თავისი მიწიერი ძალაუფლების ნაწილი სულიერი აღზევებისათვის.

ამგვარ იდეებს იზიარებდა ჯგუფი, რომელსაც კარდინალი **კონტარინი** ხელმძღვანელობდა.

მის წინააღმდეგ ილაშქრებდა კარდინალ **კარაფას** ჯგუფი. ესენი თითქოს შუა საუკუნეებიდან ამოსული ქედუხრელი ფანატიკოსები იყვნენ. მათაც სურდათ ეკლესიის რეფორმა, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით: ისინი დიალოგის დახურვას და ერეტიკოსთა ამოჟლეტას ემხრობოდნენ. მათი მოთხოვნით, ერეტიკოსთა გზას უნდა გასდგომოდა ყველა, ვინც კი ეკლესიის წიაღში დიალოგს უჭერდა მხარს. ასევე ეწინააღმდეგებოდნენ კარაფას მომხრეები საეკლესიო ძალაუფლების დათმობას. პირიქით, აღიარებდნენ, რომ საეკლესიო მთავრობა ყოველ სამეფო და საიმპერატორო ძალაუფლებაზე უმაღლესია.

კონტარინისა და კარაფას ერთნაირად ეწადათ სამღვდელოების ზნეობრივი განწმენდა, მაგრამ პირველის მეთოდი სიყვარული და დარწმუნება იყო, მეორისა კი — ინკვიზიციის ტრიბუნალი და კოცონი.

პაპი არც ერთ ჯგუფს არ ემხრობოდა, იგი თავისი სასახლის აგებით იყო დაკავებული. ლათინური პოეზიის გარშემო საუბარი უყვარდა და ლამაზ ქალებთან არშიყობა. მაინც ორივე ჯგუფის ხელმძღვანელი დააწინაურა და მათ შორის საჭირო ბალანსს ინარჩუნებდა, რომ პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ან ერთი წამოეწია წინ, ან მეორე.

1541 წელს კი გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში ნამდვილი დიალოგი გაიმართა პროტესტანტებთან. იქ წარგზავნილმა კონტარინიმ მართლაც მოახერხა პროტესტანტებთან ერთობლივი დოკუმენტის მიღება. მაგრამ როცა შეთანხმების ტექსტმა რომში მოაღწია, კარაფამ ერთი ვაი-უშველებელი ატეხა. სამწუხაროდ, პოლიტიკური სიტუაციაც მას უწყობდა ხელს, რადგან საფრანგეთის მეფის სწრაფვა გერმანელ პრტესტანტებთან კავშირისკენ სულ უფრო სათუოს ხდიდა იმპერატორის მხარდაჭერას რეგენსბურგის შეთანხმებისთვის.

იმედგაცრუებული კონტარინი წერდა, რომ ეკლესიას ახლა უკვე მხოლოდ ცეცხლისა და მახვილის გზა რჩებოდა, გზა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ეთანხმებოდა ქრისტიანული სარწმუნოების არსს. დამარცხებული კარდინალი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და მასთან ერთად ქრისტეს ეკლესიამ თავისი ერთგული მსახური დაკარგა.

# კათოლიკური რეფორმაცია

თავისი მსვლელობის პირველივე თვეებში ტრენტოს საეკლესიო კრებამ ორთოდოქსული კათოლიციზმის მკაცრი კურსი აიღო: პროტესტანტებთან საერთო ენის გამონახვის ყოველგვარი იმედი თავიდანვე დასამარდა. ეკლესია გამოცხადდა ერთადერთ ავტორიტეტად, რომელსაც უფლება ჰქონდა საღვთო წერილის განმარტებისა, ხოლო წერილის ერთადერთ მისაღებ ტექსტად ნეტარი **იერონიმეს** მიერ ებრაულიდან ლათინურად თარგმნილი ვერსია, ეგრეთ წოდებული **ვულგატა** დამტკიცდა. რაც შეეხება თეოლოგიურ განაზრებას, აქაც ერთადერთი გზამკვლევი დატოვეს: წმინდა თომა აკვინელის ფუნდამენტური ნაშრომი Summa theologiae. ამ წიგნს ტაძრის მთავარ ანალოგიაზე, სახარების ქვემოთ მიუჩინეს ადგილი.

ორთოდოქსიის იეზუიტი დამცველები იმდენად ადვილად და უხვად არიგებდნენ ერეტიკოსის კვალიფიკაციას, რომ რეფორმისტული ტენდენციები მალევე ჩაკვდა: ერეტიკოსად გამოცხადებასა და კოცონს შორის იმხანად ერთი ნაბიჯი იყო. ოპოზიციამ სხვა გზა აირჩია: სარწმუნოებით გამართლების გზა. ლუთერმა თავის დროზე თქვა, რომ ადამიანი სარწმუნოებით მართლდება, რისთვისაც ერეტიკოსად გამოცხადდა. მაგრამ ამის მსგავსი იდეები მოიპოვება **პავლე მოციქულის** ეპისტოლეებსა და **ნეტარი ავგუსტინეს** ნაწერებში. იეზუიტებიც ვერ იმოქმედებდნენ ასე გაბედულად ამ ავტორიტეტების წინააღმდეგ. მაინც ცხარი კამათი გაიმართა: ორი ეპისკოპოსი ერთმანეთს საცემრადაც წაეკიდა და სულ მალე გამოიცა იმპერატორის ბრძანება, რომ მიუხედავად წოდებისა, წესრიგის დამრღვევებს თავის გასაგრილებლად მდინარე ადიჯეში ჩაყურყუმალავება ელოდა. ბოლოს და ბოლოს ამ ასპარეზზეც იეზუიტმა **ლაინესმა** გაიმარჯვა: ლოცვები და კეთილი საქმეები სული ცხოვნებისათვის ისევე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, როგორც რწმენა. კომპრომისის ყოველგვარი ცდა აღკვეთილ იქნა.

პაპმა პავლე III-მ ეპისკოპოსებს დაშლა უბრძანა: იტალიელები დაემორჩილნენ, დანარჩენები კი იმპერატორის ბრძანებას ელოდნენ და ტრენტოში დარჩნენ. ბოლოს პაპმაც დაუთმო იმპერატორ კარლოსის ნებას და სხდომათა განახლება აღუთქვა. მაგრამ დაპირების ასრულება არ ეწერა: პაპი 1549 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა.

**ფარნეზეს** გვარის პაპის სიკვდილის შემდეგ წმინდა საყდარზე კარდინალი **დელ მონტე** ავიდა, რომელმაც სახელად **იულიუს III** აირჩია. იმპერატორის დაჟინების გამო მან 1551 წელს თითქოს განაახლა საეკლესიო კრება, მაგრამ პირდაპირ დაავალა ეპისკოპოსებს, რომ ზიარების თაობაზე ორთოდოქსული რწმენა დაემტკიცებინათ: მღვდელს მიცემული აქვს მადლი, რომლის ძალით იგი ახდენს პურისა და ღვინის მისტიკურ გარდასახვას ქრისტეს ხორცად და სისხლად. ამ სხდომას ლუთერანთა დელეგაცია უნდა დასწრებოდა, რომელსაც უსაფრთხოების გარანტიებს თვით კარლოსი აძლევდა. მაგრამ ლუთერანებს კარგად ახსოვდათ, რომ ამ გარანტიებმა თავის დროზე არ უშველეს ჩეხ პროტესტანტს, **იან ჰუსს**, რომელიც ტრენტოს კრების სხდომიდან პირდაპირ კოცონზე აიყვანეს. მათი შიში უსაფუძვლო არ ყოფილა: დელეგაციის შემოსვლისთანავე ერთმა დომინიკელმა ამბიონიდან იქადაგა, რომ ერეტიკოსებთან მოლაპარაკების ერთადერთი საშუალება არსებობდა — სიკვდილით დასჯა.

ერთი სიტყვით, 1552 წლისთვის კრება კიდევ ერთხელ გაეხვია გაუთავებელი დისკუსიებისა და გადადებული კრებების აბლაბუდაში. ამასობაში კი საფრანგეთის ახალმა მეფემ, **ანრი II**-მ ინგლისთან ომი შეწყვიტა და გერმანელ პროტესტანტებს დაუდო ხელშეკრულება იმპერატორ კარლოსის წინააღმდეგ. ამან კიდევ ერთხელ შეარყია ძალთა წონასწორობა და სრული პოლიტიკური იმედგაცრუება მოუტანა რომის პაპს. იულიუს III-მ უვადოდ შეწყვიტა ტრენტოს საეკლესიო კრების მიმდინარეობა და თავისი პონტიფიკატის ბოლო წლები მდიდრული ვილის მშენებლობასა და მის გარშემო საოცარი ბაღის გაშენებას მიუძღვნა. ზღაპრულ სუფრებს შლიდა და მოწვეულ სტუმრებს უხამსი ხუმრობებით აოცებდა. 1555 წელს იულიუსი გარდაიცვალა და მის ადგილზე კარდინალე **ჩერვინი** აირჩიეს, რომელმაც სახელად **მარჩელო II** დაირქვა. ახალი პაპის პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ თავის ნათესავებს რომის სიახლოვეს გაკარება აუკრძალა. ეკლესიამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მარჩელოს პონტიფიკატი დიდხანს არ გაგრძელებულა: არჩევიდან სამი კვირის თავზე ისიც გარდაიცვალა.

წმინდა საყდარზე კი ავიდა კარდინალი **კარაფა**, ერთ-ერთი ურყევი რიგორისტი, ტეატინთა საეკლესიო ორდენის დამაარსებელი. პაპად არჩევის მომენტისათვის 79 წლისა იყო, თუმცა ბევრად უფრო



*ესპანეთის მეფე ფილიპე მეორე*

ახალგაზრდად გამოიყურებოდა: გამხდარი, წელში გამართული და შავი ელვარე თვალებით. ყველა ელოდა, რომ კარაფა, ახლა უკვე **პავლე IV**, მისი წინამორბედის მიერ დაწყებულ წმენდას განაგრძობდა. მაგრამ პაპმა მაშინვე კარდინალის წოდება მიანიჭა თავის ძმისწულს, კარლოს, რომელიც მანამდე სისასტიკით განთქმული დაქირავებული მეომარი იყო.

პაპის ეს ჟესტი ნათესავების სიყვარულით არ ყოფილა განპირობებული: მას იმპერატორი კარლოსი სძულდა. სძულდა ესპანური წარმოშობის, იმპერატორობის და კიდევ იმის გამო, რომ კარლოსი სულაც არ აპირებდა პროტესტანტების ამოჟლეტას. პაპს მიაჩნდა, რომ ეს აღმსარებლობათა შორის დიალოგის ერთადერთი მისაღები ფორმა იყო. პავლე IV-მ სულ მიივიწყა ტრენტოს საეკლესიო კრება და თავისი ახლობლებით გარემოცული ერთადერთ სანუკვარ გეგმას აწყობდა: პროტესტანტთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას.

მომენტი მართლაც ხელსაყრელი იყო: იმპერატორი კარლოსი სწორედ 1555 წელს ჩამოვიდა ტახტიდან. არ იყო მოხუცი, მაგრამ გამუდმებულმა სნეულებამ დააბერა: ართრიტმა ხელები დაუმახინჯა, ღამით ასთმის შეტევები არ აძინებდა, ხშირად კუჭის წყლულიც აჯილდოვებდა მწვავე ტკივილებით. ადრე ევროპის პოლიტიკურ და სულიერ ერთიანობაზე ოცნებობდა, კარლოს დიდის საქმის გაგრძელება ეწადა და მისი მთავარი მიზანი კონსტანტინოპოლისა და პალესტინის თურქული ძალუფლებისგან გათავისუფლება იყო. ამიტომ ცდილობდა ჯერ რეფორმაციის განადგურებას, მერე მის შერიგებას ეკლესიასთან, საფრანგეთის ჭკუაზე მოყვანას, გერმანიაში წესრიგის დამყარებას. მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამიტომაც ბრიუსელში მოიხმო თავისი ვაჟი, **ფილიპე**, ფლამანდიისა და მილანის ჰერცოგი, და თავზე სამემკვიდრეო ესპანეთის გვირგვინი დაადგა. ამის შემდეგ საკუთარი ძმა, **ფერდინანდი**, იმ ზომამდე გადაკეცა, რომ იმპერატორის ტიტულიც მას დაუთმო. ასე გაიყო ჰაბსბურგთა საგვარეულო ორ შტოდ — ესპანურ და ავსტრიულად. იმპერატორის ტიტული ამ უკანასკნელს ერგო.

ერთი წლის შემდეგ კარლოსი ესპანეთში, წმინდა იუსტის მონასტერში განმარტოვდა. ბერები ჯერ აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნება მათ ასკეტურ ცხოვრებას გაიზიარებდა. მაგრამ კარლოსმა თავისთვის ერთი უბადრუკი სენაკი კი არა, ნახევარი მონასტერი გამოჰყო, სასახლედ გადააკეთა და იქ ორმოცდაათამდე მსახური შეიყვანა. მათ შორის თორმეტი მარტო მზარეული იყო, რადგან ცუდი ჯანმრთელობაც ვერ ერეოდა ყოფილი მონარქის მსუნაგობას. სიცოცხლის ბოლოს რელიგიურ მარაზმში გადავარდა: განუწყვეტლივ ნანობდა, რომ ცეცხლზე არ შეწვა მარტინ ლუთერი და ყველა სტუმარს ურჩევდა, ურცხვი დედაკაცებისაგან შორს დაეჭირა თავი. გარდაიცვალა 1558 წლის სექტემბერში.

ასე და ამგვარად, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი მეფე, ორივე ოცდაათი წლისა: ფილიპე II, ესპანელი და ანრი II, ფრანგი. ფილიპეს ომი არ უყვარდა, ბიუროკრატი მეფე იყო, რომელსაც ესპანელები "კაბინეტის კაცად" (hombre de cabinete) მოიხსენიებდნენ. გარეგნობით ავსტრიელს ჰგავდა: თეთრი კანი, წყლისფერი თვალები. მაგრამ ხასიათი ნამდვილი ესპანური, უფრო მეტიც, კასტილიური ჰქონდა: არავის ენდობოდა და სულ მუდამ რაღაც იდეით იყო შეპყრობილი. მოვალეობის გრძნობა მანიამდე ჰქონდა განვითარებული.

საფრანგეთის მეფე ანრის კი მამისაგან სიამაყე და ამბიციურობა დაჰყვა. კარლოსის ტახტიდან ჩამოსვლაში მან მხოლოდ რევანშის შესაძლებლობა დაინახა და რომის პაპმაც მაშინვე კვერი დაუკრა. ამ უკანასკნელის მიზანი იყო იტალიიდან, განსაკუთრებით კი ნეაპოლიდან ესპანელების გაძევება. ამიტომაც საფრანგეთის ჯარს ნეაპოლისაკენ მოუწოდა და აღუთქვა, რომ მოსახლეობა თვითონაც აუჯანყდება ესპანელებს და ქალაქის დაპყრობა გაადვილდება. არავითარი აჯანყება არ ყოფილა და ესპანელებმა შესანიშნავად დაიცვეს პოზიციები. ახლა უკვე ფრანგებსა და იტალიელებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი. მაგრამ ეს მხოლოდ პატარა შეტაკება იყო იმ გენერალურ ბრძოლასთან შედარებით, რომელიც ესპანელებსა და ფრანგებს შორის სან კვინტინოში გაიმართა. აქ ესპანელებს სავოის პრინცი, **ფილიბერტო** სარდლობდა, ფრანგებს კი ჰერცოგი **მონმორანსი**. ესპანელებმა იმძლავრეს და მეფე ფილიპეს პარიზისკენ გზა გაეხსნა. კაბინეტის კაცი ადგილიდან არ დაძრულა: იმის მაგიერ, რომ ანრისთვის გვირგვინი მოეხსნა, ქალაქისთვის ხელი სთხოვა და შატო-კამბრეზიში ზავს მოაწერა ხელი. ეს ზავი დამარცხებისთვის უფრო საშიში აღმოჩნდა: საბოლოოდ დაასამარა საფრანგეთის ამბიციები და კიდევ უფრო გაამაგრა ესპანელების ძალაუფლება იტალიაში. აქ დამოუკიდებლობა მხოლოდ ვენეციის რესპუბლიკამ შეინარჩუნა.



*იმპერატორი კარლოსი*

არც პაპის მიმართ შურისძიების სურვილი გამოუმჟღავნებია ესპანეთის მეფეს. ამის მაგიერ დაამტკიცა პაპის სახელმწიფოს საზღვართა ხელშეუხებლობა. თუმცა ამ საზღვრებს გარედან გარდაუვლად აწვებოდა ესპანური სამხედრო ძალის არსებობა. და თუმცა არავითარი საშუალება არ არსებობდა, პავლე IV-ის სურვილები იგივე დარჩა. კარლოსისადმი მისი დაუძლეველი სიძულვილი ახლა ფილიპეს ხვდა წილად.

სწორედ აქ გამოჩნდა, რომ ნათესავების დაწინაურებას პავლე ოჯახური სიყვარულის მოტივებით არ ახდენდა. თავის ძმისწულებში ის მხოლოდ ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს ხედავდა. ახლა, როცა ანტიესპანური პოლიტიკა შეუძლებელი იყო, იარაღიც უსარგებლო ხდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კარდინალი კარაფა, პაპის ძმისწული ლატერანის სასახლეში შვეიცარიელმა გვარდიელებმა შეიპყრეს და გააძევეს. ასევე მოუვიდა მის ორ ძმასაც. ნეაპოლიდან სავედრებლად ჩამოვიდა მათი მოხუცი დედა, პაპის რძალი. მაგრამ პავლემ არა მარტო არ მიიღო ის, არამედ რომის სასტუმროებს აუკრძალა მისი მასპინძლობა.

ამის შემდეგ პაპს ახალი შინაგანი გადატრიალება მოუხდა. პოლიტიკურად დამარცხებულს უეცრად გაახსენდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სრულიად დავიწყნოდა ეკლესიის სულიერი ინტერესები, რადგან მიწიერი მიზნებით იყო დაკავებული. ახლა კი რომის კურიას ასკეტური ცხოვრების გასინჯვა მოუხდა: გამუდმებული მარხვა და ინკვიზიციის უწყვეტი შიში. ასე ხდება, როცა ადამიანს ქრისტიანული სარწმუნოება ღრმად და სულიერად არა აქვს შეთვისებული. მაშინ ყოველივე ამქვეყნიური მხოლოდ გარყვნილებად და აღვირახსნილობად ეჩვენება, ხოლო რელიგიური ცხოვრება მხოლოდ სინანულად და ბნელ უსიხარულო ყოფად ესახება. სულიერი განწმენდის ვნებით შეპყრობილმა პაპმა ეჭვიანობისა და დასმენის ატმოსფერო შექმნა თავის გარშემო. ამ ეჭვიანობას შეეწირნენ კარდინალები, **მორონი** და **ფასკერატი**, რომლებიც ერეტიკოსობის ბრალდებით დილეგში ჩააგდეს.

ასკეტიზმის შეტევებმა პაპს გამოსასწორებელ ნაკლოვანებებზე კიდევ უფრო მძიმე შეცდომები ჩაადენინა: რელიგიური დევნის მსხვერპლი შეიქნა კარდინალი პოული. ეს განათლებული და ჭკვიანი იერარქი ეთნიკური ინგლისელი იყო, ანგლიკანობიდან კათოლიკობაზე მოქცეული. მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ნისლიანი ალბიონი კათოლიკურ ეკლესიას დაბრუნებოდა. საკმაო წარმატებებიც ჰქონდა ამ მხრივ ინგლისის დედოფალთან **მარია ტიუდორთან**. პაპმა სრულიად აბსურდულად დასწამა კარდინალს ერეტიკოსობა და მისი თანამდებობა ერთ გაუნათლებელ და ბრიყვ ბერს გადაულოცა. ამგვარად წაიშალა ინგლისის შემორიგების ყველა იმედი.

ინგლისის დედოფალი და შერისხული კარდინალი ერთსა და იმავე დღეს გარდაიცვალნენ, ინგლისის ტახტზე კი ელისაბედი ავიდა — **ჰენრი VIII**-სა და **ანა ბოლეინის** ქალიშვილი. ელისაბედს, მიუხედავად ახალგაზრდობისა, მრავალი სიძნელე გადახდენოდა: ჰენრიმ ანა ბოლეინის სიყვარულით ჯერ რომთან გაწყვიტა ურთიერთობა, მერე კი თავის ოდესღაც საყვარელ ცოლს თავი მოჰკვეთა; დედის სიკვდილის შემდეგ ელისაბედი უკანონოდ გამოცხადდა. თავის ნახევარდასთან, **მარია სტიუარტთან** მეტოქეობისას ელისაბედმა პროტესტანტთა მხარე დაიჭირა, რადგან მარია მხურვალე კათოლიკე იყო. ელისაბედმა გაიმარჯვა და ასე პროტესტანტად დარჩა. ვინ იცის, იქნებ სრულიადაც არ ადარდებდა დოგმატიკა და თავის მოქმედებებში მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდა...

ამას ისიც მეტყველებს, რომ ტახტზე ასულმა ელისაბედ I-მა პაპს სთხოვა კურთხევა და აღიარება. პავლე IV-ის გვერდით კარდინალი პოული რომ ყოფილიყო, ნამდვილად ეკლესიის სასარგებლოდ გამოიყენებდა ამ შესანიშნავ საბაბს. მაგრამ პაპის პასუხი შემდეგი იყო: რადგან ეკლესიას არასოდეს უკურთხებია მეფე ჰენრისა და ანა ბოლეინის ქორწინება, დედოფალი ელისაბედი რომის თვალში მხოლოდ უკანონო ბუში იყო. ამის შედეგად ელისაბედი საბოლოოდ დაუკავშირდა პროტესტანტებს, კათოლიკეებზე კი სისტემატური დევნა გამოაცხადა. ასე დაიკარგა ინგლისის დაბრუნების უკანასკნელი შანსი.

რაც შეეხება პავლე IV-ს, სასიკვდილო სარეცელზეც არ შერბილებულა მისი გული სალვთო სიყვარულითა და ლმობიერებით: უკანასკნელი, რაც უფალს შეავედრა, ინკვიზიცია და საკუთარი სული იყო — ეს ორი რამ ხომ ასე ჰგავდა ერთმანეთს...

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# ქეთი მელუამ "ციცინათელა" ქართველებს მიუძღვნა

მაია კობახიძე
გერმანიიდან



გერმანელები რიგში ქეთი მელუას კონცერტის წინ.



ასეთი აფიშებით შეხვდა ქალაქი ქართველ მომღერალს.

მულჰაიმის უბანი ადრე ქალაქ კიოლნის ინდუსტრიული ნაწილი იყო, მოგვიანებით ძველი ფაბრიკა-ქარხნები სხვადასხვა კულტურულმა ორგანიზაციებმა დაიკავეს და მულჰაიმი გერმანელებისთვის ერთ-ერთ საყვარელ და პოპულარულ უბნად გადააქციეს. ამასთან ეს უბანი კიოლნში იმითაცაა ცნობილი, რომ იქ ძალიან ბევრი თურქი ცხოვრობს. რამდენიმე თვის წინ კი მისმა სახელმა საინფორმაციო საშუალებებში აქტიურად გაიჟღერა, რადგან ერთ-ერთი თურქული საპარიკმახეროს წინ აფეთქება მოხდა. პოლიცია დღემდე ეძებს დამნაშავეს და მის კვალზე დამყენებელს ანაზღაურებას ჰპირდება.

აი, ამ უბანში, "ე-ვერკის" (E-Werk) დარბაზში 19 სექტემბერს გაიმართა ჩვენი თანამემამულის, ქეთი მელუას კონცერტი. 16 სექტემბერს კი ქეთი მელუა 20 წლის გახდა. კიოლნიდან დაიწყო მისი პირველი გერმანული ტურნე. კონცერტები ჩატარდება ოფენბახში, მიუნხენში, ბერლინსა და ჰამბურგში (19-24 სექტემბერი). ეს ის ქალაქებია, სადაც ყველაზე მეტი გერმანული მედიაჯგუფია თავმოყრილი.

თავდაპირველად კიოლნში ქეთისთვის უფრო პატარა დარბაზი იყო გამიზნული, მაგრამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიჩინეს გერმანელმა მსმენელებმა, იმდენმა გამოთქვა ბილეთების ყიდვის სურვილი, რომ ორგანიზატორებმა ქალაქის ცენტრში მდებარე "ვართეზალი" "ე-ვერკით" შეცვალეს. ბილეთები 35 ევრო ღირდა.

რა თქმა უნდა, გერმანიაში მცხოვრები ქართველები ამაყობენ ქეთი მელუათი, მისით ამაყობენ ქართველების გერმანელი სიძეებიც, რომლებიც აქტიურად ეწევიან ქეთის სიმღერების პოპულარიზაციას მეგობრების წრეში. მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ კიოლნში ქეთი მელუას კონცერტზე ბევრი ქართველი იქნებოდა, საბედნიეროდ (გარკვეული თვალსაზრისით), არ გამართლდა. გრძელ და მოწესრიგებულ რიგში ამ სტატიის ავტორმა ორი ქართველი სტუდენტი გოგონა აღმოაჩინა, რომლებიც ქალაქ ბოხუმიდან ჩამოვიდნენ კონცერტზე დასასწრებად. გრძელ რიგში კი, სხვადასხვა ასაკის მსმენელს ნახავდით: 15 წლიდან და ზევით. რა თქმა უნდა, ახალგაზრდები ჭარბობდნენ, მათი დიდი უმრავლესობა შეყვარებული წყვილი იყო. როგორც, მაგალითად, კლაუს ვებერი და ჯენი ბენშიკი, რომლებიც ქეთის ერთ-ერთ სიმღერას, სულაც "თავიანთ სიმღერას" უწოდებენ.

სუსანე ჰინსმა კი მუსიკალურ მაღაზიაში მოიძია ნორა ჯონსის სტილის სიმღერები და ასე შეიძინა ქეთის კომპაქტ-დისკი (თუმცა, როგორც წერენ ინტერნეტ-გამოცემები, ქეთის არ მოსწონს ასეთი შედარება და ეს გასაგებიცაა). მაგრამ ახლა სუსანესთვის ქეთი უფრო ახლობელია, ისევე როგორც მის მეგობარ თომას ერლიჰემისთვის. მან თავმომწონედ აღნიშნა, რომ მისი 11 წლის ძმისშვილი მაქსიმილიანი, ძალიან კარგად იცნობს ქეთი მელუას სიმღერებს. 56 წლის როზვიტა რეიცხარდმა კი ქეთის ნორვეგიაში მოუსმინა და შეიყვარა (მომღერლის მამამ, ამირან მელუამ მორიდებული სიამაყით აღნიშნა, რომ ნორვეგიაში ქეთის პლატინის დისკი მიანიჭეს). თბილისს დაძმობილებული საარბრუკენიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ ცოლ-ქმარი შტიხერები. ბერნდ შტიხერის ცოლმა იცოდა რა, როგორი გატაცებით უსმენს ქმარი ქეთის სიმღერებს, მეუღლეს საჩუქრად კიოლნის კონცერტის ბილეთები უყიდა. როგორც ბერნდ შტიხერი აღნიშნავს, ქეთი გერმანიაში ჯერ არ არის ძალიან ცნობილი, ეს პროცესი ახლა იწყება. მას ეთანხმება ელზაბეტ შმიდტი, რომელმაც პირველად ქეთის სიმღერები ინგლისში ყოფნისას მოისმინა და ქერსტინ გეჰარდი, რომელმაც ქეთი გერმანული ტელევიზიით გაიცნო. ელიზაბეტს მიაჩნია, რომ ქეთის წარმატება გერმანიაში და მისდამი ინტერესი რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: ქეთის სიმღერის სტილით (გერმანელების სტრესულ, დაძაბულ ცხოვრებას მალამოსავით ედება მშვიდი სიმღერები), მსგავსებით ნორა ჯონსთან, ყველაფერი ინგლისურისადმი გერმანელების განსაკუთრებული სიყვარულით, კარგი მარკეტინგითა და ქეთის მომხიბვლელობით.

კონცერტი საღამოს 8 საათზე დაიწყო. თავდაპირველად ავსტრიული ჯგუფი PAPERMOON წარდგა მსმენელების წინაშე. ქეთი მელუა კი, ჯერ კიდევ კონცერტის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სცენის ფარდის მიღმა გერმანელი ჟურნალისტების გარემოცვაში იდგა და მათ შეკითხვებს პასუხობდა. ჟურნალისტების ყურადღების გარეშე არც მამამისი დარჩა. 44 წლის ამირან მელუა, პროფესიით ექიმი, ტურნეს დასაწყისში გვერდში ამოუდგა შვილს, მაგრამ რამდენიმე დღეში ბრიტანეთში, თავის სამსახურში დაბრუნდება.

"ე-ვერკის" დარბაზი რომანტიკული სიმღერების მოყვარულებმა და შეყვარებულებმა შეავსეს. მომღერალი და მსმენელები თანაბარ პირობებში იყვნენ -- ფეხზე იდგნენ, თუმცა, ქეთის უწევდა ხანდახან ჩამოჯდომა. პიანინოსთან იჯდა მისი აღმომჩენი, კომპოზიტორი მაიკ ბეტი. თითოეული მსმენელი თავისი საყვარელი სიმღერის მოსმენისას განსაკუთრებით ემოციური ხდებოდა, იქ მყოფ ქართველებს კი, "ჩემო ციცინათელას" დროს რაღაც გვეჩხირებოდა ყელში, რასაც ცრემლიც მოჰყვებოდა. მით უმეტეს, რომ ქეთიმ გამოაცხადა, ამ სიმღერას ქართველ მსმენელს ვუძღვნიო.

## TV პროგრამა

22 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **13.30** მხ. ფილმი "მექანიკოს გავრილოვის საყვარელი ქალი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "პირისპირ". მთ. რ-ში: ჰავიერ ბარდემი (18)წ

### ՈՏՐ

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** "მიამბეთ თქვენზე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ვ. ჰიუგო" **15.20** "პოლიტიკური მკვლელობები" - ლუმუმბა **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "მრავალჟამიერ" -რაჭა **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მოკვეთილი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "კაბირიას ღამეები" (გ) (ჯულიეტა მაზინა)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.30** "წუთისოფელში" მე-4 გადაცემა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ეჰ, მეგობრებო" **12.15** "ლარის მახე" **12.40, 03.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დასაწყისი" (გ) **14.45, 16.20, 17.15, 03.30** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.50, 22.00, 23.15** ქრონიკა **15.25** სერიალი "კლონი" **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.30** სპ. პროგრამა "ასი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.45** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ეჰ, მეგობრებო" მე-2 ს. **22.45** "ლარის მახე" **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.30** მხ. ფილმი "მატყუარა" (12) (ტ. როტი) **02.05** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.20** ქრონიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"УЧАСТОК" 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН" 11.30** Мультсериал "Кошки-мышки". **11.40** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.10** Фильм Валерия Ускова и Владимира Краснопольского **"ТАЕЖНЫЙ ДЕСАНТ"**. **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СЫЩИКИ". 16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.20** Док. фильм "Чудо стволовой клетки". **00.50** Максим Никулин в программе "Форганг". **01.20** Энди Гарсиа в триллере **"НОЧЬ НАД МАНХЭТТЕНОМ"**. **03.30** Родриго Санторо в мелодраме **"ПОСЛЕДНЕЕ СОЛНЦЕ" 05.15** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Мятежный танкер".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** Сегодня **10.15** Преступление в стиле "Модерн": Смерть провизора. **10.50** Кулинарный поединок. **11.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ТЕНЬ САЛЬЕРИ". 14.25** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ". 15.35** Криминальная Россия. **16.15** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ВСЕ И СРАЗУ". 20.50** Премьера. Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ". 22.00** "Страна и мир" **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **23.55** Дэвид Бредли в боевике **"АМЕРИКАНСКИЙ НИНДЗЯ-3: КРОВАВАЯ ОХОТА". 02.10** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 03.00** "Кома: это правда".

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



1. გ. რობაქიძის პიესა; 2. მცირეალკოჰოლიანი სასმელი; 3. 1966 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა; 4. ფრანგი კომპოზიტორი, ლირიული ოპერის ოსტატი; 5. სამხედრო შენაერთის მეთაური ძველ რომში; 6. მიწების ხელოვნური მორწყვა; 7. "პორტიეს" მეკარე; 8. ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი; 9. დაბა ქარელის რაიონში; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება; 12. გონებანაკლული ადამიანი; 13. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში; 14. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი; 15. ჰორმონის წარმომშობი შინაგანი ორგანო; 16. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 17. მტაცებელი ფრინველი; 18. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 19. განუხორციელებელი ოცნება, ფანტასტიკური რამ; 20. სტრატეგია ჭადრაკის პარტიის საწყის ეტაპზე; 21. ძველებური, ინგლისური ოქროს მონეტა; 22. ბოსტნეულის მოყვანის მეთოდი ნიადაგის გარეშე; 23. ლავის ამოფრქვევის წარმომქმნელი მრგვალი ფორმის სიცარიელე; 24. ტანსაცმლის მოსართავი თხელი ბადურა ქსოვილი; 25. ქათმის ჯიშის ფრინველი; 26. მოქმედი ვულკანი ინდონეზიაში; 27. ძირმაგარა; 28. ქართველი მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი; 29. დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაული ძველ რომში; 30. ღვთაებრივი წინასწარმეტყველება; 31. ცხენის ზურგზე დასადგმელი მოწყობილობა; 32. სიგრძის საზომი ინგლისური ერთეული; 33. პრინცის ტიტული პორტუგალიასა და ესპანეთში; 34. ჩეხური მსუბუქი ავტომობილების მარკა; 35. ძაღლის ჯიში; 36. პერსონაჟი ქართული ფილმიდან "რეკორდი".

# საძიებო სისტემა A9 მთელი ძალით მუშაობას შეუდგა



საძიებო სისტემა www. A9. com, რომელიც მოიაზრება ისეთი მონსტრების მომავალ კონკურენტ კომპანიებად, როგორებიცაა Google და Yahoo, საბოლოოდ ტესტირების რეჟიმიდან სამუშაო რეჟიმზე გადავიდა და მომხმარებელს სხვადასხვა სასიამოვნო სერვისს სთავაზობს.

მათ შორისაა დღიური, რომლის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ჩანიშვნები გააკეთოს იმის შესახებ, თუ როგორია ეს თუ ის საიტი, ან ბიბლიოთეკა, რომელიც ძებნის შედეგად ეკრანზეა გამოტანილი. მეორე, რითაც საძიებო სისტემა A9 იქცევს ყურადღებას, ეს მისი უნიკალური შესაძლებლობაა: საიტის მიერ მოძებნილი შედეგების დათვალიერება ისე, რომ არ დაუბრუნდე საწყის ფურცელს.

ასევე, უკვე მოძებნილი სიტყვის შესაბამისი საიტების და ინფორმაციების გასწვრივ "მაუსის" გაჩერებისას ჩნდება კონტექსტური მენიუ, რომელიც აღწერილობითი ხასიათისაა და უკვე მოძებნილი საიტის ან ინფორმაციის წარმომავლობას სრულყოფილად აღწერს. მას თქვენ ნახავთ ღილაკის სახით, რომელსაც siteinfo ქვია.

www. A9. com-ში სასასურველი სიტყვის ან სიტყვათა კომბინაციის აკრეფვისას ძებნა გაცილებით სწრაფად და კორექტულად მიმდინარეობს, დაახლოებით იგივე დრო სჭირდება ძებნას, რაც ჩვეულებრივ გვერდების გადაფურცვლას უკვე მოძებნილ სიებს შორის.

სრული აღრიცხვა მიმდინარეობს იმისა, თუ რა ხარვეზებია ძებნაში და რა დაკონკრეტებას მოითხოვს მომხმარებლისგან საძიებო ვებ-გვერდი. ერთი სიტყვით, საძიებო სისტემებში ჩადებულია როგორც აქამდე არსებული მოწინავე ტექნოლოგიები, ასევე ახალი "ხილიც", რომელიც საბოლოოდ ფეხს იკიდებს ჩვენ ინტერნეტ ცხოვრებაში www. A9. com-ის სახელით.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# ის, რაც მხოლოდ მულტფილმებში ხდება



1. თაგვი, რომელიც ჩალის ღერივით ატრიალებს ხის უზარმაზარ მორებს;
2. კბილატკიებული გმირი, რომელსაც თავ-ყბა სახვევით აქვს აკრული;
3. გაბრიყვებულ გმირებს თავზე ჩოჩორის ყურები ამოსდით;
4. ფინანსური წარმატებისგან, გმირებს თვალებში $$$$$ უციმციმებთ;
5. გმირის წყურვილის აღსანიშნავად, იატაკამდე გადმოყოფილი დიდი მშრალი ენა;
6. გმირები, რომლებიც სირბილით გადიან კედლებში და რატომღაც ისეთ კვალს ტოვებენ, თითქოს ამას გაშლილი ხელებით აკეთებენ;
7. პერსონაჟებს არანორმალურად ეზრდებათ ყელი, როცა დიდ ლუკმას ყლაპავენ;
8. პერსონაჟების ხვრინვის გამო ოთახში კარადები გადაადგილდებიან;
9. გმირები, რომლებიც დარბიან ხალიჩების და სურათების ქვეშ;
10. გმირი სირბილით გასცდება კლდის ნაპირს ისე, რომ ჰაერში აგრძელებს სირბილს მანამ, სანამ ქვევით არ ჩაიხედავს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ვარდნას;
11. ჭიანჭველები სპრინტერული სიჩქარით დააქროლებენ ტორტის უზარმაზარ ნაჭრებს და სენდვიჩებს;
12. პერსონაჟებს უსწრაფესად ეზრდებათ თავზე უზარმაზარი კოპები;
13. გმირები, რომლებიც წითლად ფერადდებიან, როცა რაიმე ცხელს ეხებიან;
14. საკანალიზაციო ლუკის ზომის უდაბური კუნძული, რომელზეც ერთადერთი პალმა დგას და, რომლის გარშემო ზვიგენი დაცურავს;
15. ტელეფონები იწყებენ ხტუნვას, როცა ზარი ირეკება.

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური“
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70
ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge







# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

